

ავთანდილ ვართაგავა

- ნუთისოფლის გაღასახელი -



მოკლე საოჯახო ქრონიკა

.....

2004 –2011წწ.

- წინათქმა
- ჩვენი წინაპრები
- სიონში შევალ
- ეტლი სასტუმრო “კავკაზის” წინ
- რკინის საწოლი და სასტუმრო “კავკაზიდან” გადაბარგება
- როგორ იწერებოდა წიგნი: “ქართულ ემიგრაციაში”
- “მინდა ვიცოცხლო” ყარაბაღის ძმათა სასაფლაოზე
- საგვარეულო სასაფლაოზე ფიქრი. დიდუბის პანთეონში
- ბაბუა იპოლიტეს პორტრეტული დახასიათება
- ქართველ სიმბოლისტთა პირისპირ და “ბურჟუაზიულ კრიტიკოსად” მონათვლა
- “მოგონებათა” შექმნის ისტორია
- “უშიში , ვითარცა უხორცო”
- გვიამბობდა გენერალი შალვა მაღლაკელიძე
- გენერალი ბორის საპოუნიკოვი
- “მამულები ჩამოგართვეს . . .”
- თაობათა ცვლა . ოჯახის დედაბოძი ნინო ილიას ასული
- მზითევი თუ უბრალოდ საკითხავი წიგნი ?
- დედის გული
- “მახსოვს პირველად სასწავლებელში”
- “ომი დამთავრდა
- ცხოვრება სოფლური პირველყოფილებისა და ბუხრისპირული იდილიის ფონზე
- “აბლი-ბაბლი ვერცხლის ტახტი”
- მუდმივი ვალუტა
- გაცილება
- სტალინური არჩევნები
- ბატონების ხონჩა
- აბრეშუმის გზა
- ბავშვური მიმბაძველობა თუ სულიერი შემოქმედების დასაწყისი ?
- ამერიკულ კალოშებში ჩამდგარი მოხუცი და საუბარი საჩხერის “იარმუკაზე” მიმავალ მგზავრებთან
- თავშესაფარი
- ბაბუა იპოლიტესა და დედის ნაკვალევზე
- ბაბუა იპოლიტე აკაკის ნაკვალევზე და მისი ამა ქვეყნიდან განსვლა
- ახალი თაობა
- იპოლიტე ვართაგავას ქუჩა

წინათქმა

ეს პატარა მატიანე არის ჩემი ოჯახის გარდასულ ადამიანებთან, და არა მარტო მათთან, გამოსამშვოდობებელი წიგნი, შვილებისა და შვილიშვილებისათვის კი მომავალი ცხოვრების გზამკვლევი და ჩირაღდანივით ანთებული გული, ძველი ბერძენი მართონელის მსგავსად, ესტაფეტასავით რომ ვუწვდი მათ. ღმერთს ვთხოვ, არასოდეს ჩამქვრალიყოს ეს ჩირაღდან და უკუნითი უკუნისამდე გადადიოდეს თაობიდან თაობაში, ხელიდან ხელში, ვითარცა დასტური გვარისა და სისხლის უკვდავებისა.

ცხოვრება ძალიან რთული და შეუცნობი რამ არის. ქართული ზღაპრების ის სამი ლოდი, რომელთა წარწერები კეთილად დაბრუნების, საექვოდ დაბრუნებისა თუ არდაბრუნების მაცნედ მოიაზრა ქართველმა ხალხმა, სწორედ მომავლის გზაჯვარედინზე ხვდება ყოველ ადამიანს.

ჩვენ ვაღდებულნი ვართ, ამ ქვების პირისპირ მდგომთ ვასწავლოთ მათზე ამოკვეთილი ბილინგვებისა თუ ქარაგმების კითხვა, რათა შეძლონ გამარჯვების გზით და არა გზაჯვარედინებისა და უფსკრულების მიმართულებით სიარული.

დაე, საუკუნეთა შემდეგ მათაც დაეწეროთ საოჯახო ქრონიკების მეორე, მეათე თუ მეასე წიგნები !

გვარისა და სისხლის უკვდავებაც ეს იქნება.

წინაპართა ორეულებამდე თუ მათ დამსკდარ საფლავედამდე მისასვლელი გზა, ალბათ, წუთისოფლის ამაოებითა და მისი წარმავლობით თუ განიზომება.

წუთისოფელი ცხრა გაშლილ ნაბაღზე მეტი არ იქნება. ამიტომ უთქვამთ: წუთისოფლის სტუმრები ვართო ...

როცა ამ სიტყვებს ვიმეორებ, უნებურად ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს მოთხრობა – “წუთისოფელი” მახსენებს თავს, ერთი ბრწყინვალე ოჯახის ბედნიერ ცხოვრებას რომ აღწერს, მაგრამ აკაკის არ იყოს, ხანგრძლივ ეს სოფელი არავის ახარებს და არც ეს ფრანგული ოჯახი გაახარა ცრუ სოფელმა.

ერთ უცხოელს უთხვამს – “განვვლე და რიოსთვის?” “ თუ ყველაფერი ამაოების ბაზარია, ჩიტვიით რომ გაგვიფრინდება თვალსა და ხელს შუა?”

უბედურება კიდევ ის გახლავთ, რომ ჩვენი დიდებული და ამა ქვეყნით გარდასული ადამიანები, ყუველდღიურად გვშორდებიან, დღითი-დღე დავიწყების ბურუსში ინთქმებიან და ხელთ სევდა, ყვითელი ფოტოსურათები და მოგონება გვრჩება.

ყოველივე ეს, მე, როგორც თევზის ნიშნის ქვეშ დაბადებულ პიროვნებას, მიწასთან მასწორებს, რამეთუ თევზები მეტად მგრძნობიარენი არიან და ლამის არის, საფლავეებში ჩავუვარდე ჩემს წინაპრებს, თითქოსდა წუთისოფლის უღმობელობა მარტოდენ ჩემს თავს იყოს დატეხილი.

ბრწყინვალე მომღერლის თამარ წერეთლის ერთი სევდიანი რომანსი სწორედ ასეთ ყვითელ და მივიწყებულ ფოტოსურათებს მისტირის, რომელთა მიღმაც ერთ დროს დიდი ცხოვრების შეჩერებული წამი და ანარეკლია შემორჩენილი.

ამ შეჩერებულმა წამებმა უკვდავყვეს 19-ე და 20-ე საუკუნეების კაცობრიობის ისტორია. დაგეროტიპებიდან დაწყებული,

ულტრათანამედროვე ფოტოაპარატებით დამთავრებული, ადამიანები აჩერებენ წამს, რომელთა ამოძრავება თვით შემოქმედსაც კი არ ძალუძს.



ერთ დროს პირველქმნილმა ფოტოაპარატმა, რომელმაც 19-ე საუკუნის 60-70 იან წლებში ჩემი დიდი ბაბუის, მეჯვრისხეველი თავადის სპირიდონ წერეთლის ფოტოსურათები გადაიღო, დღეს მის სრულქმნილ მექანიზმს ძალუძს ფირზე აღბეჭდოს ჰალეის კომეტა, ირმის ნახტომი, მაგელანის ღრუბლები თუ კვაზარები, რომ აღარაფერი ვთქვათ წყლის უდაბნოებისა და ამ უდაბნოთა უფსკრულებზე.

ფოტოზე - სპირიდონ წერეთელი.
ქუთაისი 1860-იანი წლები

როგორც ყველა ბავშვს, ადრეულ ასაკში ცხოვრება მეც ღამაზ სიზმრად მესახებოდა, დედის თვალებიდან და მისი კალთის წაღიდან რომ იღებდნენ სათავეს. ჩვენი ცხოვრების ჰარმონიას ანგელოზურ მომხიბვლელობას მატებდნენ ჩემი თვალებბრიალა და მომხიბვლელი დები: თეთრყირმიზა და პირბამბა დალი და შავტუხა მეგი, რომელთა პაექრობა თითქოს ახლაც ჩამესმის ყურებში

“მე შავი ვარ შახი ვარ, შახაშუხით დავდივარ,
შენ თეთრი ხარ, ლაყე ხარ, ლაყა-ლუყით დადიხარ.”

მათი სიცილ-კისკისის ფონზე ყოველგვარ ძალას კარგავდა “დუხავოი მუსიკის” ის მწუხარე მელოდია, რითაც ჯალეშას ლეჩაქით მოსილი შაოსნები თავდახრილი მიყვებოდნენ იმ მწუხარე პროცესიას, რომელმაც თვით დოსტოევსკისაც კი სიცოცხლის ყოვერღგვარი რწმენა დაუკარგა. მაშინდელი წითელი კუბო, უთუოდ ქრისტეს დაღვრილი სისხლის სიმბოლოდ იყო მოფიქრებულ.



უკანა პლანზე მარცხნიდან - დადი, მეგი და თინა ვართაგაეები
წინა პლანზე მარცხნიდან - ავთანდილ, იპოლიტე და ტარიელ
ვართაგაეები. თბილისი 1952წ.

•••

კაენის მიერ საკუთარი ძმის – აბელის მკვლელობა რომ არ მომხდარიყო, რასაც მხატვარმა ბრუნომ თავისი ცნობილი ტილო – “პირველი სიკვდილი დედამიწაზე” უწოდა, ალბათ ქვენად საერთოდ არ იქნებოდა სიკვდილი და ცხადია, არც ბაირონის მისტერია – “კაენი” დაიწერებოდა.

ჩვენი წინაპრები

ჩვენი წინაპრები ძლიერნი ამა სოფლისანი არასოდეს ყოფილან: ჩვეულებრივ წარჩინებულთა კლასს განეკუთვნებიდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერო თუ სასულიერო ცხოვრებაში.

ის, რომ ჭიათურის რაიონის სოფელ ბუჩინევში, ორსართულიანი სასახლის კედლებში, ჯერ კიდევ 19-ე საუკუნეში, სტეინვეკისა თუ ბეკერის როიალები და ფრანგულ-იტალიური ავეჯი იდგა, თაროებზე კი იშვიათი წიგნები: ვეფხისტყაოსანი, დოსტოევსკის, ტოლსტოისა თუ სენკევიჩის ტომეულები, ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიები, ბუმეისტერის “ლოლიკა”, იოანე დამასკელის “კატიღოსია”, ვოლტერის “ალსირა”, ბასილი დიდის “ექვსთა დღეთა”, თუ სხვა წიგნები იყო თავმოყრილი, იმ დიდი ფეოდალური ოჯახის მაღალ სულიერ კულტურას უსვამდა ხაზს.

საბეჭდი მანქანა, გრამოფონი, უნიკალური მომინანქრებული სამოვარი; ზვრები, ტყეები, ყანობირები და ბოლოს თლილი ქვის სახლები

ქუთაისში, ერთგვარად გამოარჩევდა წინაპართა ჩვენთა ოჯახებს სხვათაგან, ოჯახებს, რომლებმაც შვა და აღზარდა, მრავალთა შორის ბებია ანეტა (ანნა) ალექსანდრეს ასული აბდუშელიშვილი, ქალი ვისაც თავისი ბედი დაუკავშირა წმინდა მეგრული სისხლის კაცმა, მწერალმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავამ, დაუკავშირა და თანაერთხორცი გახდა თავისი მეუღლისა.

ძველი დრო და ქორწინების იმდროინდელი ინსტიტუტი რომ ყოფილიყო, ბებია ანეტას შესაძლოა, თავისი ბედი არც კი დაეკავშირებინა ბაბუა იპოლიტესათვის, რამეთუ ამ დედათ-ბანოვანის ძარღვებში ჭეშმარიტად დიდგვაროვანთა სისხლი ჩქეფდა.

დიდ აზნაურ აბდუშელიშვილთა შთამომავლის გენი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ასევე მაღალი იერარქიის საჭეთმპყრობელთა გენტან.

მის ძარღვებში ერთდროულად ჩქეფდა მეჯვრისხეველი სპირიდონ წერეთლის, ჭალელი მაკრინე აბაშიძისა და მისი ბუნივეელი მეუღლის ნიკოლოზ აბდუშელიშვილის; ქარელის რაიონის სოფ. ბრეთის დიდი ბატონების შთამომავლის ელენკო (იგივე ოკო დედა) მუსხელიშვილისა და მისი თანამეცხედრის, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან აკაკის თანაკურსელის – ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილის სისხლი.

ამათგან ელენკო მუსხელიშვილი, მამიდაჩემის გადმოცემით, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის გარე მამიდა იყო, ზემოთხსენებული სპირიდონ წერეთლის შთამომავალი.

მაკრინე აბაშიძე და ნიკოლოზ აბდუშელიშვილი ანეტას ბებია და ბაბუა იყვნენ, ხოლო მათი ვაჟიშვილი ალექსანდრე და თანამესაყდრე მისი – ელენკო მუსხელიშვილი ბებია ანეტას მკვიდრი მშობლები.

. . .

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, გარდასულ საუკუნეებში ყოველი ქალი იერარქიის ამა თუ იმ საფეხურზე იდგა და შესაბამისი ტიტულატურაც გააჩნდა, მეფის ცოლის – მეფეადან დაწყებული, გლეხის მეუღლის – უსოსათი დამთავრებული, რომელთა შორის თავად-აზნაურთა მთელი იერეარქია არსებობდა.

ამ იერარქიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბებია ანეტა (ანნა) ალექსანდრეს ასულიც გახლდათ.

რამდენიმე წლის წინ გენეალოგიური კვლევის ცენტრმა “არიან ქართლიმ” გამოსცა აბდუშელიშვილებისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელთა ფუძე – “აბდუშაჰილი” სპარსული ენიდან შემოტანილად არის მიჩნეული.

ნაშრომში ვკითხულობთ: “სამცხე-ჯავახეთის ბოლო ათაბაგი ჯაყელი თურქებს ბრძოლაში მოუკვდინებიათ. მისი ორი ვაჟიშვილი ალი და აბდული მამის სიკვდილის შემდეგ, მოსისხლეს გამორიდებიან და ჯავახეთიდან გადახვეწილან. ალი ქართლში დამკვიდრებულა, აქედან გვარი – ალიბეგაშვილი ; აბდული იმერეთს შეხიზვნია და სწორედ აბდულ ჯაყელზე მოდიანო აზნაური აბდუშელიშვილნი ... “

მაინც ვინ იყვნენ ისინი ან რა ერქვათ მათ? ხოხონა? დავითელა? კაცინაკი? ქაიხოსრო? ზაალი თუ გიორგი?

დიახ, სწორედ მეფის კარზე დაწინაურებულ პირთა შორის ნახსენები არიან ზაალ და გიორგი აბდუშელიშვილები. ამ გვარის წარმომადგენლები ყოფილან სოფლის, ციხისა თუ ქალაქის მოურავები.

არგვეთის სასარდლოში, თავად წერეთელთა დროშის ქვეშ, ქუდზე კაცად გამოდიოდნენ აბდუშელიშვილთა გვარის მემორები.

აბდუშელიშვილთაგან უკანასკნელი მოურავი აკაკი წერეთლის ანდერძის აღმსრულებელი კოტე აბდუშელიშვილი იყო. იგი ჭიათურის რაიონის სოფ. ბუინევიდან გახლდათ. სოფელში, ჩვენი ეზოს გვერდით, ბოლო დღეებამდე შემორჩენილი იყო მის მიერ გაშენებული ნამდვილი ედემის ბაღი. მთელი ამ საუნჯიდან მხოლოდ ერთადერთი ე.წ. “ბურთის ხეა” ცოცხალი.

გუბერნიის ტოლუმბაშად წოდებულმა კოტემ, ბაქოს თეატრის სცენიდან, პირდაპირ სპექტაკლის მსვლელების დროს მოიტაცა თავისი მომავალი მეუღლე ანიკო თარხნიშვილი და მასთან ერთად სამუდამოდ დამკვიდრდა აკაკის სახლში.

გასული, 20-ე საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც კოტესადმი მიძღვნილი ჩემი წერილი გაზეთ “ჭიათურის მაღაროელის” ფურცლებზე გამოქვეყნდა, აბდუშელიშვილის ერთმა მამაკაცმა კოტეს მოურავობა შეურაცხყოფად მიიღო და ამის გამო საყვედურიც კი მითხრა, რამეთუ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა მოურავობის სახელზე საერთოდ.

აბდუშელიშვილთა ერთმა ჯგუფმა ასევე სრული უკმაყოფილებით მიიღო ანთროპოლოგ მალხაზ აბდუშელიშვილის შესანიშნავი წიგნი “მიღწვიან მომიგონებენ”, რომელიც მისი ბიძის ვასილ აბდუშელიშვილისადმი მიძღვნილი, მაგრამ მის ფურცლებზე ამ გვარის არაერთი წარსულის ქრონიკებია გაცოცხლებული.

აღნიშნული უკმაყოფილების გამო, თბილისში ჩვენს საოჯახო სუფრაზე თამადად ყოფნის დროს, ბატონმა მალხაზმა ხაზგასმით განმარტა, რომ თავისი წიგნი მან ბიძამისს მიუძღვნა და არა ზოგადად აბდუშელიშვილთა გვარის ისტორიას ...

საუბედუროდ, აბდუშელიშვილთა ასეთ სახელოვან და ისტორიულ გვარს, წერეთლებთან და აბაშიძეებთან ერთად, გაზეთ “მუშის” 1924 წლის 27 ოქტომბრის ნომერში, ჩიტირეკია კორესპოდენტი, სისხლისმწოველსა და მშრომელი ხალხის მჩაგვრელს ეძახის ...

ასეთია მოკლედ აბდუშელიშვილთა გვარის უმოკლესი ისტორია, რომლის წარმომადგენელიც ჩემი ბებია ანეტა (ანნა) ალექსანდრეს ასული იყო .

მე ის 5-6 წლის ასაკიდან მახსოვს, პარკისონის მძიმე სენით დათრგუნული და ლოგინს მიჯაჭვული. ეს სენტანიშანი იმ დღიდან გახდა მისი ცხოვრების თანამგზავრი, რაც ჭლექით შეპყრობილი მისი უფროსი ვაჟიშვილი, პათანატომი გოგი ვართაგავა, სრულიად ახალგაზრდა გადრაცივალა.



თბილისის უნივერსიტეტის ექიმთა პირველი გამოშვების კურსდამთავრებული, აკადემიკოს ვლ. ჟღენტის მოწაფე, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას თანაკურსელი, ირაკლი ტატიშვილის ასისტენტი და პროფესორ გრიგოლ მუხაძის თანამშრომელი მიხაილოვის საავადმყოფოში;

ერთ კაცად ღირებული თავისი შავი, საცრისტოლა თვალების გამო; იშვიათი გემოვნებისა და არტისტიზმით შემკული ესთეტი; ძლიერი ბარიტონე, მეფისტოფელისა თუ ონეგინის არიათა შემსრულებელი; მწერლობის თაყვანისმცემელი და ევროპული ლიტერატურის მცოდნე; მხატვრობაში გრაფიკული ნიჭით შეჭურვილი პიროვნება – გოგი იპოლიტეს ძე ვართაგავა (1901-1928), უკურნებელი სენით შეპყრობილი, იძულებული გახდა, დედის მიერ აფთიაქიდან ამოტანილი პანტაპონის ნემსი თავისი თანაკურსელი ექიმისათვის მიეწოდებინა, რათა მისთვის სასიკვდილო დოზა გაეკეთებინა. ადვილი როდი იყო მისი მეგობრისათვის ამ მძიმე მისიის შესრულება, მაგრამ სხვა გზა არ იყო: მან ნემსი გაუკეთა თავის მეგობარს და ამით ბიძაჩემი ტანჯვის საშინელი ბრჭყალებიდან გამოიხსნა...

ასეთი მისიის შესრულება ყველა მკურნალს როდი ხელეწიფება, მიუხედავად განწირული ავადმყოფის მხურვალე თხოვნისა.

ამერიკელმა კლინიცისტმა ჯეიმს კლარკმა, გაუკეთა რა სასიკვდილო დოზა ერთ-ერთ უიმედო ავადმყოფს მისივე თხოვნის საფუძველზე, მალე თავადაც მოიკლა თავი.

...

გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე სახელგანთქმული ქირურგი, აკადემიკოსი ეგნატე ფიფია ლექციების კურსის ჩასატარებლად ქუთაისში მიემგზავრებოდა. გზად დასტაქარს სტუმრობა მოუხდა საჩხერის რაიონის სოფელ კალვათაში ექიმ ბექარ სიმონის ძე კაპანაძის ოჯახში. ბექარი იმ დროს თბილისის რკინიგზის

საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე იყო. მაღალი, თმახუჭუჭა და იშვიათი სილამაზით შემკული ბექარი ამასთან ლექსისი ტრფიალიც იყო და თავადაც შესანიშნავ ლექსებს წერდა. ყოველივე ეს აახლოებდა მას მუხრან მაჭავარიანთან არა მარტო მეგობრული, ნათესაური გაგებითაც კი. ამას თავისი საფუძველიც გააჩნდა: ბექარის დედა – ღინა, ეს უკეთილშობილესი ქალბატონი წარმოშობით ჭორვილელი მაჭავარიანი იყო.

ეგნატე ფიფიასადმი გამართულ სუფრაზე მეც ვიყავი მიწვეული და საბედნიეროდ პირდაპირ ბატონი ეგნატეს გვერდით მოვხვდი. გაიგო რა ჩემი ვინაობა, გამოჩენილმა ექიმმა ბიძაჩემის – გოგი ვართაგავას შესახებ ასეთი რამ მითხრა: გოგი და მე ერთად ვსწავლობდით თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტ იყო, ბევრს კითხულობდა და თავისი ცოდნით ყველას ანცვიფრებდა. მომავალი დიდი ჰქონდა. ქართულ მედიცინაში ის უთუოდ თავის სიტყვას იტყვოდა. სამწუხაროა რომ ასე უდროოდ გარდაიცვალა და უამრავი რამ ფრთაშეუსხმელი დარჩა.

...

მიუხედავად ბიძაჩემის უდროოდ გარდაცვალებისა, მისი სახელი მაინც გაუდგრა ვლ. ჟღენტისა და ირ. ტატიშვილის ნაშრომში, რომელიც 1958 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ხოლო 1971 წელს იმავე ორი ატორისა და პ. გელბახიანის ერთობლივ წიგნში: “მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები“.

როგორღაც გაუძლო ბებია ანეტამ უფროსი ვაჟიშვილის ტრაგიკულ აღსასრულს, მაგრამ საშინელი სულიერი დარტყმა ჯერ კიდევ წინ ელოდა თურმე, კერძოდ 1933 წელს, როდესაც მისი მეორე ვაჟი ანუ მამაჩემი ირაკლი ვართაგავა, შავსიელობის ბრალდებით, ჭიათურის ჩეკას საპყრობილეში გამოამწყვდიეს. იმავე წელს ბაბუა იპოლიტეც დაპატიმრებულ იქნა თბილისში ...

რკინის ნერვები და არაადამიანური ნებისყოფა უნდა ჰქონოდა უბედურ ქალს, ასეთი ხვედრისათვის რომ გაეძლო.

ნერვებმა მაშინ უმტყუნეს ჭიათურის რაიონის ჩეკას უფროსის, კავთელაძის კაბინეტში რომ შევიდა და უდანაშაულო შვილის განთავისუფლება თხოვა.

და როდესაც ნაძირალა, დახმარების ნაცვლად შვილის დახვრეტით დაემუქრა, ბებია ანეტა გულწასული დაცემულა იატაკზე და პარკისონის სენით სწორედ მაშინ დაავადდა, რითაც მთელი 9 წლის მანძილზე იტანჯებოდა იგი.

მთელი 9 წლის განმავლობაში დედაჩემი წინა ილიას ასული იყო მისი მომვლელი და ნუგეშისმცემელი.

...

როდესაც თბილისში, ვერის ძველ სასაფლაოზე გოგი ბიძიას საფლავთან მივდივარ ხოლმე, მწუხარე სამარიდან თითქოს მისი ხმა მომესმის:

ჩამოირბინე შენ ჩენს საფლავზე,
იქვე მახლობლად ჩამოჯექ ქვაზე,
და დაამღერე შენი ნაზის ხმით

ჭლექიანი ვარ და შემობრალე.

მომესმის იმ ხალხური ლექსის სტრიქონები, ჩემს ბავშვოვაში მეზობლის ქალი გიტარაზე რომ აკენესებდა ხოლმე ...

...

ჩვენი ოჯახის ისტორია დიდად არის დაგალებული მამიდა თინას იმ 147 გვერდიანი მოგონებათა წიგნით, რომელსაც იგი 1920-1979 წლებში ქმნიდა და რომლის გვერდებზეც გაცოცხლებულია აწ უკვე გარდასულ წინაპართა ჩემთა იერ-ხატი. ეს წიგნი მიდღგენს ჩატეხილ ხიდს ჩემი ოჯახის წარსულსა და დაუვიწყარ ადამიანთა შორის.

ღიას, იწვა სარეცელს მიჯაჭვული არცთუ ხანდაზმული ქალი და თავისი შავი, მოელვარე და მბრწყინავი თვალებით შემოგვეყურებდა ონავარ ტყუპებს, ჩვენი სიცვლქით რომ ვიკლებდით იქაურობას, მაგრამ ის მაინც ჩუმად და უხმაუროდ იწვა და უდრტვინველად ებრძოდა თავის მძიმე სენს, პარკისონის დაავადებას, რომლის სამუდამოდ აღგვას პირისაგან მიწისა კაცობრიობას პირდება დღევანდელი გენური ინჟინერია.

ახლა, როდესაც ძველ ფოტოსურათებს ვათვალიერებ, დავეყურებ ხოლმე ანეტა ბებიას ხუჭუჭა, ნაკრავულა თმებსა და მის ბერძნულ-რომაულ სახეს, უნებურად თავს მახსენებს სარეცელიდან შემომყურე მისი სევდიანი და უიმედობით აღსავსე თვალები.

ყველაზე უფრო დიდი მოწონებას ის ძველი ფოტოსურათი იწვევს ჩემში, ბებია მეუღლე იპოლიტესთან რომ არის გადაღებული სიმფეროპოლში და ხელთ პატარა ბავშვი უჭირავს. აქ ისინი ფეხზე დგანან, ტანთ დახვეწილი და უზადოდ შეკერილი სამოსი აცვიათ.

ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ბაბუა იპოლიტე ერთ-ერთი იქაური ფაბრიკანტის ულამაზეს ქალიშვილს მოსწონდა თურმე, ოჯახშიაც კი იწვევდნენ, როგორც მომავალ სასიძოს, მაგრამ ბაბუამ უარი თქვა მის შეთავაზებაზე, აქაოდა შვილები გამირუსდებიანო და მართლაც ბრწყინვალედ მოიქცა. შეერთო იმერელი ქალი, ლამაზი, პატრიოტი და რელიგიური სულისკვეთებით გასხვიოსნებული – ბებია ანეტა აღექსანდრეს ასული აბდუშელიშვილი, რომელმაც თავის მხრივ შექმნა ნამდვილი ქართული ოჯახი.

ეს პიროვნება ცხოვრების პასიური მჭვრეტელი არასოდეს ყოფილა. რელიგიით, სამშობლოს სიყვარულითა და მწერლობით შთაგონებული ქალი მუდამ სიყვარულით კითხულობდა თავისი მომავალი მეუღლის, მაშინ ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტის იპოლიტე ვართაგავას პატრიოტული ხასიათისა თუ სიყვარულისადმი მიძღნილ წერილებს, რომელთაც მათი ავტორი “ივერიისა“ თუ “კვალის“ ფურცლებზე ბეჭდავდა ხოლმე. სწორედ სიყვარულისადმი მიძღვნილმა წერილმა შეახვედრა ისინი ქუთაისში და სამუდამოდ შეაუღლა კიდევ.

1917 წლის ჟურნალ “თეატრი და ცხოვრების“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული მისი პატრიოტული წერილი: “რანი ყოფილან“ – ხაზს უსვამს ბებია ანეტას მამულიშვილურ სულისკვეთებას.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო მის მიერ დაწერილი და იმავე 1917 წლით დათარიღებული, თავისი დისშვილის ლილი ხაბურზანიასადმი გაგზავნილი უსტარი:

ლილი... ქართულ გაზეთებზე და საზოგადოდ საქართველოს საქმეებზე, ვცდილობ ამ წერილში არაფერი ვთქვა, რადგან თუ დავიწყო, ვეღარ გაგჩერდები და ისევ სჯობს არაფერი ვთქვა. გაზ. “საქართველოს“ კვირის სურათებიან დამატებაში, რომელსაც ალბათ შენც ნახავდი, სიღამონ ერისთავის სურათმა – “ფეხშიშველი ამირანი ჯაჭვს წყვეტს“ ბევრი მატირა.

აღნიშნული გრაფიკული სურათი მაშინვე ამოუჭრია გაზეთიდან, ჩარჩოში ჩაუსვამს და თავით ჩამოუკიდებია კედელზე. ნახატზე ამირანი ძველი ქართლელი გლეხი ბიჭის სამოსით იყო გამოსახული. ჩემი და ჩემი ტყუპი ძმის ტარიელის სტუდენტობის წლებში ამ ნახატის რეპროდუქცია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; ისევ ძველებურად ეკიდა კედელზე, ვიდრე , ბოლოს და ბოლოს მთლად არ გაფერმკრთალდა და ნაცრად არ გადაიქცა.

ამირანი ბებია ანეტასათვის იმდენად უნდა ყოფილიყო შთაგონების წყარო, რამდენადაც იგი ქართველი ხალხის თავისუფლების სიმბოლოდ ყავდა წარმოდგენილი.

ამ მითიური გმირის სულისკვეთებას აკაკი ასე ეხმაურებოდა:

დრო მოვა და თავს აიწყვეტს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი.
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი ...

საინტერესოა, რას იტყოდა ბებია ანეტა, ჩემი ვაჟის გიორგის მიერ იმავე ამირანისადმი მიძღვნილი პატარა ფერწერული ნამუშევარი რომ ენახა? ამირანი მოცისფრო-მოღურჯო ფონზე მუხლებ მოკეცილი, ხელებაპყრობილი, მიჯაჭვული და დედიშობილად არის წარმოდგენილი.

ეს ნახატი ბუინევეში, ჩვენი მშობლიური სახლის სწორედ იმ ოთახშია დაცული, რომელშიც 9 წელი იწვა და ბოლოს აღესრულა კიდევ ეს წამებული ქალი ...

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გავიხსენებ მოხევეთა თქმულებას მყინვარწვერზე მყოფ და გველ-ვეშაპთან მორკინალი ამირანის შესახებ. სწორედ იქ, კლდის ბუნებრივმა ფაქტურამ, შექმნა ამირანისა და ურჩხულის ორეული, რაშიც მოხევეებმა მათი ბრძოლის ამსახველი სურათი შეიმეცნეს.

ეს მოვლენა საფუძვლად დაედო ჩემს მოზრდილ კომპოზიციას, რომლის ფერში ამეტყველებასაც ამ მოკლე ხანში ვაპირებ

...

მიჯაჭვული ამირანის ოცნებასა და სულისკვეთებას ფრთები 1921 წელს შეესხა როდესაც საქართველომ თავისუფლება მოიპოვა და იგი დეიურედ აღიარეს.

ამ უნეტარეს დღესთან დაკავშირებით მამიდა თინა თავის ზემოთხსენებულ მოგონებათა წიგნში წერდა:

“ერთხელ კვირა დღეს, დედა წავიდა დამფუძნებელ კრებაზე, რამდენიმე ხნის შენმდე კი დაბრუნდა სიხარულისაგან ფრთაშესხმული და მოგვახარა, რომ თურმე საქართველო ანტანტამ დეიურედ ცნო და აგვიწერა დამფუძნებელი კრების აღტაცება. აღფრთოვანებული მივვარდი მამას... მან მითხრა რომ: ჩვენ აქამდე ვიყავით დეფაქტო, ეხლა კი იურიდიულად გვცნო ევროპამ და ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრი ვართო.

იმ დღეს მე და დედა გავედით გარეთ, ქუჩაში სრული აღტაცება სუფევდა. ყოველი ქართველის სახეზე გამოითქმოდა უსაზღვრო სიხარული. ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ და იყო ერთი ხვევნა-კოცნა. გაჩაღდა პატრიოტული სიტყვით ლაპარაკი. შემდეგ ეს ხალხი პროცესიად დადგა და გაემართა სასახლისაკენ. პროცესიას სასახლესთან მე და დედაც შევუერთდით. სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანიას, მას მეტისმეტი სახირულისაგან ენა დაება, თითო აზრის გამოთქმას დიდ დროს ანდომებდა ... როგორც იყო ნოემ დაამთავრა გამოსვლა, იმისი უკანასკნელი სიტყვა აღტაცებულმა ტაშის ცემამ გააყრუა. საუბედუროდ, იმ სასიხარულო დღეს ცივი, სუსხაინი ამინდი იდგა. ცოტა თოვლიც მოდიოდა და ვსველდებოდით.

ჟორდანიას შემდეგ გამოვიდა ალექსანდრე ლომთათიძე... მან თავისებურად, პატრიოტული სიტყვებით დაიწყო ქუხილი. ის ხან ჯარს და გვარდიას მიმართავდა, რომელიც ამ დროს რუსთაველის პროსპექტზე იყო ჩამწკრივებული. ყოველ იმის გამონათქვამზე, “გაუმარჯოს საქართველოსო” – გაისმოდა პასუხად, ლომთათიძე იძულებული იყო, შემდგარიყო, ძალა მოეკრიბა და ისევ განეგრძო ...

მის მერე კიდევ ბევრმა ილაპარაკა. სხვათაშორის, სამსონ დადიანმა და ისიდორე რამიშვილმა, რომელიც ლაპარაკის დროს სულ ტიროდა. ბოლოს გამოაცხადეს უცხოელ მისიებთან წასვლის შესახებ, საქართველოს დეიურედ ცნობა მივულოცოთო.

პროცესია დაიძრა სოლოლაკისაკენ, მათ გავყვევით ჩვენც, მივედით იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის მისიებთან. ისინი გამოდიოდნენ ბალკონებზე და იძახდნენ: “ვი ვლიანდ ჯორჯია“, ე.ი. გაუმარჯოს საქართველოსო და ისევ უკან ბრუნდებოდნენ.

ბოლოს მივედით გერმანიის მისიასთან. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა მისიის წარმომადგენელი ურლის რაუშენი და სიტყვა თქვა გერმანულად, რომელიც ჩვენ რასაკვირველია არ გვესმოდა.

ყველაფერი რომ დამთავრდა სახლისკენ წამოვედით. მაშინ ჩვენ ერევნის მოედანზე, სასტუმრო “კავკაზის“ ერთ-ერთ ნომერში ვცხოვრობდით.

მეორე დღეს “დეიურეს დღე” გაიმართა, მთელი ქალაქი განათებული იყო მაშხალებით და სხვადასხვა რაღაცეებით. ჩვენ ქალაქის ქუჩებში ვსეირნობდით.

დანარჩენმა დრომ ჩვეულებრივ ჩაიარა, მე და დედა თეატრში დავდიოდით; ვიყავით “დალატზე“, ოპერა “ფაუსტზე“, “დონ ჟუანზე“.

აგრეთვე ვიყავით ადღუმზე მე, დედა, კაკი, გოგი და თამარა (თამარა გოდაბრელიძე) ...

...

სიონში შევალ

გავიდა ხანი და გამოვიდა ხმები, სომხებმა ქართველებს ომი გამოუცხადესო, მერე სომხებს ბოლშევიკები მოყვნენ და დაიწყო ბრძოლა. ქალაქმა თბილისმა ნამდვილი “ვაენნი“ სამხედრო სახე მიიღო. ჩვენ სახლში გული არ გვიჩერდებოდა, სულ ქუჩაში ვიყავით და ვუყურებდით სამხედრო მზადებას“.

...

მოკლედ, თინა მამიდას მოგონებების ამ ფუტცლებზე ცოცხლდება მაშინდელი თბილისის ნამდვილი ყოფა-ცხოვრება: ჯარისკაცთა სვლა, ავტობუსთა გრაილ-გრიალი, “აეროპლანთა“ გაბმული ზუზუნის ხმა, საქართველოს პატრიოტ ახალგაზრდათა და მათ შორის, 14 წლის პირტიტველა ბიჭუნების ნებაყოფლობითი ჩეწერა ჯარში და ტაბახმელის ფრონტზე წასვლა.

“აუარება დაიხოცა ჩვენი ჯარიდან, –საუბარს აგრძელებს ავტორი და მწუხარე ტონით მოგვითხრობს, – გმირი იუნკრები კი სულ გაწყდნენ . საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ! “

უარება დაჭრილები ჩამოჰყავდათ. გოგიც ჩაეწერა, როგორც სამედიცინოს სტყდენტი და წაიყვანეს ფრონტზე დაჭრილების მოსაველედად. კაკიც წავიდა, მაგრამ ისევ მალე მოვიდა, რადგან საჭირო არ იყო... მოწყალების და მარო მაყაშვილი, კოტე მაყაშვილის ქალიშვილი და 40 დახოცილი იუნკერი, დიდი გლოვით დამარხეს სობოროს გალაგანში, რუსთაველის პროსპექტზე (ახლანდელი მთავრობის სახლის ტერიტორიაზე იდგა სობორო). მე დიდად განვიცდიდი ყველაფერს და ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს.

საქართველომ ვედარ გაუძლო მოწოლილ მძლავრ მტერს და დამარცხდა. 1922 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკები შემოვიდნენ თბილისში. დიდი შიში განვიცადეთ მაშინ, ქალაქი მთლად დაიცალა. სახელმწიფო მოხელეები და უბრალო ხალხი, რომლებმაც მოასწრეს ოჯახებით გადაიხვეწნენ საზღვარგარეთ“...

• • •

საქართველოში კიდევ დიდხანს მოისმენდით დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მწუხარე სიმღერას:

“სიონში შევალ,სანთელს ავანთებ
დაღუპულ გმირთა მოსაგონებლად.
იცოდეს ყველამ, იცოდეს ყველამ,
რომ ჩემი სატრფო საქართველოა”.

• • •

საქართველოს დეიურესთან დაკავშირებით, გაზეთ “საქართველოს “ 1918 წლის 1 აგვისტოს ნომერში, იპოლიტე ვართაგავა ასეთ აღფრთოვანებულ სიტყვებს აქვეყნებს: “დაიმსხვრა საბოლოო ბორკილი მონობისა. მიჯაჭვული ამირანი ამიერიტგან თავისუფალია. გაუმაძღარნი ყვაგ-ყორანნი მიიძალნენ. ბედი ქართლისა მისი შვილების ხელშია. გამართლდა ბრძენ სოლომონ მსაჯულის აზრი; ირაკლის ორიენტაცია ისტორიამ უარყო; ქართველმა ხალხმა საკუთარ ორიენტაციას მოჰკიდა ხელი და მით დაგმო მონურ ფსიქოლოგიის ნაშობი სხვისი ღაქიობა, ხელში აიღო ეროვნული დროშა, შეუდგა ეროვნულს შემოქმედებას, გულში ადანთო სამშობლოს წმინდა სიყვარული და სწორი გზით მიდის თითონ საუკეთესო მომავლისაკენ! “

ეს წერილი გადმობეჭდა გაზეთმა “ერმა“ 1991 წლის 22 მაისს ... თითქოს ბაბუა იპოლიტე ილიას ლექსისი სტრიქონებს იმეორებდა:

“ მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა.”

...

მაგრამ ნათქვამია: ხალხი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. გულახდილად რომ ვთქვათ, ღმერთის სიცილი ერთობ ძნელი წარმოსადგენია. საეკლესიო კანონიკურ მხატვრობაში გაღიმებულს ვერ ნახავთ ვერც უზესთაესთა და ვერც უქვედაესთა ნებისმიერ წარმომადგენელს მაცხოვრიდან დაწყებული, წმინდანად შერაცხულ მოწამით დამთავრებული, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

აპოკალიფსის შავმა მერნებმა თბილისში რომ შემოაღწიეს, მჯერა, ღმერთი არათუ გაღიმებული, მწუხარე და თვალცრემლიანი იქნებოდა.

რა განწყობა უნდა ჰქონოდა ქართველ ხალხს მზის ამ დაბნელებისა და სისხვლიდვრის პროცესში? რა ხასიათზე უნდა ყოფილიყო ბაბუა იპოლიტე, როცა ტაბახმელის ფრონტზე გაწვეულ მის ვაჟიშვილებს თავისუფლად შეიძლება დაღუპულ იუნკერთა ან მოწყალეების დის მარო მაცაშვილის ბედი გაეზიარებინათ!

მოგვიანებით, როცა ბაბუა იპოლიტე მარო მაცაშვილის მამის, მაშინდელი მწერალთა გაერთიანების პირველი თავმჯდომარის, პოეტ კოტე მაცაშვილის მოადგილე იყო, უმშვენეირეს, მაროზე საუბარი ერთისთვისაც მძიმე იქნებოდა და მეორისთვისაც, უფრო სწორედ, შეუძლებელიც კი.

თითქოს ბედის დაცინვა უნდა ყოფილიყო, ბრძოლაში დახოცილთა დაკრძალვა იმ ტაძრის ეზოში, რუსებმა გუნების აღებასა და შამილის დატყვევებასთან დაკავშირებით რომ ააგეს მაშინდელი გოლოვინის პროსპექტზე.

...

ქაოსმა და უიმედობამ დაისადგურა ქვეყანაში. გაიქცა მთავრობა და ხალხის ნაწილი. ბათუმში იტალიურ გემზე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას მისმა ერთ-ერთმა ერთგულმა მცველმა თეიმურაზ არჩილის ძე მაჭავარიანმა ააცილა და ნიშნად დამშვიდობებისა, მარჯვენა ხელი გაუწოდა. მაგრამ ჟორდანიამ წამით შეაჩერა იგი და ყოველგვარი შესავლი გარეშე მასაც უცხოეთში წაყოლა შესთავაზა, რაზეც მან ცივი უარი მიიღო.

– დაგხვრეტენო, – გააფრთხილა ჟორდანიამ.

– დაე ეგრე იყოს, მშობლიურ მიწას მაინც დავიმარხებიო, – იყო თეიმურაზის პასუხი.

ამაო ხვეწნის შემდეგ, ჟორდანიამ ტომარა მაშინდელი ბეყა ფულით აუფსო, მხარზე აჰკიდა და სამუდამოდ დაემშვიდობა.

მშობლიურ იღუმში ჩასული თეიმურაზ მაჭავარიანი მეორე დღესვე სახლიდან გაიყვანეს და შორაპანთან ახლოს, მდინარე ყვირილის მარცხნივ, ერთი მიტოვებული, ორსართულიანი სახლის სარდაფში გამოამწყვდიეს სხვა განწირულებთან ერთად. აღსასრული გარდაუვალი იყო, მაგრამ ისევ გლეხებმა გამოიხსნეს ტყვეობიდან, ვითარცა სიკეთით, კეთილშობილებითა და სტუმართმოყვარეობით აღსავსე ახალგაზრდა.

მას შემდეგ იგი ზესტაფონის ფეროს ქარხანაში მუშაობდა თითქმის პენსიაში გასვლამდე.

...

ჩვენს საოჯახო არქივში დაცულია ჩემი და ჩემი ძმის მიერ სოფელში გადაღებული ერთი ფოტოსურათი. საჩხერისა და შორეული მთების ფონზე მოჩანს მინდორზე დაჩოქილი და ღვინიანი ჭიქით მაყურებლისაკენ მიქცეული გამხდარი და მაღალი მამაკაცი. ეს პიროვნება თეიმურაზ არჩილის ძე მაჭავარიანია, ნოე ჟორდანიას

ყოფილი მცველი. მაშინ ბუჩინევში, დასთან ასული მამაკაცი, იპ. ვართაგვას ოჯახის წევრებმა მივიწვიეთ სასურველ სტუმრად.

როცა ეს სიკეთის ეტალონი გარდაიცვალა, იღემში, მის უახლოეს ადამიანებთან ერთად, მეც მომიხდა ჩასვლა.

სამარე საკუთარ მამისეულ ეზოში და აწ უკვე იავარქმნილი სამლოცველოს გვერდით იყო გაჭრილი, იმ ყოფილი სამლოცველოს გვერდით, სადაც საკოლმეურნეო წყობილების პირველსავე დღეებში, რვეოლვერით თავი მოიკლა თეიმურაზის მამამ, ერთ დროს შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალმა – არჩილ მაჭავარიანმა, აქაოდა სოფლის ვიღაც ბოგანო ბრიგადირმა “ამხანაგოთი“ რატომ მიმართა მას.

...

სასტუმრო “კავკაზის” წინ

თავისუფლების მოედანზე “ქორთიარდ მერიოტის” ახალი ფეშენებელური შენობის აღმართვამ მოედნის ამ მონაკვეთზე წარსულის ყოველგვარი ნაკვალევი წაშალა. ვერავინ წარმოიდგენს, რომ მის ადგილზე ცნობილი სასტუმრო “კავკაზი” და რიგი შენობები იდგა. ერთადერთი, რითაც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნულ შენობებზე, ეს იმდროინდელი ფოტოსურათებია.

ბოლშევიკების შემოსვლამდე, სასტუმრო “კავკაზის” მესამე სართულზე, ოჯახით ცხოვრობდა თბილისის საულიერო სემინარიის მასწავლებელი იპოლიტე ვართაგავა.

მაგრამ ამ სასტუმროში დაბინავებამდე ცხოვრება უხდებოდა ჯერ სოლოლაკში გუდოვიჩის, დღევანდელ ჭონქაძის ქუჩაზე, აქედან პუშკინის ქუჩაზე, შემდგომ კი ვაკეში ანუ სასულიერო სემინარიის იმ შენობაში, საიდანაც 1920 წელს, ინგლისის ჯარებისათვის გამოასახლეს მენშევიკებმა. ამ შენობაში მოგვიანებით 9-ე საავადმყოფო განთავსდა.

ექვსი ოთახი, უფასო განათებითა და გათბობით, დაატოვებინეს იმ მასწავლებელს, ვინაც თავდადებული სამსახურისათვის, იმპერატორ ნიკოლოზ II მიერ ორგზის იყო დაჯილდოებული წმინდა ანას და წმინდა სტანისლავის ჯერ მესამე, ხოლო შემდეგ იმავე წმინდანთა მეორე ხარისხის ორდენებით, რაც თავის მხრივ საფუძველი გახდა მისთვის აზნაურის მემკვიდრეობითი ტიტულის მინიჭებისათვის. ბაბუა იპოლიტეს ამის შესახებ ჩვენთან საუბარში სიტყვაც არ დასცდენია და არც რაიმე საბუთი უჩვენებია ოჯახის წევრებისათვის.

სასტუმრო “კავკაზი” ბოლშევიკური ჯარის ოფიცრებით აივსო. ნორმალური ცხოვრება და სემინარიის მოსწავლეთა რვეულებზე მუშაობა იპოლიტესათვის შეუძლებელი გახდა. მაშინ მან ოთახის კარზე ფურცელი გააკრა, რითაც ოფიცრებს სიწყნარისაკენ მოუწოდა.

...

იმ დღით, ვიდრე ბოლშევიკები თბილისში შემოვიდოდნენ და სასტუმრო “კავკაზში” დაიდებდნენ ბინას, ანაზდად ბაბუა იპოლიტესა და მისი ოჯახის წევრებს, ერევნის მოედნის მხრიდან, ვიღაც მამაკაცის მქუხარე ხმა შემოესმათ :

– “იპოლიტეე !... იპოლიტეე!... ვიღაც აივანს შემოსძახის, მისი შეძახილი არემარეს აზანზარებს, ვინ არისო, შეშინდა ოჯახი. გავედი და რას ვხედავ: ჩემი აივნის წინ დგას ეტლი, ეტლში პაოლო იაშვილია, აღუმართავს წითელი დროშა და შემომძახის : მე ბოლშევიკებს უნდა

შევეგებო, შენ კი წადი და სარაჯიშვილისეული სახლი დაიკავე მწერალთა კავშირისთვის“.

ასე აღწერს მწერალი ოთარ ჩხეიძე ბოლშევიკთა თბილისში შემოსვლის სისხლიან დღეს რომანში: “ჩემი სავანე” (ხასიათები და პორტრეტები).

წავიდა ბაბუა იპოლიტე, მყის შეასრულა პაოლო იაშვილის თხოვნა და შესაბამისი წარწერაც გაუკეთა აღნიშნულ შენობას: “სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“.

მოგვიანებით, კოტე მაყაშივილთან და პაოლო იაშვილთან ერთად, ისევე უკან მიბრუნდა და ერთიანი ძალისხმევით საბოლოოდ დაუნარჩუნა ქართველ მწერლებს აღნიშნული სასახლე.

ამის შესახებ ვრცლად გვიამბობს იპოლიტე ვართაგავა თავისი “მოგონებების” მეორე წიგნის ქვეთავში: “საქართველოს მწერალთა კავშირი და მისი კომიტეტი “ (გვ. 359-380) .

...

გამოხდა ხანი და ხსენებულ სასახლეში, კრების მსვლელობის დროს, გადაჭრილი სანადირო თოფით, თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა. ბერიას, რომელიც ამ დროს ტრიბუნაზე იდგა, არც კი შეუწყვეტია საუბარი.

ბედის დაცინვაც ამას ქვია! რა აზრი ჰქონდა პოეტის ბოლშევიკებთან საზეიმო შეხვედრას, თუკი მათი შემოსვლა პაოლოსთვის სიცოცხლის აღსასრული იქნებოდა?

ხელმწიფის ნავში ჯდომა მართლაც საშიში ყოფილა.

შორაპნის მაზრის თავად-ახნაურთა მარშალმა არჩილ მაჭავარიანმაც თავი მოიკლა კარის ეკლესიაში , სამაგიეროდ მას გუნდრუკი როდი უკმევია ბოლშევიკებისათვის ...

...

მაინც რანი იყვნენ ბოლშევიკ-მენშევიკები? რა საერთო იყო მათ შორის ან რა ჩატეხილი ხიდი თიშავდა მათი ბრძოლისა და აზროვნების მიმართულებებს?

სწორედ ამის შესახებ უყვებოდა ერთ დროს იპოლიტე ვართაგავას, რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი და ბრწყინვალე საბავშვო პოეტი გივი ჭიჭინაძე:

–ერთხელ ყრმით მიმავალ გლეხკაცს გზად ვირაც უცნობი მამაკაცი დაემგზავრა და მცირეოდენი გასაუბრების შემდეგ, მეურმისთვის ბოლშევიკ-მენშევიკთა რაობაზე დაუსვამს კითხვა. თამამ და ენამოსწრებულ მეურმეს დაუფიქრებლად უთქვამს:

– ბატონო, ხომ ხედავთ ურმის ბორბლის შუაზე გადაჭრილ ფუნას? აი, ეს მისი დიდი ნაწილი ბოლშევიკები არიან , პატარა კი მენშევიკებიაო. დასკვნის გაკეთება თქვენთვის მომიბდვიაო.

– დასკვნა ის არის, რომ ერთიც ნეხვი ყოფილა და მეორეცო, – უპასუხნია გაოცებულ მგზავრს.

ბაბუა იპოლიტეს სიცილ-ხარხარი დღესაც ყურებში ჩამესმის. იგი იმ დღეს პირველად ისმენდა გლეხკაცური აზროვნების ამ შესანიშნავ ანეგდოტს, თავის დროზე ერთობ მოდაში რომ იყო.

რკინის საწოლი და სასტუმრო “კაგაკაზიდან” გადაბარგება

სამხედრო კომენდანტს წაუკითხავი არ დარჩენია სასტუმროს ერთ-ერთი ნომრის კარებზე გამოკრული თხოვნის ფურცელი: “გთხოვთ ნუ იხმაურებთ, აქ ცხოვრობს პედაგოგი” და ბაბუა იპოლიტესათვის თავაზიანად უთქვამს : – ბატონო, ვერ შეგპირდებით სასტუმროში სიწყნარისა და წესრიგის დაცვას. თავად ხედავთ როგორი არეულობაა, მიდი-მოდი და ხმაურია ყველა სართულზე. იქნებ თქვენთვის სხვა ადგილზე გადასვლა სჯობდეს. აი, ჩვენს მოპირდაპირე შენობაში ერთი დიდი, ექვს ოთახიანი ბინაა თავისუფალი. შედით და იცხოვრეთ, ხმას ვერავინ გაგცემთ უბატონოდ. მე კი ერთ რკინის სამხედრო საწოლს გაგატანთ თან, გამოგადგებათ. სხვა აქ არაფრის საშუალება არ არის.

ბაბუა იპოლიტე სიხარულით გადავიდა იმ ქუჩაზე, რომელიც დღეს თბილისის სასულიერო სემინარიიდან მისი მოწაფის – გალაკტიონ ტაბიძის სახელს ატარებს.

მილიონერი მანთაშოვის მიერ აგებული ამ ევროპული სტილის კაპიტალურ შენობას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მშვენიერება.

ამ ბინის ადრინდელი პატრონი, დროებითი მთავრობის სეიმის წევრი ივანე გობეჩია, ოჯახით გაქცეული იყო თბილისიდან. რამდენიმე ხნის შემდეგ უკან მობრუნებულ ივანეს, ბაბუა იპოლიტემ ორი ოთახი ისევ დაუბრუნა, მაგრამ მან მაინც შეძლო და კიდევ ორი ოთახი, ვითომდა სტუმრებისა და დროებითი სარგებლობისათვის, გამოეტყუებინა ბიძაჩემის გოგისა და მამიდა თინასათვის, იმ დროს სტუდენტები რომ იყვნენ და ადვილად რომ მოატყუა გობეჩიამ. საპატიო სტუმრების წასვლის შედეგ, თითქოსდა კვლავ დაუბრუნებდა უკან, მაგრამ ნურას უკაცრავად.

ბაბუა იპოლიტე იმ დროს მეუღლითურთ სოფელ ბუინევში იმყოფებოდა და ჭიათურის პუმანიტარულ ტექნიკუმში იწყებდა მუშაობას. მისი თბილისში ყოფნის შემთხვევაში, გობეჩია ამას ვერ გაბედავდა.

ბოლოს ივანე გობეჩია დახვრიტეს თუ გადაასახლეს, მისეულ ბინაში კი ბერიას მარჯვენა ხელი, სამხედრო ექიმი, გვარად ვანციანი შეასახლეს მეუღლითურთ. ქალს მარგო ერქვა. ჩვენ მუდამ თბილად და ადამიანურად გვექცეოდა. ქმარს მუდამ სამხედრო სამოსი ეცვა, გამხდარი, მაღალი და წარმოსადგეი მამაკაცი იყო. უშიშროების ჯურღმულებში მუდამ ესწრებოდა თურმე წამებულთა დაკითხვებს. მის ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული პატიმრის წამების გაგრძელებისა და მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

ვანციანის ვაჟიც ექიმი იყო, ცხოვრობდა და მიღვაწეობდა ქ. მოსკოვში. მოგვიანებით, როცა მისი მშობლებიც მოსკოვში გადაბარგდნენ და იქ დაიდეს ბინა, იგი მალევე ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ვანციანის ოჯახს პროფესორ ევსის ცინცაძის ოჯახი ჩაენაცვლა. დიდი და პატარა თითქმის ყველა ექიმი იყო, გარდა ევსისის მეუღლის – თამარა მარჯანიშვილისა, რომელიც პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მისგან ჩვენ არაერთი თბილი სიტყვა და პატივისცემა გვახსოვს.

ამ ოჯახის აღზრდილი – დიტო გაიოზის ძე ცინცაძე, ცნობილი კინორეჟისორია, არის არაერთი ჯილდოსა თუ პრიზის მფლობელი.

თავის დროზე იგი მონაწილეობდა ფილმ “ცისფერი მთების” გადაღებაში, რომელიც ძირითადად დადიანის ქუჩის კუთხის სამსართულიან სახლში მიმდინარეობდა, მაშინდელი მთარგმნელობითი კოლეგიის კუთვნილ შენობაში. მეც იქ ვმუშაობდი მთავარ მხატვრად და დიტოს თითქმის ყოველდღე ვხვდავდი.

დიტოს ძმა, ნიკა, სპეციალობით ექიმია, ე.წ. “არამიანცის” საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების თანამშრომელი, ამავე დროს ნიჭიერი პოეტი და მხატვარი. გამოქვეყნებული აქვს საკუთარი ხელით გაფორმებული ლექსთა მცირე კრებული. ნიკას მე მისტიკოს პოეტად ვთვლი და ეს მოსაზრება პირადად ვუთხარი მას.

ბოლოს ეს ოჯახიც გადავიდა სხვაგან. პროფესორის შთამომავლებმა თბილისის სხვადასხვა ადგილებში დაიდეს ბინა, ჩვენ კი ძველებურად სამი ოთახი გვაქვს, სადაც ამჟამად ჩემი უფროსი ვაჟი მხატვარ-რესტავრატორი ირაკლი ვართაგავა ცხოვრობს.

ამ ბინასთან არაერთი ტკბილი მოგონება მაკავშირებს. სასკოლო არდადეგებს მუდამ აქ ვატარებდით, სტუდენტურმა წლებმა კი ძირითადად მის კედლებში განვლეს. ჩემი უფროსი და დალი აქვე დაფრთიანდა. პირველი კლასის დამთავრების შემდეგ, ბაბუა იპოლიტემ ბუჩინევის დაწესებითი სკოლიდან გამოიყვანა და თბილისში ჩამოიყვანა. აღმზრდელად რუსის ერთი კეთილშობილი ქალი მიუჩინა და ასე აზიარა ქალაქური ცხოვრების რიტმს. სკოლის გარდა, სპორტულ სექციაშიც დადიოდა, ორძელზე მოქნილი და მუშაითური მოძრაობებით აღწევდა სხეულის პლასტიკას. ოჯახში შემორჩენილია მისი ორძელზე ვარჯიშის ამსახველი ერთ-ერთი მომენტი.

სახჩერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ, ჩემმა უმცროსმა, შავტუხა დამ, მეგიმაც თბილისს მიაშურა. აქვე მოიმოწაფა სკოლის დარჩენილი წლები და შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის კედლები. აქვე შეება ცხოვრების უღელს, რომელიც დრემდე მიაქვს ადამიანური პატიოსნებისა და ღირსების გზით.

ჩემი და ჩემი ძმის შემოქმედებითი გზის აღმასვლა ძირითადად ამ ბინის ჭკერთან არის დაკავშირებული, თუმცა მისი თავწყარო უშუალოდ სოფელ ბუჩინევი იღებს სათავეს.

ხელოვნების ტვირთის ზიდვა მსუბუქიც იყო და ხატის რკინის უღელივით მძიმეც. მან ჩვენ ბევრი ტკივილიც მოგვიტანა და იმავე დროს უამრაც სიხარულსაც გვაზიარა.

დღესაც კი იმავე ბინის კედლებში იქმნება ჩემი არაერთი ფერწერული ტილო.

ამ სახლში მრავალი ათეული წლის მანძილზე ცხოვრობდა ბაბუა იპოლიტე ვართაგავა. იქ ქმნიდა თავის წიგნებსა და თუ ცალკეულ წერილებს. იქვე აღესრულა 1967 წლის იანვარში. სამუდამო განსასვენებელი კი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მორვაწეთა პანთეონში ჰპოვა.

ჭირის სუფრაზე, რომელსაც პოეტი იოსებ ნონეშვილი უძღვებოდა, ხაზგასმით იქნა აღნიშნული იპოლიტე ვართაგავას დამსახურების შესახებ მოზარდი თაობისა და ქართული მწერლობის დარგში.

ბაბუა იპოლიტეს საფლავის ქვის ღობურს შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონდა გაკეთებული. მოხდა ისე, რომ ამ შესასვლელი კარის წინ ცნობილი მოცეკვავე ილიკო სუხიშვილი დაკრძალეს, რაც თავისთავად აუქმებდა აღნიშნულ კარს.

ამის თაობაზე ილიკოს ვაჟს, თენგიზ სუხიშვილს ჩვენთან შეხვედრა სურდა თურმე, რის შესახებაც მთარგმნელობით კოლეგიაში მაცნობა ვახუშტი კოტეტიშვილმა.

თენგიზსა დამ ის მეუღლეს დიდუბის პანთეონში დათქმულ დღეს შევხვდით. ეს იყო 1988 წლის 6 ოქტომბერს, ხუთსაბათს.

თენგიზ სუხიშვილმა მე და მამიდა თინას ასეთი რამ გვითხრა: – მამაჩემის დაკრძალვამ თქვენი მიცვალებულის გვერდით საკმაოდ დიდი უხერხულობა შექმნა. ამისთვის გთხოვთ, აღნიშნული კარი გავაუქმო დამ ის ნაცვლად თქვენი მამისა და ბაბუის საფლავს შესასვლელი ჭინა მხრიდან გავუკეთო.

რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინვე დავთანხმდით. სულ მალე ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც ეს ჩვენმა თანამოსაუბრემ გვითხრა.

1995 წლის დეკემბრის მიწურულს, ბაბუა იპოლიტეს გვერდით სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა მისმა ქალიშვილმა თინამ, მამის ცხოვრებისა და შემოქმედების დიდმა მოამაგემ.

...

როგორ იქმნებოდა წიგნი: “ქართულ ემიგრაციაში”

მენშევიკური მთავრობის საზღვარგარეთ წასვლასთან დაკავშირებით ბევრი რამაა დაწერილი, რომელთა შორის ერთ-ერთ იმდროინდელმატიანედ უნდა მივიჩნიოთ ბებია ანეტას დისშვილის ალექო (ალექსანდრე) ანტონის ძე საბურზანიას წიგნი: “ქართულ ემიგრაციაში “. საუბედუროდ, გამომცემლობა “მწერალმა” აღნიშნულ წიგნს სათაური შეუცვალა და მას “გადახვეწილი” დაარქვა.

სათაურის შეცვლა უთუოდ დიდი დანაშაული იყო. გამომცემლობას ეს საკითხი მხოლოდ ჩემთან და ჩემს ძმასთან უნდა შეეთანხმებინა, რადგან აღნიშნული მოგონება, რემინგტონზე გადაბეჭდილი და აკინძული ნაშრომის სახით, ავტორმა ალ. საბურზანიამ ჩვენ გვისახსოვრა 1966 წელს ასეთი წარწერით: “ჩემი საყვარელი დეიდაშვილის, დაუვიწყარი კაკის შვილებს, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს ტარიელს და ავთანდილს სახსოვრად და მოსაგონებლად ავტორისაგან “. .

ალ. საბურზანია
1966 წელი, თებერვალი, ქ. თბილისი.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წიგნი ჩვენს თვალწინ იწერებოდა ფურცელ-ფურცელ. ცხადია, იგი არც არასოდეს არ დაიწერებოდა, საქართველოში დიდი პოლიტიკური ცვლილება რომ არ მომხდარიყო და თბილისში ბოლშევიკების შემოსვლას მენშევიკების გაქცევა არ მოჰყოლოდა.

ევროპისაკენ მიქცეულმა ტალღებმა ამ ბრწყინვალე წიგნის ავტორი ალ. საბურზანიაც გაიყოლა თან.

დიდი ცვლილება მოხდა იპოლიტე ვართაგავას ცხოვრებაშიც: სასტუმრო “კავკაზის“ მესამე სართულზე ერთ-ერთ ნომერში ცოლ-შვილთან ერთად მცხოვრები სემინარიის მასწავლებელი ახალ, მაღალჭერიან ბინაში კი გადავიდა საცხოვრებლად, მარგამ სულ მალე

სასულიერო სემინარია დახურულად გამოცხადდა და იპოლიტე ცხოვრების მოლიპულ გზაზე დარჩა ცარიელ-ტარიელი. არადა ოჯახს არსებობა სჭირდებოდა. მართალია, სოფლის ბედელი თბილისში ერთგვარ ლუფას აწვდიდა უსახსროდ დარჩენილთ მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

და მაინც ბაბუამ არსობის პურის თავაწყაროდ მაინც სოფელი ბუინევი მიიჩნია, რომელსაც აბდუშელიშვილები ხუმრობით “უენევას” ეძახდნენ და ეძახიან დღესაც. დაპკრა ფეხი და მეუღლესთან და ვაჟიშვილ ირაკლისთან ერთად მისთვის იმ დროს აღთქმული ქვეყნის ბუინევისაკენ გასწია. სახლის მშენებლობისა თუ ადგილ მამულთა აღორძინების საქმეში მას საკმაოდ სოლიდური თანხა ჰქონდა გაღებული, ხოლო შედეგი კი ვაცილებით ნაკლები იყო. სწორედ ამის გამო ბებია ანეტა ბუინევს სამართლიანად “უძირო ორმოს” ეძახდა.

უცხოეთში გაქცევა ბაბუას აზრადაც არასოდეს არ მოსვლია. ყოველივე ეს მისთვის სამშობლოს დაღატის ტოლფასი იქნებოდა. დაღატის ცნება კი მისთვის საერთოდ არ არსებობდა. სხვის ჯამში ცქერას, ათასწილად მიწის ჩიქნა ერჩია და ასეც იქცეოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

1921 წლიდან სოფელში გლეხკაცურად ცხოვრებამ და პარალელურად ჭიათურაში პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, 1949 წელს მას მოგონებათა სამას გვეწრდიანი წიგნი დააწერინა სათაურით: “მე და სხვები”.

დიახ, არც ბაბუას ეს წიგნიც არ დაიწერებოდა, მის ცხოვრებაშიაც მოულოდნელად ასეთი ცვლილება რომ არ მომხდარიყო.

მაშინ ამ ოჯახური ცვლილების ერთად-ერთი უტყუარი მოწმე ის რკინის საწოლი იყო, სასტუმრო “კაკაზიდან” იპოლიტეს რომ გაატანეს თან ახალ, სრულიად გამოცარიელებულ ბინაში, მომავალი საოჯახო კომფორტისა თუ ავეჯის სიმბოლოდ.

დიდხანს ემსახურებოდა ოჯახს იღუმალებით მოცული ეს რკინის უბრალო საწოლი, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს თბილის-სახჩერის მატარებლის სატვირთო ვაგონით სოფელში არ გავამგზავრეთ.

აქაც არ ეწერა ამ ტლანქ საწოლს მოსვენება: ოთახიდან ოთახში, ოთახიდან იავანზე დავარბენინებდით მას, ვიდრე არცთუ დიდი ხნის წინ სარდაფში არ ჰპოვა მყუდრო სავანე. ჯართში ჩაბარებისაგან მისმა ისტორიულმა წარსულმა იხსნა იგი...

1950-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში, ჩვენს ოჯახში ხშირად სტუმრობდა ბაბუას მეუღლის დისშვილი, ზემოხსენებული ალექო ხაბურზანია. ბუინევი მისი დედულეთი იყო.

ძმები აბდუშელიშვილების: სამსონ, ალექსანდრე, დავით და ლევან ნიკოლოზის ძეთა დიდი ფეოდალური სასახლე ჯერ კიდევ 30-იან წლებში მისცეს ხანძარს. ამიტომ, როდესაც ალექო ბუინევში ამოდიოდა ხოლმე, ძალაუნებურად ჩვენს სახლში ათევდა ღამეს. იპოლიტე ვართაგავას მიერ 1907 წელს აგებული ქვის დიდი სახლი, მას მშობლიურად მიაჩნდა. ის მხოლოდ ზაფხულის თვეებში ჩამოდიოდა სოფლად. ხსენებული სასახლე რომ არ დაეწვათ, ჩვენი საურველი, კატორღაგამოვლილი სტუმარი, ღამეს უთუოდ იქ გაათევდა. იქ, იმ სასახლის ჭერქვეშ, ალექსანდრე აბდუშელიშვილის ხუთი ქალიშვილს: ანეტას, ნინას, ლიზას, მამოსა და ფუცუცას, და მათ მეუღლეებს, ორ-ორი ოთახი ჰქონდა ბოძებული მამისა და ბიძებისაგან, რამეთუ ამ ოთხი ძმიდან ვაჟიშვილი არცერთს არ არგუნა ბედმა.

-ალექსანდრეს ხუთი ქალიშვილი ჰყავდა.

-მის ძმას დავითს, ქუთაისის ნოტარიუსს, ასევე ოთხი ქალიშვილი ებოძა უფლისაგან.

-სამსონი უშივილო იყო.

-ლევანი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი და ხალხოსანი, როგორც მეფისათვის არასასურველი პირი, შლისელბურგის ციხესიმაგრეში გამოამწყვდიეს და იქვე აღესრულა.

აღეკო ხაბურზანია აღექსანდრე აბდუშელიშვილის შთამომავალი იყო, მისსივე შთამომავლები ვართ ჩვენც: ანეტა აღექსანდრეს ასულისა და იპოლიტე ვართაგავას მოდგმა.

ყოველი წლის ზაფხულს, ჩვენთან სტუმრად ჩამოსულ აღეკოს, თან ჩამოჰქონდა თავისი მომავალი წიგნის ახალ-ახალი ქვეთავები, რომელთაც ჩვენ გვიკითხავდა ხოლმე. ჩვენ უბრალო მსმენელები კი არ უნდა ვყოფილიყავით, არამედ უნდა შეგვეფასებინა ემიგრანტული ლიტერატურის ეს შესანიშნავი ფურცლები.

აღნიშნული სტრიქონები ჩვენს თვალწინ აცოცხლებდნენ იმ ქარიშხლიანი დღეების სურათებს, არაერთი ადამიანის ცხოვრება რომ დაანგრია, მშობლიური ბუდე მოუშალა და სხვის კარზე სამოწყალოდ მიუჩინა ბინა.

თბომაგალ “მარიათი” ბათუმიდან წასულ ახალგაზრდა, პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის კურსდამთავრებულ და მაშინ ბათუმის გიმნაზიის მასწავლებელს, აღეკო ხაბურზანიას წინ შეუცნობი და ფათერაკებით აღსავსე ექვს წლიანი, შემდეგ კი ათ წლიანი ციხიბირის კატორღა ელოდა.

მან ყურმოკვრით იცოდა, რომ იმავე გემით საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილი გენერალ-გუბერნატორი, ხოლო შემდგომში ჰიტლერის გენერალი, შალვა მაღლაკელიძე. გარბოდნენ აგრეთვე რუსი ყოფილი მაღალჩინოსნები და გენერლები, კონსტანტინეპოლში ფუნთუშეულის გაყიდვით რომ ირჩენდნენ თავს.

წაკითხვა ძირითადად ჩვენი თეთრი სახლის აღმოსავლეთ აივანზე ხდებოდა. ერთ-ერთ, ხის უბრალო სავარძელში ბაბუა იპოლიტე იჯდა, გვერდით ზემოსხენებული რკინის საწოლის მახლობლად, ჩვენ ვიჯექით და სულგანაბულნი ვუგდებდით ყურს ავტორის ოდნავ ყრუ, დინჯსა და მონოტონურ აღსარებას, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ბაბუა იპოლიტე და არანაკლებ ჩვენც.

ბაბუა იპოლიტეს მოსწონდა ავტორის წერის დახვეწილი სტილი და მოველენათა მხატვრული გადმოცემის უნარი.

მაშინ, ჩვენი სახლის მყუდრო აივანზე, ორი რამ აცოცხლებდა ბოლშევიკთა არმიის თბილისში შემოსვლის სისხლიან დღეებს: სასტუმროში ბაბუისადმი ნაბოძები რკინის საწოლი, რომელიც თითქოსდა ჩვენსავით ყურს უგდებდა აღეკო ხაბურზანიას კითხვას დამის მიერ მომავალი წიგნის ფურცლებზე გაცოცხლებული 1921-1927 წლების საზღვარგარეთული მატრიანე.

1962 წლით დათარიღებული 465 გვერდიანი და “რემინგტონზე” გადაბეჭდილი წიგნი დღეს ჩვენს ოჯახშია დაცული. არაერთი ცდის მიუხედავად, ავტორმა ვერასგზით ვერ მოახერხა მისი ცალკე წიგნად გამოცემა. მიუტანია კიდევ მწერალთა კავშირში პოეტ შალვა აფხაიძესთან. პასუხისათვის პირადად მე გამგზავნა მასთან. დიდად

კეთილშობილმა ბატონმა შალვამ, ალექო ხაბურზანიას მოგონებას მხატვრულად დაწერილი ისტორიული ქრონიკები უწოდა. დღეს არა, მაგრამ დრო მოვა და უსათუოდ დაიბეჭდებაო, მითხრა მან და უკანვე გამატანა ავტორთან.

ერთ დღეს ამ წიგნის შესახებ მთარგმნელობითი კოლეგიის თანამშრომელს, მწერალ როდამ ჩაჩანიძეს ჩამოვუგდე საუბარი. როდამი მრავალი წლის განმავლობაში გემის კაპიტნის თანაშემწედ მუშაობდა და მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებს სერავდა. აღნიშნულ საქმიანობას მან არაერთი წიგნი მიუძღვნა. ბოლოს ზღვას დაემშვიდობა და ჩვენთან მთარგმნელობით კოლეგიაში დაიწყო სამსახური. იმ დროს საკუთარი მოთხრობების წიგნს ამზადებდა გამოსაცემად. ტირაჟის ერთი ნაწილი მაგარი ყდით უნდოდა გამოეცა. ამისათვის მუყაო იყო საჭირო.

როგორც მხატვარს, მუყაოების საწყობიდან გამოწერა მე შემემძლო. როდამმა დახმარება მთხოვა. მე მაშინვე დიდი ფორმატის 400 ცალი მუყაო გამოვუწერე და მწერალს გადავუცვი.

ალექო ხაბურზანიას მოგონებების შესახებ როდამს ვუამბე და მან თავის მხრივ გამომცემლობა “მწერლის” თავკაცს, პოეტ სილოვან ნარიმანიძეს უთხრა. სწორედ მან გამოსცა ეს წიგნი დიდი ტირაჟით. მხატვრობა ემირ ბურჯანაძეს ეკუთვნის, თბილისისა და სხვა არაერთი ბრწყინვალე ემბლემის შემქმნელს, ღირსეულ, კეთილშობილ ხელოვანს.

მე ამ დიდი ტირაჟიდან მხოლოდ ერთად-ერთი ეგზემპლარი შემხვდა, სულ ეს იყო და ეს. ჰონორარზე კი ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ მე მაინც ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რადგან ალექო ხაბურზანიას აუხდენელ ოცნებას ფრთები შევასხი.

...

ციმბირის ათწლიანი კატორღიდან დაბრუნებულ ალექო ხაბურზანიას, თბილისში ცხოვრების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. მხოლოდ საგურამოში ცხოვრების ნებართვა მისცეს და იქვე მოღვაწეობდა, როგორც პრადის უმაღლესი სასწავლებლის აგრონომიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული. თავისუფალ დროს კი ფანქარი ეპყრა ხელთ და წერდა თავაუღებლად. ემიგრანტული ლიტერატურის გარდა, მან კატორღული დღიურების თავზარდამცემი მატრიანეც შექმნა, რომლის სათაურია: “მილიონებიდან ერთის ნაამბობი“, 1966 წელი. ოთხი დიდი, ასფურცლიანი რვეულის გვერდებზე გაცოცხლებულია სისხლიანი კახემატების საშინელი ისტორია.

ეს რვეული მე გადმომცა ალექოს დისშვილმა, ცნობილმა ქართველმა მევიოლინემ, ირინე იაშვილმა 1994 წლის 8 ივლისს. ჩვენ იმ დღეს თბილისში, აბაშელის ქუჩაზე, გაგნიძეების ოჯახში შევხვდით ერთმანეთს თბილისელ ტყუპთა საზოგადოების შეკრებაზე. ეს საზოგადოება შეიქმნა 1993 წლის 31 მარტს, რომლის თაოსანიც იყო ხსენებული ოჯახის ქალიშვილი, ტყუპისცალი თინა გაგნიძე. ტყუპისცალი გარდაცვლილი ყავდა და ამ ამბავს ღრმად განიცდიდა იგი.

თინა ერთხანს გერმანიაში, რეჟისორ ჰერმან ვედეკინდის ოჯახში ცხოვრობდა. თბილისში ორივე ერთად ჩამოვიდა. ჰერმანი უკვე ღრმად მოხუცი იყო, ივლისის თაყარა სიცხეში სქელი პალტო ეცვა და ისე უსმენდა მის მიერ ქუთაისის ოპერის თეატრში დადგმულ ბეტჰოვენის “ფიდელიოს“. და თქმა უნდა, ჩვენც ყველანი სულგანაბულნი ვუსმენდით ამ დადგმის ტრანსლაციას.

ტყუპთა შეხვედრა დალოცა ცნობილმა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა და ამის შემდეგ, მეუღლესთან ერთად დატოვა იქაურობა ...

მე და ირინე იაშვილი ერთად გამოვედით ქუჩაში და პირდაპირ მისი ბინისაკენ წავედით ზემოთაღნიშნული რვეულების გადმოსაცემად. ირინემ მიხვეწა ის სკამი, ბიძამისი ალექო ხაბურზანია რომ იჯდა და ეძინა. კი არ ეძინა თურმე, გარდაცვლილი ყოფილა ...

მას შემდეგ ალიკოს კატორღული დღიურები ჩვენს ოჯახში ინახება. დღიურები ფანქრითაა დაწერილი, ფერმკრთალია და წაკითხვა ძალიან ჭირს. მე გადავწყვიტე მათი გადაწერა და უკვე რამდენიმე წელია მელნით ვასრულებ ამ მისიას. ვამუშავებ ამ დღიურების ბოლო რვეულს, რის შედეგადაც მათ დაბეჭდვაზეც ვიზრუნებ, და, თუ წიგნად არა, ჟურნალ-გაზეთებში მაინც გამოვაქვეყნებ ცალკეული თავების სახით.

ჩემის მხრივ, დანაშაული იქნებოდა მათი კარადაში შენახვა და უპატრონოდ მიგდება.

მათი კითხვისას ადამიანს უნებურად შეახსებებს თავს თეოდორე დოსტოევსკის – “ მკვდარი სახლის ცანაწერები “ .

სხვათა შორის, ხსენებული დღიურების ერთ-ერთ რვეულში დევს უშიშროებაში გაცემული ფურცელი, როგორც კატორღელის სრული თავისუფლებისა ...

დასასრულს მინდა აღვნიშნო ალიკო ხაბურზანიას მიერ თიხაში გაცოცხლებული კახელ გლეხთა შესანიშნავი ფიგურები, რომელიც არაერთხელ გამოუფენია მათ ავტორს ხალხურ შემოქმედთა გამოფენაზე და წარმატებითაც.

ამათგან ერთი პატარა ბიუსტი დაცულია ჩვენს სოფელ ბუინევში.

“ მინდა ვიცოცხლო “

მამიდა თინას დღიურების ბოლო გვერდზე მიწერილია ერთკუპლექტიანი ლექსი, თინა იპოლიტეს ასულს მართალია მშობელი დედის კუთვნილებად არ მიაჩნდა, მაგრამ პირადად ჩემი აზრით ეს სტრიქონები სწორედ ბებია ანეტას პოეტურ-მელანქოლიური აზროვნების ნაყოფი უნდა იყოს. აი, ეს ხსენებული ლექსიც :

მაშინ იმედის ნიაგი მომბერს,
უძლეველს ძალას ჩაგრულს გულს მოჰფენს,
არ მინდა მოგკვდე, მინდა ვიცოცხლო,
ტკბილად ვუმზირო ამ წუთისოფელს!

დიახ, ბებია ანეტა იმდენად პოეტური ბუნების ადამიანი იყო, რომ ამ ლექსის ავტორობაში მე მე წუთითაც არ მეპარება ეჭვი. ამის დასტურია თუნდაც გაზ. “საქართველოში” დაბეჭდილი მისი სამშობლოს სიყვარულით ანთებული პატრიოტული წერილი; მისი მიმოწერა პოეტისა და მსახიობი ქალის ნინო აბაშიძე-ორბელიანისადმი, რის შესახებაც ვკითხულობთ ქეთევან ირემაძის “ლიტერატურულ მედალიონებში”. სწორედ აქ არის ნახსენები აბდუშელიშვილის ქალი, რომელიც მამიდა თინას ურყევი რწმენით, მისი მშობელი დედა ანეტა (ანა) ალექსანდრეს

ასულია. ეს იმდენად არის სარწმუნო, რამდენადაც აბდუშელიშვილთაგან დღემდე არცერთი ქალი არ ყოფილა, კალამი რომ სჭეროდა ხელთ და იმავდროულად პოეტურ-პატრიოტული და რელიგიური სულისკვეთებით ეცხოვრა.

ამის დასტურია თუნდაც ჩვენს ოჯახში დაცული ღვთისმშობლის ნაქსოვი ხატი, რომელსაც თეკლათის დედათა მონასტრის იღუმენია ავტოგრაფით უძღვნის ბებია ანეტას : “გიძღვნით წმიდა დედათა მონასტრის ღვთისმშობლის ხატს ანნა აბდუშელიშვილ-ვართაგავას უფლის ღოცვა-კურთხევის ნიშნად, მარად დღეგრძელობისა და ... მსურველი თქვენი კეთილდღეობის ... წინამძღვარი თეკლათის დედათა მონასტრის იღუმენია ათანასია.

ავგისტოს 23 1900 წელი“

საუბედუროდ, აღნიშნული წარწერა ალაგ-ალაგ მთლიანად არის გადაშლილი, რის გამოც ტექსტი სრულყოფილად არ იკითხება.

რაც შეეხება თავად ხატს, აქა-იქ ისიც გაფუჭებული იყო, ჩემი უფროსი ვაჟის, ირაკლის მონდომებით, იგი სრულყო და ძირძველი იერი დაუბრუნა პოეტ კიბა არაბულის მეუღლემ, ხალხური ქსოვის დიდოსტატმა ქალბატონმა ელისომ.

აღნიშნული ხატი თავისი კომპოზიციური აგებულებით მეტად ორიგინალურია: ღვთისმშობლისა და ყრმის უკან ანგელოზი გველშემოხვეული ჯვრით ხელში დგას, რაც სიმბოლურად შეიძლება დაკავშირებული იყოს უდაბნოში მყოფ მოსე წინასწარმეტყველთან, რომელსაც ასევე ხელთ ეპყრა გველშემოხვეული სპილენძის ჯვარი.

...

2009 წლის გაზაფხულზე, ბუინევის “საჯვარეს” სასაფლაოზე ბებია ანეტას საფლავთან მისულს, კიდევ ერთხელ ამომტივტივდა ზემოთ ხსენებული ლექსის სტრიქონები:

არ მინდა მოკვდე, მინდა ვიცოცხლო,
ტკბილად ვუმზირო ამ წუთისოფელს ...

მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ბებიაც თავისდაუნებურად დაემორჩილა ბუნების უღმობელსა და მკაცრ კანონებს: გარდავიდა ამა ქვეყნიდან ოდესღაც ევროპაში არსებული წიგნის – “გარდაცვალების ხელოვნების” სტრიქონთა მოსმენისა და საღბუნის გარეშე. სტალინურ ეპოქაში ასეთ წიგნზე წარმოდგენაც არავის ჰქონდა ...

1941 წელს, ამა ქვეყნიდან ბებია ანეტას განსვლის წუთებში მსასოებელი მისი ვაჟიშვილი ირაკლი იპოლიეს-ძე და დედაჩემი, ნინა ილიას ასული იყვნენ.

მთელი ის პროცესია მე დღეს ბუნდოვნად მახსოვს. მაშინ ექვსი წლისა ვიყავი და საერთოდ ვერ ვგრძნობდი სიკვდილის საშინელებას.

ბებია ანეტას საფლავი, ბუინევის “საჯვარეს” სასაფლაოზე მრავალი ათეული წლის განმავლობაში ყოველგვარი პიროვნების მიმთითებელი დაფის გარეშე არსებობდა. მხოლოდ 2009 წლის გაზაფხულზე, დროებითი წარწერა თავად გაფუკეთე და რკინის ღობურზე მივამაგრე. ასევე წარწერები გაფუკეთე ბებია ანეტას დედის – ელენკო მუსხელიშვილის საფლავსაც ითხვისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სასაფლაოზე და კალვათის ღვთისმშობლის ეკლესიის სასაფლაოზე დედაჩემის დედის, მარო საჩინოს ასულ ძინძიბაძისა და მისი მეუღლის ილია კაპანაძის საფლავსაც ...

სამწუხაროა, რომ ხსენებულთაგან რვა ათელი წლისთვის არცერთს არ მიუღწევია!

ელენკო მუსხელიშვილი ანუ იგივე ოკო დედა, სახელგანთქმული მათემატიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის – ნიკო მუსხელიშვილის გარე მამიდა, ულამაზესი და მამაკაცთა შორის შრატონების წყარო, ყელის კიბოთი გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, 1928 თუ 1929 წელს.

ელენკოს მეუღლე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი (1837-1901), აკაკის თანაკლასელი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან, 64 წლის ასაკში აღესრულა. მასსოვს, როდესაც მე, ჩემი ძმა ტარიელი და ვაჟიშვილი გიორგი ითხვისის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას ვხატავდით და იქვე დიდი ბებიისა და ბაბუის, ელენკოსა და ალექსანდრეს საფლავებზე გავდიოდით ხოლმე, მაგანთ და მაგანთ თმები ყალყზე უდგებოდათ ამ ძველთაძველი საფლავების პატრონობის გამო და ამბობდნენ : - საუკუნის საფლავის კი არა ბარეორს გუშინდელი გარდაცვლილიც კი არ ახსოვსო ...



ფოტოზე - ალექსანდრე აბდუშელიშვილი და ელენკო მუსხელიშვილი. ქუთაისი 1870 –იანი წლები

ელენკოსა და ალექსანდრეს ხუთთაგან ერთ-ერთი ქალიშვილი, ბებია ანეტა 70 წლისა გარდაიცვალა.

დედაჩემის მამა, მშრომელი, ვაზის მესაიდუმლე და ე.წ. “დიდი კაპანაძეების“ ღირსეული მემკვიდრე, ილია ნიკოლოზის ძე კაპანაძე (1877-1955) 78 წლის ასაკში გარადვიდა ამა ქვეყნით. მეუღლე მისი მარო საჩინოს ასული ძინძიბაძე (1888-1960) ბრონქიალური ასთმით აღესრულა. ამ მძიმე სენტანიშნით დატანჯული ქალი დღენიადაგ სიკვდილს ნატრობდა და აკი აუსრულდა კიდევ. უწყინარი და ხმამოდულუნე ქალი, მუდამ საკუთარ ოჯახს იყო მიჯაჭვული, მეზობელთან იშვიათად თუ

გადავიდოდა და ისიც აუცილებლობის შემთხვევაში. სიბერემდე შერჩა მაყვალივით შავი თმა და აქა-იქ გარეული ჭაღარა. და რაც მთავარია არაჩვეულებრივი მხედველობა.

...

ყარაბაღის ძმათა სასაფლაოზე

სამწუხაროდ, ეს მშობლიური, ამა ქვეყნიდან გარდასული ადამიანები სხვადასხვა სასაფლაოებზე არიან მიმოფანტულნი.

ჩემი ოცნება იყო და არის დღესაც, რომ ბებია ანეტა და მისი ვაჟიშვილი, ჭლექის სენტანიშნით უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა პათანატომი გოგი იპოლიტეს ძე ვართაგავა (1901-1928), გადავასვენო ითხვისის სასაფლაოზე მათი მშობლებისა და ბებია-ბაბუს: ელენკო მუსხელიშვილისა და ალექსანდრე აბდუშელიშვილის გვერდით.

მშობლიურ ქართულ მიწას სამუდამოდ მოწყდა მამაჩემი ირაკლი ვართაგავა (1903-1942). მეორე მსოფლიო ომმა, ჩრდილო კავკასიის ფრონტზე დაჭრილი ჯარისკაცი, ყარაბაღში, სტეპანაკერტის ევაკოპოსპიტალში გადაისროლა და იქვე მალევე აღესრულა ჭრილობისა და ტიფის სენტანიშნით დაღდასმული.

ბაბუა იპოლიტეს შექმლო მისი საფლავის ნახვა, როდესაც ერთკვირიანი ხეტიალის შემდეგ, როგორღაც ჩააღწია სტეპანაკერტში. მისი მისია დაჭრილი შვილის თბილისში გადმოყვანა იყო, მაგრამ ამ სურვილს ახდენა არ ეწერა: ევაკოპოსპიტალის მთავარმა ექიმმა, ვისი სურათიც ახლაც ჰკიდია აღნიშნული საავადმყოფოს მეორე სართულზე, არათუ აღოდიანა ბაბუა იპოლიტე, ვიდრე შვილის ასავალ-დასავალს ეტყოდა, არამედ მისი დაღუპვის შესახებ საერთოდ არაფერი უთქვამს, მხოლოდ ქარაგმული ტონით აუწყა :

– თქვენი ვაჟიშვილი მეტად თავაზიანი, განათლებული და ღირსეული ადამიანი იყო ...

“იყო” – ეს უკვე ნათელი იყო რასაც ნიშნავდა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მთავარმა ექიმმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა “

– მე შემოდია გიხვენოთ მისი საფლავი, სულ ათიოდე მეტრშია ჩვენგან..

პასუხად, გულმკვდარი ბაბუა ფეხზე წამოდგა, შვილის ნაქონი მახორკის ქისა, წერილები და მცირეოდენი დაუსხარჯავი ფული ჯიბეში ჩაიღო და ... უკან დაბრუნდა.

რა ნერვები უნდა შერჩენოდა გაუბედურებულ მოხუცს, 13 წლის წინ, უფროსი ვაჟიშვილი – გიორგი რომ გამოეცალა ხელიდან. ახლა კი მეორე ვაჟიც დაკარგა და რაც მთავარია, მისი სამარე შორს, ძალიან შორს, უცხო მიწაზე გაიჭრა.

ეს საფლავი სამუდამოდაა დაკარგული ჩვენთვის, თუმცა ადგილზე წარწერიანი ქვაც არსებობს და, საერთოდ, მაღალგემოვნებიანი არქიტექტურით დამშვენებული სამძო საფლავი, სადაც ყოველ მაისის თვეში ყვავილებისა და სხვა მიმართულების დღესასწაულები ტარდება ხოლმე. სამძო საფლავზე იმდენი იასამნის ყვავილები მიაქვს ხალხს, რომ შემდეგ მანქანებით გააქვთ ქალაქიდან.

როდესაც მე და ჩემი ტყუპი ძმა ტარიელი პირველად ბაქოდან სტეპანაკერტში ჩავედით, გზად ავტობუსის ერთ-ერთმა მგზავრმა

დაბეჭდებით გვაუწყა ქალაქში ომში დაღუპულ ჯარისკაცთა საფლავების შესახებ.

ჩვენ ავტობუსშივე გადავწყვიტეთ მამის თბილისში გადმოსვენება, თუკი მის საფლავს მართლაც მივაგნებდით წარწერით.

ეს აღმოჩნდა ქვის დიდი ფილებით მოპირკეთებული საძმო საფლავი, ზემოდან ოთხკუთხა ქვებითა და მათზე შესაბამისი გვარებით დამშვენებული. გვარი ვართაგავა კი არც ერთ ქვაზე არ იყო ამოკვეთილი. მაშინ ჩვენ ქალაქის მთავარ არქიტექტორს ლენინგრადის არქივიდან მიღებული მამის დაღუპვის ცნობა წარვუდგინეთ, რის საფუძველზეც მამის სახელი და გვარი დაუყოვნებლივ ამოიკვეთა ერთ-ერთ ქვაზე.

მას შემდეგ ჩვენ, ოჯახის წევრებთან ერთად, რამდენჯერმე ვიმოგზაურეთ ყარაბაღში და მივაგეთ პატივი მამის ხსოვნასა და არა მარტო მას ...

ჩემმა ძმამ ტარიელმა, იქ მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, მოზრდილი სტატია დაწერა და სომხურ ენაზე გამოაქვეყნა სტეპანაკერტის მთავარ გაზეთში. სათაურით -“საგვარეულო სასაფლაოზე ფიქრი” და “დიდუბის პანთეონში“

...

ახლა ბაბუა იპოლიტესა და მისი ქალიშვილის – განსვენებული მამიდა თინას შესახებაც: როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი თბილისში, დიდუბის პანთეონში არიან დაკრძალულნი.

ბაბუა იპოლიტე ვართაგავა (1872-1967) დასაფლავებას სოფელ ბუინევში, ჩვენი ეზოს დიდი ცაცხვის ქვეშ ნატრობდა და ჩვენთვისაც არაერთხელ უთქვამს ამის შესახებ.

მამიდა თინას სოფელში დაკრძალვა წარმოუდგენლად და თითქმის შეურაცხმყოფელად კი მიაჩნდა. არადა მშობელი დედა, ასევე ბებია ელენკო და ბაბუა ალექსანდრე იქ ყავდა დასაფლავებული.

ბოლო ხანებში ბაბუა იპოლიტემ თბილისში საგვარეულო საფლავის მოძიებაზე დაიწყო ფიქრი. ასეთი მომავალი საფლავის მოძიებას იგი თბილისის სიონის ეკლესიის ეზოში ესწრაფვოდა. ჩვენ მაშინ სტუდენტები ვიყავით, ცხოვრება ჯერ კიდევ არ დაგვეწყო და ამ საკითხზე ფიქრიც კი არ გვინდოდა.

როგორც ჩანს, ამ აუხდენელი ოცნების შესახებ, ბაბუამ უსტარი აახლა თბილისის სასულიერო სემინარიიდან თავის ყოფილ მოწაფეს, მაშინ კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ II-ს.

ჩვენს საოჯახო არქივში დაცულ პატრიარქის წერილში, მართალია, საგვარეულო საფლავი ნახსენები არ არაა, მაგრამ მისი უარყოფითი პასუხიდან იგრძნობა ამ თხოვნის შეუძლებლობა.

ბაბუა იპოლიტე დაკრძალულია იქ, სადაც ჭეშმარიტად მისი ადგილი იყო, როგორც მწერლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწისა.

ყაზანის სასულიერო აკადემიის გასრულება, თბილისის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობა თუ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენაში მონაწილეობა, არ ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ბაბუის ოჯახისთვის საგვარეულო საფლავის ადგილი თბილისის სიონის ან სხვა რომელიმე ტაძრის ეზოში გამოეყოთ ...

სოფელ ბუინევში, ეწრის ტყის გვერდით, ეკურთხა ჩვენი უბნის ახალი სასაფლაო და იქ პირველი განსასვენებელი დედამ – ნინა ილიას ასულმა ჰპოვა (1907-1993). სიკვდილის წინ ამბობდა კიდევ: მარტოდ-მარტო როგორ გავეძღვებ ამ ზამთარსა და მგლების ყმუილსო.”

დღეს მის გვერდით ჩემი ტყუპი ძმა, მხატვარი ტარიელ ვართაგავა განისვენებს (1935-2008). ახლა ისინი რა თქმა უნდა მარტო აღარ არიან. მათი ერთიანი საფლავის გვერდზე, მათგან ათიოდე ნაბიჯზე, ჩემი პროექტით შექმნილი ახალ-ახალი დარბაზული ტიპის ეკლესიაა აღმართული. 2009 წელს დამთავრდა მისი აგება, 2010 წლიდან კი მის მოხატვას ვიწყებთ მე და ჩემი ვაჟი გიორგი.

ჩვენს მიერ შექმნილი ფრესკების ჩრდილსა და წმინდანთა ფრთების შრიალში გააგრძელებენ ისინი საუკუნო ძილს!

დიდება მათ ხსოვნას !

...

ბაბუა იპოლიტეს პორტრეტული დახასიათება

ბაბუა იპოლიტეს გარშემო საუბარი ჩემთვის ძნელიც არის და იმავე დროს ადვილიც. ძნელი იმდენად, რამდენადაც, მან დიდხანს იცოცხლა და ცოტა დააკლდა, “საუკუნის გასაღებით” რომ შეხვედროდა თავისი სიცოცხლის ასწლოვან იუბილეს. ეს პოეტური გამოთქმა იპოლიტემ შოთა ნიშნიანიძის პოეზიისადმი მიძღვნილ წერილში იხმარა პირველად.

აღნიშნულმა წერილმა, რომელიც გაზეთ “ლიტერატურული საქართველოს” მაშინდელმა რედაქტორმა, პოეტმა იოსებ ნონეშვილმა გამოაქვეყნა პირადად ჩემი თხოვნის საფუძველზე, მკითხველთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. სამართლინად იქნა მიჩნეული, რომ მოხუცი კრიტიკოსის შემოქმედებით სამყაროში მისი ახალგაზრდული ენერჯიეს მოხდვავება და აფეთქება მოხდა. მაშინ სოფელში დასასვენებლად მყოფი ბაბუა სრულებით არა მოელოდა აღნიშნული წერილის გამოქვეყნებას, რამაც არა მარტო მას, შოთა ნიშნიანიძესაც სახელი და დიდება მოუტანა.

სწორედ ამ პუბლიკაციის შემდეგ გაშალა მან ფრთები ქართული პოეზიის ცა-კაბადონზე. მას შემდეგ დაიწყო პოეტის შემოქმედების არნახული წინსვლა, ტიტულებისა თუ პრემიების მინიჭება და თანამდებობრივ იერერქიებზე აღმასვლა. ამის შესახებ თავადაც ხშირად მეტყვოდა ხოლმე პირად საუბარში.

ეს წერილი იპოლიტე ვართაგავამ 85-90 წლიოს ასაკში შექმნა. მაშინაც კი მხნედ და ჯანმრთელად გრძნობდა თავს და აოცებდა ერთ დროს რუსულ გაზეთში ივანე ტურგენევის გარდაცვალებისადმი გამოქვეყნებული ნეკროლოგი, რომელშიც ამა ქვეყნიდან გარდასული 60 წლის მწერალი ღრმად მოხუცად მოიხსენიებოდა. თავად განსაჯეთ ნეკროლოგის ტონი: “გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული”

ამ სიტყვებს ბაბუა მუდამ ღიმილით იმეორებდა ხოლმე, რამეთუ 60 წელი მისთვის ლამის 25 წლის ახალგაზრდის ასაკი იყო და ეს მართალიც გახლდათ მისი ჯანმრთელობის მქონე ადამიანისათვის.

85 წლის მოხუცი ჯერ კიდევ კითხულობდა ლექციებს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. სამსახური ჯერ კიდევ შეეძლო, მაგრამ ახალგაზრდა ლექტორებისა ერიდებოდა და მათ დაუთმო ცხოვრების სარბიელი. თუმცა ამის შემდეგაც გულ-ხელი არ დაუკრეფია და მთელი ათი წლის მანძილზე, ვიდრე გადრაცვალებამდე, კალამი რა გაუგდია ხელიდან.

“საუკუნის გასაღების“ საჭეთმპყრობელმა ადამიანმა, მწერალმა, პედაგოგმა და საზოგადო მორვაწემ – იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავამ ცხოვრების გრძელი, წინააღმდეგობებითა და ტკივილებით, მარცხითა და წარმატებებით აღსავსე გზა განვლო, რომელთა შესახებაც ვრცლად მოუთხრობდა მკითხველს თავის მოგონებებსა თუ სხვა უამრავ ნაწერებში.

მაგრამ სათქმელი მაინც ბევრი რამ დარჩა მას. იპოლიტე ვართაგავას კალთებქვეშ დაფრთოვანებული თქვენი მონა-მორჩილი ვაღდებუღია ამ ხარვეზების შევსებას. ამას მავალებს მასთან მჭიდრო მშობლიური კავშირი და სულიერი სიახლოვე.

წიგნი, სათაურით “საუკუნის თანატოლი”, რომლის შექმნაც მე და ჩემმა ძმამ ჯერ კიდევ ბაბუას სიცოცხლეშივე დავიწყეთ 1966 წელს, მიხედავად მისი მოუცლელობისა, ამომწურავი მაინც არ არის.

საქმე იმაში გახლავთ, რომ აღნიშნული წიგნი პოეტურ შთაბეჭდილებათა ქარგაზეა აგებული და მთელი მისი წიაღსვლა მთლიანად სოფელ ბუინეში ხდება. მართალია ამ საუბრებში ღირიკული გადახვევებიც უხვადაა გაბნეული, მაგრამ მცირე ქრონილოგიური თარიღების გამო, ისტორიის ერთიანი ჯაჭვი მაინც წყვეტილი და ბუნდოვანია.

ამ ხსენებული წიგნისათვის წერის ასეთი პოეტური სტილი არათუ მისაღები, აუცილებელიც კია, მაგრამ როდესაც საქმე წმინდა ქრონიკებთან გვაქვს, აქ უკვე ქრონოლოგიურ თარიღთა და მოვლენათა ზუსტი დაცვაა საჭირო. ამასთან იმ ადამიანთა გაცოცხლებაცაა აუცილებელი, “საუკუნის თანატოლის” გვერდებზე რომ არ ჩანან და ისინი ოდესღაც ჩვენი ოჯახის სახესა და ღირსებას ქმნიდნენ.

დრო მიდის და თაობათა ცვლის მარადიული და უცვლელი კანონები ახალ სიცოცხლეს ქმნიან. ამ კანონებმა იპოლიტე ვართაგავას ძირძველ ოჯახში შეეს შეიღიშვილთა და შეიღიშვილისშვილთა მთელი მოდგმა, როგორც გვარის გაგრძელებისა და უკვდავების უწყვეტი ჯაჭვი.

ოჯახის სისხლისმიერმა და გენურმა ტრიადამ, ამ ახალი თაობის სახით სიცოცხლით, იმედებითა და სიხარულით აღსავსე სახე მიიღო.

გალაკტიონს უთქვამს:

“ წინაპართაგან წასულა ყველა,
ახლების ისმის აქ ჟრიამული.”

ჩემი და ჩემი ძმის წიგნში “საუკუნის თანატოლი” – ამ ჟრიამულის ხმა საერთოდ არ ისმის, რამეთუ იგი პირადად ბაბუა იპოლიტესადმია მიძღვნილი.

გადავხედოთ თავად წიგნის სარჩევსა და მის ქვეთავებს, რომლებშიაც ახალი თაობის სუნთქვა თითქმის არ იგრძნობა: ინტერიერი ცის ქვეშ, ნასახლარები, ბეთჰოვენი ამოდის, გორული ნერგები, ხის უმოძრაობის ფილოსოფია, მაღალი საყვირები, მიდი-მოდის ქარავანი, საით მიდიან მაგისტრალები?, გადია ბებია კატოს სალონი, მარნები, წისქვილი, შეხვედრა აკაკის ბავშვობასთან და სხვა.

წინათქმის ბოლოს ჩვენ ვწერთ: “ეს წიგნი ჯერ კიდევ მაშინ იწერებოდა, როდესაც ბაბუა იპოლიტე სარეცელს იყო მიჯაჭვული და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ნახევრადგაუმართავი და სისტემაში მოსაყვანი გვერდები მაინც გადავუკითხეთ მას ერთი ამოსუნთქვით, მაგრამ ვიგრძენით, რომ მის სულსა და გულზე, მთელ მის არსებაზე არავითარ რეაგირებას არ ახდენდა ეს სტრიქონები,

რადგანაც ის უკვე თავის თავს აღარ ეკუთვნოდა და ბიბლიურ პერსონაჟს რომ ეკადრება, ისე ეთხოვებოდა ერთხელ და უკანასკნელად მინიჭებულ სიცოცხლეს.”

ეს იყო 1967 წელს, როცა სულ მალე ამა ქვეყნით გარდავიდა ბაბუა იპოლიტე, მისდამი მიძღვნილ წიგნს კი დიდისხნის შემდეგ, კერძოდ 1976 წელს მივეცი დასრულებული სახე.

მისი “რემინგტონზე” გადაბეჭდვა, აკინძვა და მაგარ ყდაში ჩასმა ითავა, ჩვენი ოჯახის დიდმა მეგობარმა, მაშინ “ლიტერატურული აჭარის” პასუხისმგებელმა მდივანმა, პოეტმა მამია ვარშანიძემ, ვისაც მე და ჩემმა ძმამ შეკითხვების მთელი სერია დავუსვით. მოზრდილი, პოეტური ღირსებებითა და კეთილსინდისიერებით აღსავსე პასუხები კი მან, იმავე ჟურნალის გვერდებიდან მოგვცა.

...

ბაბუა იპოლიტე ახალგაზრდობაში ტანთხელი, მარალი და მამაკაცური სილამაზით შემკული პიროვნება იყო. ეს ბუნებრივი ჯილდო მის შვილებსაც ებოძათ მისგან, თავად კი ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა ახალგაზრდული ხიბლი, თუმცა მუხლები დალატობდნენ და მხოლოდ ხელჯოხს დაყრდნობილი სეირნობდა ხოლმე დღევანდელი თავისუფლების მოედანზე. შესვენება მაშინდელი ოქროულობის მაღაზიის წინ იცოდა. თვალთ ბონდოვნად ხედავდა და გამვლელთაგან თითქმის ვერავის ვერ ცნობდა, მაგრამ თუ ვინმე მიეახლებოდა და გამოესაუბრებოდა მას, უთუოდ ვინაობნას ჰკითხავდა. მან კარგად უწყოდა, რომ მისი თანამოსაუბრე ახალგაზრდა იქნებოდა, რამეთუ თავად მისი კბილანი და ტოლ-სწორები იმ დროს არათუ თბილისში, საქართველოშიაც კი აღარ მოძებნებოდნენ.

ბაბუა იპოლიტეს პორტრეტული დახასიათება ჩემი და ჩემი ძმის ზემოთხსენებული წიგნის წინათქმაში ასეა მოცემული: “სოფლის წიაღსა და პატრიარქალური სიწმინდით გარემოცულ სამყაროში, დედაბოძებისა და ცხრათვალა მზეების, ვაზისა და ნიშა ხარების სამეფოში ჩამოსული მოხუცი მაშინვე იმოსებოდა გლეხკაცის ნიღბით და ვაზთან და ნიშა ხარებთან მოაღერსე, ერთბაშად ივიწყებდა ქალაქის ორგიასა და ხმაურში, წიგნებთან ურთიერთობაში განცდილ წამებასა და საათებს. ასეთ გარემოში მოხვედრილი კაცი, სულით-ხორციანად ლიტერატორად და პედაგოგად დაბადებული, აწ უკვე გლეხკაცის ნიღბით მოსილი და მუშა კაცად აღიარებული, თვითონვე ემოწაფებოდა მის გარშემო მყოფ ადამიანთა პლეადას, რომელთაც მინდიასავით ესმოდათ უსულო საგანთა ენა.”

ბაბუა იპოლიტეს ცხოვრების კრედოს, გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობა წარმოადგენდა. ამოტომ იყო, რომ გონებრივი მუშაობით დაღლილი ბაბუა თბილისიდან სოფლისაკენ მოეშურებოდა და ჩვეულებრივ, მიწას ერკინებოდა. თითქოს მითიური ანთეოსი იყო, ცაში ბორბტ ძალებთან ბრძოლით დაღლილი მიწაზე რომ ეშვებოდა და გაშლილი ფრთებით მიწის წიაღიდან ახალ ძალებს იკრეფდა მორიგი ბრძოლის გასაახლებლად.

თავის ხანგრძლივ სიცოცხლეს სწორედ შრომის ამ მონაცვლეობას უმაღლოდა იგი და ჩვენც ასეთი ცხოვრებისაკენ მოგვიწოდებდა.

...

ორი საუკუნის შემაერთებელი ხიდი

ბაბუა იპოლიტე 19-ე და 20-ე საუკუნეთა შემაერთებელ ხიდად იყო მიჩნეული. 19-ე საუკუნის კორიფეთა შემოქმედებით წიაღში ნაწრთობი გზა, მან სინდის-ნამუსის კვერთხით შეიარაღებულმა განვლო და სული არასოდეს მიუყვლია ეშმაკისათვის. მომსწრე იყო და თავადაც შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის მიერ ყოველგვარი მანკიერებისადმი გამართულ მრძოლაში. ესწრებოდა ილიასა და ვანო მაჩაბლის უშეღავათო ისტორიულ პოლემიკას, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა გამოჩენილი მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის – ვანო მაჩაბლის ბედი.

მის ტრაგიკულ აღსასრულთან დაკავშირებით იპოლიტე ვართაგავა წიგნში “XIX საუკუნის ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები”, წერდა: “ როგორც ცნობილია, ივანე მაჩაბლის ბედი დღემდისაც აღელვებს ქართველ საზოგადოებას. ის ცდილობს ამ ამბის ახსნას. სხვადასხვა ჰიპოთეზების საშუალებით ეძებდა მიზეზებს, მაგრამ დღემდის ვერ მიუგნია. ყველაზე უფრო გავრცელებულია ქართველ საზოგადოებაში ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ვითომც ივანე მაჩაბლის ტრაგედიას, უგზო-უკვლოდ დაკარგვას, ოჯახური, ინტიმური ამბავი უდევს საფუძვლად. ამ ჰიპოთეზის წარმოშობას თავიდანვე თან სდევს აკაკის სახელიც, ვითომც მას რაიმე წვლილი ედოს ივანე მაჩაბლის გაქრობაში. სამწუხაროდ დღემდის ეს ჰიპოთეზა ცოცხლობს, არ ქრება, და დიდ დაინტერესებას იწვევს...”

მაგრამ, მიუხედავად ამ სტრიქონებისა, ბაბუა იპოლიტე მაინც კატეგორიულად აცხადებს: “არ შეეცდები თუ ვიტყვი: არა, აკაკის მაჩაბლის ტრაგედიაში ბრალი არ მიუძღვისო“ და მოითხოვს, რომ ამ ჭორს საბოლოოდ მოეღოს მოლო ...

ბაბუა იპოლიტე გვახსენებდა მე და ჩემს ძმას, როდესაც საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში, ვახტანგ ქურციკიძის ქალიშვილის ქორწილში, გორიდან ჩამოსულმა ელექტრო-ინჟინერმა, ლურჯ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილმა სიმპათიურმა ახალგაზრდამ, რომელიც გვარად მაჩაბელი აღმოჩნდა, იმ წუთებში, როცა ამის არავითარი საბაბი არ არსებობდა, აკაკი წერეთელი ვანო მაჩაბლის მკვლელად მოიხსენია და მისი სახით, ლამის მთელ იმართეს წაუყენა ბრალი ...

კარგა ხნის შემდეგ მთარგმნელობითი კოლეგიიდან თამარაშენში, ვანო მაჩაბლის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოთა შაბათობაზე ჩასულმა, აღნიშნული საკითხის ირგვლივ, ვანოს ძმის შვილიშვილს ჩამოუვადე სიტყვა. პასუხის ნაცვლად, მან იქვე მახლობელი სახლისაკენ მიმასხედა და მითხრა: – მიდი იმ სახლში, სადაც თბილისიდან მაჩაბლის ერთი მხცოვანი ქალბატონია ჩამოსული. სთხოვე და ყველაფერს გაიმბობს. მან ძალიან ბევრი რამ იცის ...

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ მედღეხვალთ კაცის ამბავი? დღესაც ვერ მიპატიებია ჩემთვის ეს დანაშაული ...

აღნიშნული საკითხი მწვავედ აქვს დასმული მკვლევარ ღია აბოს ასულ ფერაძეს თავის მშვენიერ წიგნში, რომელიც მან ავტოგრაფით მომიძღვნა თავის დროზე. მე მას ჯერ კიდევ ჭითურიდან ვიცნობდი. მაშინ ვერც კი წარმომედგინა, რომ ეს მომხიბლავი ქალიშვილი ვანო მაჩაბლის ცხოვრების ასეთ ურთულეს პრობლემას მოკიდებდა ხელს. ჩემი შთაბეჭდილება მე მას ტელეფონის საშუალებით გაუუზიარე,

მაგრამ ის მაშინ სულაც არ აღმოჩნდა ხასიათზე, რისი მიზეზიც მისი ვაჟიშვილის სიკვდილი იყო, მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი...

ცნობილი ჟურნალისტი ლელა ჯიყაშვილი წერილში: “ერთხელ კიდევ ვანო მაჩაბელზე“, რომელიც გამოქვეყნდა 2004 წლის გაზთ “კვირის პალიტრის” 11-17 ოქტომბრის ნომერში, მოყავს ირაკლი და გია მაჩაბლების უთუოდ საინტერესო მონათხრობი მაჩაბლის სიცოცხლის ბოლო დღეებთან დაკავშირებით: - აკაკის ვანო მაჩაბლის ცოლი, ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი ჰყვარებია, ოღონდ ისე, რომ ეს ტასოს არ სცოდნია... ივანე მაჩაბელს თარხან-მოურავთა მხრიდან ვენათესავებოდი. ბებია ჰყვებოდა: - მაშინ ქვეყანა მაჩაბლისა და ჭავჭავაძის მომხრეებად იყო გაყოფილი. ისე დაძაბული იყო მდგომარეობა, რომ მაჩაბლის მომხრე დამ ჭავჭავაძის ძმას ცხვირი მოაკენიტაო.

ჟანდარმერიის უფროსი ჯანდიერი “ჭავჭავაძისტი” ყოფილა. ბებია მაჩაბლის სიკვდის მას აბრალებდა – იმან მოაკვლევინა, მარტო იმას შეეძლო კვალი ასე გაექრო. ამას არ იზიარებდა პაპიდაჩემი, სოფიო მაჩაბელი. როცა ერთხელ ვუთხარი ბებიას, იქნებ არ მომკვდარა, ხომ ამბობენ ვიღაცამ ნახაო, მითხრა : სისულელეა, ძელივს დადიოდა, ისე მძიმედ იყო ავად. ძელის ტუბერკულოზი ჰქონდა. ურთულესი ოპერაცია გაიკეთა – ორი ნეკნი ამოუღეს, ხოლო ნაწლავი გარეთ ჰქონდა გამოყოფილი ...

მოკლედ ჯადოსნური წრე ჯერ კიდევ არაა გარღვეული ...

...

თავის დროზე მწერალი ოთარ ჩხეიძე მიუთითებდა: იპოლიტე ვართაგავას სახელი დიდი ხნის დავიწყებული იქნებოდა, მას რომ ვაჟას შემოქმედების ირგვლივ ვრცელი კრიტიკული განხილვა არ დაეწერა, რასაც საპასუხოდ მწერლის ანტიკრიტიკა მოყვაო.

მართლაც ვაჟას პასუხი იპოლიტე ვართაგავას უკვდავების საბაბად იქცა, თავად მგოსნისთვის კი – მის საიდუმლოთა გამხელის თავწყაროდ, რაიც მას შესაძლებელია სამარეშიაც წაეღო თან.

სსენებული კრიტიკული განხილვის გამო ბაბუა იპოლიტეს თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე საყვედურობდნენ.

მას ვაჟა ფშაველასთან ახლო მეგობრული ურთიერთობის გარდა, სხვა არაფერი აკავშირებდა . ქოხების დუქანში ვაჟას, შიო მღვიმელსა და იპოლიტეს არაერთხელ შეუსვამთ თითო-თითო ტოლჩა ღვინო. ამასთან ვაჟასა და ბაბუას ერთად ყავდათ მონათლული ილო აგლაძის ქალიშვილი მარიამი, რომელიც დღეს დიდუბის პანთეონში განისვენებს.

როდესაც ჩემს კოლეგას ს. ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმიდან, ცნობილ მთამსვლელსა და ფერმწერს, თამაზ ბაქანიძეს, ბაბუა იპოლიტეს მოზრდილი პორტრეტის დახატვა ვთხოვე, კონსულტაცია მე თვითონ გავიწუე . მოხუცს ერთ ხელში გამღილი წიგნი, მეორეში კი ხელჯოხი უჭირავს, წარმოდგენილია ვაჟა ფშაველას პორტრეტის ფონზე . ამის გამო ზოგიერთებმა შენიშნა: კი მოგვცეს, აქაოდა იპოლიტე რატომ დგას ვაჟაზე წინაო? მაგრამ ეს არ იყო მართებული შენიშვნა, რამეთუ სსენებული ტილო მარტო ბაბუას ეძღვნება და დასათაურებაც სწორედ აქვს შერჩეული: “ფიქრები ვაჟა ფშაველაზე”. ვაჟას სახე აქ წარმოსახვითია და სხვა არაფერი ...

დღეს ეს მოზრდილი ტილო სოფელ ბუინგეში, ჩვენს საოჯახშია დაცული.

თავის დროზე ბაბუა იპოლიტეს შეეძლო პასუხი გაეცა ვაჟა ფშაველასათვის, მაგრამ ეს პასუხი მან მხოლოდ ღრმად

მოხუცებულობის ასაკში შეასრულა. ამ 25 გვერდიანი წერილის სათაურია: “ჩემი დაგვიანებული პასუხი ვაჟა ფშაველას“. იგი შეტანილია ჩვენს გამოუქვეყნებელ წიგნში “საუკუნის თანატოლი”.

თუ როგორ მიიღეს ბაბუას კრიტიკული წერილი ვაჟა ფშაველას ოჯახის წევრებმა და უახლოესმა ადამიანებმა, ამის შესახებ მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როდესაც ჩემი ძმა ტარიელი, ტროლეიბუსით ერთ-ერთი მგზავრობის დროს, მოულოდნელად ვაჟას შვილს, ვახტანგ რაზიკაშვილს გადაეყარა. მაშინ ამ თმაჭადარა მამაკაცს ხშირად ნახავდით რუსთაველზე მარტოდ-მარტო მოსეირნეს. ხალხი მის შესახებ ამბობდა, კაცის მკვლელიაო, რის გამოც თითქმის ყველა აუგად იხსენიებდა მას.

ტარიელის კითხვას, სწყინდათ თუ არა ვაჟას შთამომავლებს იპოლიტე ვართაგავას კრიტიკული წერილი, მისმა თანამოსაუბრემ უპასუხა: - არავითარი წყენა! ჯერ ერთი ეს იყო ლიტერატურული პაექრობა და სხვა არაფერი და მეორეც, ამ წერილმა მამაჩემს თავისი გულის არაერთი საიდუმლო გაამხელინა. ეს კი არ მოხდებოდა, ბაბუათქვენის ხსენებული წერილი რომ არ შექმნილიყო.

. . .

მაგრამ მარტო ეს კრიტიკული წერილის განხილვა როდი გახდა იპოლიტე ვართაგავას არდავიწყების საფუძველი. თავი რომ დავანებოთ მის მოგონებებს, კრიტიკულ შრომებსა თუ პირად მიმოწერებს, ამისთვის მის მიერ სიმფეროპოლში გამოქვეყნებული წიგნიც იკმარებდა, როგორცაა: “Святоотческое учение о духовно-нравственном воспитании детей”, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი შემეცნებითი ღირებულება. ამის დასტური გახლავთ ის, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ამ წიგნის ასლი გადააღებინა საპატრიარქოს ბიბლიოთეკისათვის.

პუშკინის, ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილ რექტორს, რევაზ სირაძეს, გადაწვეტილი ჰქონდა ხსენებული წიგნის ქართულად თარგმნა. შეარჩია კიდევ ცნობილ მთარგმნელთა სია, ხოლო საქმის შეთანხმებისათვის პირადად მე მიმიწვია თავის კაბინეტში.

საბოლოოდ ამ წიგნის თარგმნის ბედი გაურკვეველი დარჩა...

ცალკე აღნიშვნის ღირსია იპოლიტე ვართაგავას მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენაში, 1917 წლის 12(25) მარტს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. სწორედ ამ დღეს შეიქმნა ეკლესიის მართვა-გამგეობის დროებითი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც სასულიერო პირებთან ერთად საერონიც იყვნენ, მათ შორის იპოლიტე ვართაგავა, პავლე ინგოროყვა, რაფო ივანიცკი (ინგილო) და ვექილი პეტრე ბარათაშვილი. როგორც ერისკაცი, იპოლიტე ვართაგავა არჩეული იყო საკათალიკოსო საბჭოს თავმჯდომარის მოსაყდრე ეპოსკოპოს ლეონიდეს მოადგილედ.

“საბჭოში ჩემი მუშაობის ბოლო პერიოდში, მე მივიღე შეძლებისდაგვარად მხურვალე და აქტიური მონაწილეობა “ – წერდა იპ. ვართაგავა თავის მოგონებაში - “საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ “ .

2001 წელს ამ მასალის თაობაზე მე ვაცნობე ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს , დღეს მიტროპოლიტს, მეუფე აბრამს (გარმელია), რომელიც უშუალოდ გადავეცი სასულიერო აკადემიაში, ბაბუა იპოლიტეს სხვა ნაწერებთან ერთად, მაგრამ მან მხოლოდ ეს

მოგონება შეარჩია და გამოაქვეყნა კიდევ ეპარქიის ჟურნალ “საგანეში” 2001წლის მეორე ნომერში.

საიდან დაიწყო ნაკადული ?

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დროს, სამეცნიერო ექსპედიციაში მიმავალთ, სამეგრელოში, სოფელ ხეთაზე მოგვიხდა მანქანით გავლა.

ეს უმდიდრესი და ქალაქის ტიპის უზარმაზარი სოფელი ბაბუა იპოლიტეს აკვანია.

სოფელს ერთდროულად სამანქანო გზაც კვეთს და რკინიგზის ხაზიც. და აი სწორედ იქ, სადაც დღეს რკინიგზის ლიანდაგი გადის, ოდესღაც ერთად-ერთი მარტოხით დამშვენებული ჩვეულებრივი ტრიალი მინდორი თუ ყანობი იყო.

ბედის უკუდმართობა იყო ალბათ, როცა ბაბუა იპოლიტეს მამა-პეტრე ვართაგავას მერანმა სწორედ ამ ხის მიმართულებით აიღო გეზი. მაშინ სუფრიდან მომავალი ორი ადცხენოსნებული ახალგაზრდა მხედარი ცხენტა შეჯიბრებაში ერკინებოდა ერთმანეთს.

როცა წინ წასულმა პეტრემ უკან ჩამორჩენილი მეგობრისაკენ მიაბრუნა თავი, გაფრენილმა მერანმა გეზი პირდაპირ იმ მარტო ხისაკენ აიღო და პეტრეც სასიკვდილოდ შეახეთქა მის ტოტებს...

ასე დაობლდა დედისერთა იპოლიტე. დედაც გარდაცვლილი ჰყავდა და ერთ-ერთი მოიმედე მამაც იმ დღეს გამოეცალა ხელიდან.

...

სატვირთო მანქანით სვანეთის გზით მიმავალი, ვცდილობდი ის მინდორი დამენახა, სადაც 19-ე საუკუნის 70-იან წლებში სიცოცხლე დაასრულა მაშინ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცალუღელად დარჩენილმა მედავითნემ – პეტრე ვართაგავამ, მაგრამ ამაოდ: დღეს ის მინდორი უბრალოდ ტრამალი და ყანობი კი არაა, ლამის ქალაქის ტიპის დასახლებას წარმოადგენს. იქ, სადღაც მის ქუჩებსა თუ ვიდაცის ეზოში, დადვრილია ჩემი დიდი ბაბუის სისხლი, სისხლი იმ ადამიანისა, ვის გენს, სისხლსა და გვარსაც ვატარებთ ჩვენ.

ყოველი ადამიანის ცხოვრების გზა ნაკადულივით იწყება, რომელიც შიგადაშიგ ახალ-ახალი ნაკადულებით ივსება, ფართოვდება და თუ უფლის კურთხევაც იქნა, მის უსასრულობას სასრული არ ექნება.

ჯერჯერობით იპ. ვართაგავას ცხოვრების გზა წინ მიდის და იმედი მაქვს, რომ ის არც დამთავრდება და არც იმ გზაჯვარედინად იქცევა, სადაც ადამიანს თავგზა ებნევა და არ იცის, რომელი გზით გაგრძელოს სვლა. მაშინ ის თავისუფლად შეიძლება დაემსგავსოს რემბრანდტის გზა აბნეულ შვილს. მაგრამ ღმერთმა ნუ გვაწვნიოს ასეთი რამ!

...

ხეთა ბაბუა იპოლიტესათვის მომავალი ცხოვრების საწყის ტრამპლინად იქცა ...

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, თბილისის სასულიერო სამინაროიდან
ყაზანის სასულიერო აკადემიამდე გაშალა ფრთები, ხოლო მისი
დამთავრების შემდეგ, მეუღლესთან ერთად სიმფეროპოლში ამოყო თავი.
7 საკრალური წელი დაჰყო იქ. იქვე იმოღვაწევა და უჭულ-
ბუჭულებითაც იქვე შემოსა მისმა თანაერთხორცმა – ანეტა (ანა)



ალექსანდრეს ასულმა
აბდუშელიშვილმა. რუსის
ადმზრდელმა ქალმა, ვისი
ფოტოსურათი ჩვენს საოჯახო
არქივშია დაცული, ამ სამეუღლეს
რუსულად აადგმევინა ენა,
მშობლიურს კი სამშობლოში
დაბრუნების შემდეგ ეზიარნენ.

ფოტოზე მარჯვნიდან პირველი-
იპოლიტე ვართაგავა. სიმფეროპოლი
1907წ.

საერთოდ ადმზრდელი ქალი
ბავშვისთვის სულიერ დედად
იქცევა ხოლმე. გავიხსენოთ
პეტრე ჩაიკოვსკი და მისი
ადმზრდელი ფრანგი ქალი –
ფანი დიურბახი, ვისი სახელიც
კომპოზიტორმა, ნიშნად მისდამი
დიდი სიყვარულისა, თავისი
მუსიკალური ქმნილებით
უკვდავყო სამუდამოდ ...

ბაბუა იპოლიტე
საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ იქვე დარჩა რამოდენიმე ქართული
ოჯახი, რომელთა შვილები და მათი შთამომავლები სამუდამოდ არიან
დაკარგულნი მშობლიური მიწისათვის. ჩვენს ოჯახში ასევე დაცულია
სიმფეროპოლში ნაჩუქარი ფოტოსურათები, საიდანაც მაყურებელს
კაჩუხაშვილთა ცქრიალა გოგო-ბიჭები ანგელოზური თვალებით
შემოსცქერაინ. მე ვიცი, რომ ისინი იქ დარჩნენ სამუდამოდ და ვითარცა
ზღვაში წვეთი, მთლიანად დაინთქნენ უცხო ქვეყანაში ...

ბაბუა იპოლიტე მათ “დაკარგულ შვილებს “ ეძახდა.
მეც სწორედ ამ სათურით დავბეჭდე ჩემი ერთი წერილი და თან
სიმფეროპოლიდან ჩამოტანილი სურათებიც დავურთე ...
ბაბუა იპოლიტემ მხოლოდ იმიტომ არ შეირთო რუსი ფაბრიკანტის
ქალიშვილი და არც სიმფეროპოლში დარჩენილა სამუდამოდ, რათა
შვილები გარუსებისა და დაკარგვისაგან ეხსნა.
ასეთი რამ მისთვის ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა.
ყოველივე ეს ხდებოდა 100 წლის წინათ.
დღევანდელთან შედარებით ქართველთა მაშინდელი მოქცევა ზღვაში
წვეთი თუ იქნებოდა. ამჟამინდელმა მიგრაციამ კი ლამის საქართველო
გაანახევრა.

ვაგლახ, რომ ეს პროცესი სამწუხაროდ ყოველდღე გრძელდება!

იპოლიოტემ სიმფეროპოლში საკმაოდ ღირებული ადგილი დათმო და ... 1908 წელს, არსებობის მიზნით, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ასოციაციის ბიუროს თავმჯდომარის პოსტზე განაცხადა თანხმობა. აქ მას სამი თვის მანძილზე, “ჩემოს” სახელით ცნობილ მსხვილ მრეწველათანაც მოუხდა ბრძოლა, სათავეში გიორგი ზდანოვიჩი და კიტა აბაშიძე იდგნენ.

ჭიათურის მაშინდელ, კლუბში კამათს თვით აკაკიც კი დაესწრო და იპოლიტეს დიდად შეუქო მის მიერ წარმოთქმული სიტყვის უშედავთო ტონი. შემდეგ კი სთხოვა, რომ მოცალეობის ჟამს ცხენზე შემჯდარიყო და სხვიტორში სწვეოდა...

იმავე წლიდან, ვიდრე გაუქმებამდე, იპოლიტე მოღვაწეობს თბილისის სასულიერო სემინარიაში. მის სახელოვან მოწაფეთა შორის იყვნენ გალაქტიონ ტაბიძე, ეფრემ II სიდამონიძე, გოგლა ლეონიძე და სხვები. 1921-9127 წლებში სათავეში ედგა ჭიათურისა და ხეთის ცხრაწლედებს, რის შემდეგაც რაღაც უმნიშვნელო თანამდებობებიც ეკავა.

1957 წელს, ზუსტად 85 წლის ასაკში დატოვა გორის პედაგოგიური ინსტიტუტე და ვიდრე სიკვდილამდე, მთელი არსებით ჩაერთო ლიტერატურულ საქმიანობაში. თუმცა მფრინავი ჰოლანდიელივით, ფარხმალი არ დაუყრია და არც სიმშვიდესა და განსვენებაზე უფიქრია...

ერთხანს თბილისის უნივერსიტეტშიც შესთავაზეს ადგილი, მაგრამ თავაზიანი უარი განუცხადა მათ.

ბაბუასათვის ლამის თავზარდამცემი იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის მოკვეთა მის მირვე დაარსებული უნივერსიტეტიდან და ხშირად ამბობდა კიდევ: - მე იმ შენობაში არასოდეს დავდგამ ფეხს, საიდანაც ივანე ჯავახიშვილი მოიშორეს..

თქვა და აღასრულა კიდევ თავისი სიტყვა.

ქართულ სიმბოლისტთა პირისპირ და “ბურჟუაზიულ კრიტიკოსად” მონათვლა

დროის მსვლელობასა და თაობათა ცვლასთან ერთად გემოვნებაც იცვლება და აზროვნებაც. მოკლედ, რაღაც რევოლუციის მაგვარი ხდება სულიერი შემოქმედების სფეროში. ამ რევოლუციას ძველი კორიფეები ნაკლებად უწყობენ ფეხს, რის უფლებასაც განვლილი გზა არ აძლევს მათ. ისინი ამ გზისა თუ სულიერი აზროვნების ერთგულნი რჩებიან.

ასეთი რამ მოხდა იპოლიტე ვართაგავას ცხოვრებაშიც. მან სულიერი წრთობა ძირითადად 19-ე საუკუნის დიდ ქართველ და რუს მოაზროვნეთა წიაღში მიიღო. იქ, სადაც ილიასა და აკაკის ახსენებდა, იქვე პუშკინსა თუ ბელინსკისაც იშველიებდა ხოლმე. როგორც იტყვიან, მათი წყალი ჰქონდა გადასხმული; ამიტომაც იყო ზედმეტად შეუპოვარი და მოუსყიდველი. მისი გემოვნებისათვის სრულიად მიუღებელი იყო სიმბოლიზმი, მისტიციზმი თუ ფუტურისმი. ის არა და არ ეზიარა ამ ახალ მიმართულებათა აზროვნებას არც რუბიკონის გადალახვა უცდია, შემოქმედების აღთქმულ ქვეყანაში რომ მოხვედრილიყო. ამ მიზეზით მან თავაზიანი უარი უთხრა თავის სასიქადულო მოსწავლეს – გალაქტიონ ტაბიძეს, შესავალი წერილი გაეკეთებინა მისი ლექსების პირველი კრებულისათვის, რომელიც ქუთაისში მზადდებოდა 1915 წელს. ზუსტად ასევე მოექცა იგი ტერენტი გრანელსაც.

მაგრამ გამოსდა ხანი და ერთსაც ბრწყინვალე მოგონება მიაგო და მეორესაც. პირველი წერილი გამოქვეყნდა 1973 წელს გალაქტიონისადმი მიძღვნილ კრებულში: “სადღეგრძელო იყოს მისი“, გრანელისადმი მიძღვნილი მოგონება კი 1989 წლის ჟურნალ “კრიტიკის“ მე-6 ნომერში დაიბეჭდა სათაურით: “შეხვედრები ტერენტი გრანელთან”.

უფრო ადრე, კერძოდ 1926 წელს, ჭიათურის თეატრში პოეტ-მისტიკოსთან გამართული შეხვედრის დროს, იპოლიტემ, როგორც მავარმა მომხსენებელმა, გრანელს ნიჭიც შეუქო და ამავე დროს, სამყაროს მისტიკური ხედვის გამო, ჯანსაღი აზროვნებისაკენ მოუწოდა. ის, რომ სიტყვის დასრულების შემდეგ, გრანელმა იპოლიტე გადააკონა, მეტყველებდა იმაზე, რომ ორატორის მოხსენების ტონი მისთვის მისაღები იყო.

დაახლოებით იმავე წლებში იპოლიტე ვართაგავა იწყებს მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა კრიტიკულ განხილვას. მწერლის შემოქმედებით აღტაცებული კრიტიკოსი, თეიმურაზ ხევისთავის პიროვნებით იყო აღშფოთებული. გამოქვეყნებამდე წერილი პირადად მიხეილს წააკითხა, როგორც ეს მას საერთოდ ჩვეოდა ხოლმე, რასაც საპასუხოდ მწერლის 12 გვერდიანი უსტარი მოჰყვა. მიხეილ ჯავახიშვილი ბაბუა იპოლიტეს “ჯაყოს ხიზნებისადმი” როგორღაც ტონის შერბილებას თხოვდა და განუმარტავდა: - “ჩემი ყველა ნაწარმოები სასწორის ერთ თეფშზე რომ დავდოთ, ხოლო მეორეზე “ჯაყოს ხიზნები”, მაინც ეს უკანასკნელი გადაწონისო“. მაგრამ იპოლიტე მაინც თავის პოზიციაზე დადგა და ხსენებული განხილვა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა 1928 წელს სათაურით: “მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება“. ამას თან ერთვოდა ამ მოთხრობის ლიტერატურული გასამართლებები ჭიათურასა და ზესტაფონში, სადაც ბრალმდებლად იპოლიტე ვართაგავა, დამცველებად კი ცნობილი იურისტები გამოდიოდნენ.

მიხეილის დაპატიმრებისთანავე, ხსენებული წიგნის მთელი ტირაჟი იპოლიტემ სახლიდან მოიშორა და იგი საფრანგეთის ისტორიის მკვლევარის, პროფესორ გივი ჟორდანიას სახლში გადაამალა, რომელიც უკლებლივ დაუბრუნა უკან მწერლის რეაბილიტაციის შემდეგ.

მ. ჯავახიშვილის დაჭერას, მისი ზემოთხსენებული წერილის დაკარგვა მოყვა იპოლიტეს ოჯახიდან...

სხვათაშორის, გივი ჟორდანია იყო ის ერთადერთი პიროვნება, 1942 წელს, ფრონტზე გაწვეული მამაჩემი – ირაკლი ვართაგავა რომ მონახულა ქუთაისის განმანაწილებელ პუნქტში...

უთუოდ ბაბუა იპოლიტეს ლიტერატურული პაექრობანი და მისი მკაცრი დამოკიდებულება ახალ მიმდინარეობებთან, საბაბი გახდა მისი “ბურჟუაზიულ კრიოტიკოსად” მონათვლისა. “ნათლია” და ამ სიტყვების ავტორი ბესო ჟღენტე იყო...

...

“ მოგონებათა ” შექმნის ისტორია

როცა აღმართს დაღმართი მოსდევს, როდესაც გზაჯვარედინი და გზაჯვარედინს იქით ნირვანა იწყება, ეს შემოქმედი ადამიანისათვის

გაურკვევლობის წინაშე დგომას ნიშნავს. აქ შესაძლოა იმედიც მოკვდეს და სადაც იმედი კვდება, იქ ყველაფერი მთავრდება.

ერთ დროს ბაბუა იპოლიტეც აღმოჩნდა გაურკვევლობის პირისპირ, უფრო სწორედ, მისი შემოქმედებითი ცხოვრების წინაშე რაღაც გადაულახავი აღიმართა, როგორც ეს წიქარას ზღაპარშია აღწერილი. მან თითქოს ფარ-ხმალი დაყარა და საწერ კალამსაც დაემშვიდობა. მთელი ოცი წლის განმავლობაში მწერალთა კავშირში ფეხი არ შეუდგამს. სამწერლო ასპარეზზე სულ სხვა თაობა მოვიდა, რომელიც ძველი თაობის ვალმოხდილ ადამიანებს ან არ ცნობდნენ ან განგებ უქმნიდნენ გადაულახავ ბარიერებს.

ასეთ დროს ბაბუა იპოლიტე პედაგოგიური მოღვაწეობითა და გლეხკაცური საქმიანობით შემოიფარგლა. არავინ იცის როდემდე გაგრძელდებოდა მისი სულიერი შემოქმედების გამყინვარება, ანაზღად მის ცხოვრებაში ახალი სხივი რომ არ შემოჭრილიყო: ბაბუას მეგობარმა და ლიტერატურეს შესანიშნავმა მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა იპოლიტეს მოგონებათა წერის დაწყება ურჩია: - ბატონო იპოლიტე! – უთხრა მან თავის უფროს მეგობარს, - თქვენ ცხოვრების ისეთი დიდი გზა განვლეთ, იმდენი რამ გინახავთ და გამოგიცდიათ, იმდენ ადამიანს შეხვედრინხართ და მათთან მჭიდრო ურთიერთობა გქონიათ, რომ შეუძლებელია, არ გაიხსენოთ და არ გააცოცხლოთ ყოველივე ეს, არ გამოსტაცოთ დავიწყების კლანჭებს.

დაიწყეთ თუნდაც თქვენი ცხოვრებით და ასე თანდათან შეუერთდით ქართული ცხოვრების საერთო რიტმს...

ნათქვამია : ჩიტს რა უნდოდა და ხელის აფრენაო.

ბაბუამ მორჩილი და დამჯერე ბავშვივით ყურად იღო ეს რჩევა, ხელები დაიკაპიწა და თავისი გარდასული წლების ლაბირინთებში იწყო ხეტიალი. ადვილი როდი იყო მივიწყებულ მოვლენათა და გარდასულ ადამიანთა გაცოცხლება და მათი სამზეოზე გამოტანა.

წარსული, გონების სხივით და ანთებული გულით უნდა გაენათებინა, რათა ყველაფერი წყვილიადში არ დანთქმულიყო.

ეს იყო გარდასული საუკუნის 40-50 წლები, შიმშილისა და ომის საშინელებათა დღეები...

რამოდენიმე წელიწადში მოგონებათა თაბახების რაოდენობამ ორიათასს გადააჭარბა.

მაღე მოგონების პირველი წიგნი მიიღო ქართველმა მკითხველმა, ხოლო 1962 წელს – მეორე, აწ უკვე სქელტანიანი კრებული.

მაშინ მოხუცი მწერალი უკვე 90 წლის იყო. ბევრს ცოცხალიც აღარ ეგონა იგი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ცეკას მაშინდელ მდივანს იდეოლოგიურ დარგში – დევი სტურუას იაღლიშიც კი დაემართა, როცა ერთხელ მდივანმა ქალმა აუწყა, იპოლიტე ვართაგავას თქვენთან შეხვედრა უნდაო.

შემოვიდესო უთქვამს და თანაც უფიქრია: ეს ალბათ იმ ძველი იპოლიტეს შთამომავალი იქნებაო. ამითტომაც უკითხავს მისთვის: - თქვენ უთუოდ იმ დიდი იპოლიტე ვართაგავას მემკვიდრე ბრძანდებითო.

ის “დიდი იპოლიტე” თავად მე გახლავართო, - ღიმილით უპასუხნია ხელჯოხს დაყრდნობილ მოხუცს.

ეს ანეგდოტის მაგვარი ამბავი ამ რამდენიმე წლის წინ ქართულ კალენდარშიც იყო გამოქვეყნებული...

“მოგონების” მეორე ნაწილის გამოსვლამ ყველას დიდი სიხარული მოგვანიჭა, განსაკუთრებით კი მის ავტორს.

პირადად მე ერთი ცალი, სათანადო წარწერით, გავუგზავნე ბულგარულ ქალიშვილს – ცეცა ტატაროვას, რომელიც პლოვდივში ყოფნის დროს გავიცანი და დამშვიდობებისას, მთელი ჩვენი ავტობუსის ექსკურსანტთა თვალწინ, ახალგაზრდული ტემპერამენტით ჩავეკონე მსურვალე ტუჩებში. გიმნაზიელი გოგონა ამას არ მოელოდა.

შემდეგში წერილობით ცოლობასაც კი ვთხოვდი, მაგრამ ამასობაში ის გათხოვდა და ჩვენ სამუდამოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ჩემს მიერ გაგზავნილი ბაბუსის მოგონებათა წიგნი კი მიიღო, მაგრამ რად გინდა, ვერ წაიკითხავდა და ცხადია, ვერც თავის შთაბეჭდილებას გამიზიარებდა მის ირგვლივ...

სიხარულთან ერთად, აღნიშნულმა წიგნმა უსიამოვნებაც დაატეხა თავს მის ავტორს: გაზეთმა “კომუტისტმა” ვინმე კეთილადის ფსევდონიმით, ეს მოგონება მიწასთან გაასწორა. ჩვენი ოჯახის დიდმა მეგობარმა და ბაბუსას წიგნების გამომცემელმა გრ. ნადარეიშვილმა მალე დაადგინა კეთილადის ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნების ვინაობა. იგი აღმოჩნდა რედაქტორის მოადგილე ბენო თათარაშვილი. მე ის ბედმა ჭიათურაში გამართულ ერთ-ერთ სუფრაზე შემახვედრა. მაგიდაზე მის პირდაპირ აღმოვჩნდი. არ მოვრიდებივარ და პირდაპირ მკვახედ მივახალე:

– მაინც რა შეიძინეთ იპოლიტე ვართაგავას მოგონების წიგნი ასე მწარედ რომ გააკრიტიკეთ? იქნებ ამისთვის ჯილდო ან პრემია მოგცეს? მოერიეთ 90 წლის მოხუცს?... აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას!

ერთი საპირისპირო სიტყვა არ უთქვამს. სინამდვილეში ჩემი საყვედური გაზეთ “კომუნისტის” მაშინდელი რედაქტორს

დ. მჭედლიშვილს ეკუთვნოდა, რომელიც ბაბუსას არ სწყალობდა და აღნიშნული კრიტიკაც ბენომ, უთუოდ მისი კარნახით დაწერა.

მალე ამ კრიტიკას თედო კიკვაძის ქალიშვილის მრისხანე წერილიც მოყვა. ერთ დროს განათლების სისტემის თანამშრომელმა თ. კიკვაძემ თურმე ი. გოგებაშვილის წიგნთა სასწავლო პროგრამიდან ამოღება განიზრახა. ბაბუამ არ დაუთმო მას, შეებრძოლა და გაიმარჯვა კიდევ. ამასთან მკაცრი წერილიც მიუძღვნა აღნიშნულ პიროვნებას. ეს წერილი სწორედ ამ მოგონების ფურცლებზეა გამოქვეყნებული.

ბაბუა იპოლიტე სრული სიმშვიდით შეხვდა ფოსტით მიღებულ წერილს, რომლის წაკითხვაც რამდენჯერმე მოითხოვა ჩვენგან.

“უშიში, ვითარცა უხორცო“

ბაბუა იპოლიტეს შეუპოვარი ხასიათი იმ წერილებიდანაც კი ჩანს, რომელთაც ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აქვეყნებდა “ივერიისა” და “კვალის” ფურცლებზე. წერილის მაშინდელ ადრესატებს თავისუფლად შეეძლოთ მათი ავტორისთვის ფიზიკური თუ სულიერი ვნების მიყენება, მაგრამ იპოლიტე მაინც მტკიცედ მიიწევდა წინ და არასოდეს უღალატნია ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზისთვის.

ასეთივე ქედუხრელი იყო იგი ჭიათურის შავი ქვის წვრილ მრეწველთა ასოციაციის ბიუროს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის დროსაც. “ჯაყოს ხიზნების” ლიტერატურული გასამართლების დროს კი თავისი მჭერმეტყველებით ტოლს არ უდებდა იმ პროცესის მონაწილე იურისტებს – ღვამიჩავას, დადიანსა და სხვებს.

არც 1924 წლის სისხლიანი რეპრესიების დროს შეუხრია წარბი, როდესაც საჩხერის რკინიგზის სადგურზე “სიკვდილის მატარებელში” გამოამწყვდიეს მეზობელ ვასიკო აბდუშელიშვილთან ერთად.

მოხდა საშინელი უბედურება, მაგრამ მეორე უბედურება კი იმაში გახლავთ, რომ ამ სისხლიანი ორგის ჩამდენთ არათუ სინდისის ქენჯნა არ უგრძობიათ არასოდეს, არათუ “რასკოლნიკოვის” კომმარო შეჰყრიათ, პირიქით, ამაყობდნენ კიდევ თავიანთი “საქმენი საგმირონით”.

კომპოზიტორმა სალიერიმ, ვინაც მოცარტი მოწამლა, ყელიც კი გამოიჭრა, მაგრამ გადარჩა, სამაგიეროდ საგიუეთში ამოყო თავი, სადაც თურმე აღიარა თავისი დანაშაული.

“სიკვდილის მატარებლის” არცერთ ჯვალათს არც ყელი გამოუჭრია და არც აღსარებით წარმდგარა თავისი ხალხის წინაშე.

2004 წელს ამ სისხლიან ვამპირებს მე ერთი პატარა ლექსი მიუძღვენი :

გ ა ნ კ ი თ ხ ვ ი ს ა თ ვ ი ს

ბაბუა იპოლიტე უამრავ “ვერბოვკებსაც” უძლებდა უშიშროების სამსახურის მხრიდან. სახელმოსხვეჭილი მწერალი და თაობათა აღმზრდელი ყველაზე უფრო ჭირდებოდათ მათ, მაგრამ ასეთ “სამსახურს” მას სიკვდილი ერჩია. რა სინდისი მისცემდა იპოლიტეს, რომ პროფესორ ალექსანდრე წერეთელის წინააღმდეგ ყალბი ჩვენება მიეცა? 1933 წელს სწორედ ამ მიზნითაც დააპატიმრეს. დროებითი მთავრობის სახალხო განათლების ყოფილ კომისარს, ძველი საბერძნეთის ისტორიის მკვლევარს, როგორც იტყვიან, ჩოხის კალთა მეტეხის ციხის კარებში ჰქონდა ამოტანებული და ამდენად მომავალი კატორღელიც ეთქმოდა, მაგრამ წაყენებულ ბრალდებათა გასამაგრებლად კიდევ მავანის და მავანის ჩვენება იყო საჭირო.

ბაბუა იპოლიტე კარგად იცნობდა პროფესორ ალექსანდრე წერეთელის ძირძველი და სახელოვანი ოჯახის ყველა წარმომადგენელს. იშვიათად იქნება გვარი საქართველოში, ერთბაშად ამდენი გამოჩენილი ადამიანი რომ მიეცა ქვეყნისათვის. ამისთვის მარტო გიორგი და მიხაკო წერეთლების გახსენებაც იკმარებდა.

ბაბუამ ხელები დაიბანა და პირმართალი გამოვიდა ციხიდან. სამაგიეროდ აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, ვინც ბატონი ალექსანდრეს წინააღმდეგ ყალბი ჩვენება მისცა. ალექსანდრე წერეთელი 20 წლით გადაასახლეს შუა აზიაში. გაზეთში მინახავს კატორღელის ტამსაცმელში გამოწყობილი პროფესორის ფოტო ...

თბილისში დაბრუნების შემდეგ, ალექსანდრე წერეთელი უნივერსიტეტში იწყებს მუშაობას, სადაც ასევე მოღვაწეობდა მისი დამა, იურიდიულ მეცნიერებათა ორი დოქტორი: ქალბატონი თინათინი და ბატონი ნიკოლოზი, ბაბუა იპოლიტეს უახლოესი მეგობარი და ოდესღაც მისდამი რწმუნებული ჭიათურის ცხრაწლედის ფიზკულტურის მასწავლებელი. შემდეგში იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტერენტი გრანელის ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი და მისი ჭირისუფალი.

ბატონი ალექსანდრე მეც მიკითხავდა საბერძნეთის ისტორიის კურსს უნივერსიტეტში, იტორიის ფაკულტეტზე. იგი ძველი თავადის ნამდვილი კლასიკური ტიპი იყო.

როდესაც ბაბუა იპოლიტე თავისი მოგონების წიგნში – “მე და სხვების” აკარგიანობის დასადგენად წერილით მის მიტანას ნიკუშა წერეთელთან მოხოვდა, უკიდურეს შემთხვევაში, თუ იგი სახლში არ დამხედებოდა, მაშინ ეს წიგნი ბატონი ალექსანდრესათვის უნდა გადაემცა. იპოლიტემ კარგად იცოდა მისი მეცნიერული განათლების სიღრმე და სულისკვეთება...

რამდენიმე წლის წინ მე და ჩემს ძმას იმ პატარა ეკლესიის მოხატვა გვთხოვეს, რომელიც ამ ღირსეულ ადამიანთა მამა-პაპურ ეზოსა და სახლის გვერდით დგას მათ მშობლიურ სოფელ ცხრუკვეთში.

გვიამბობდა გენერალი შალვა მაღლაკელიძე

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მტერი კავკასიას იყო მომდგარი, გერმანელთა გამარჯვებაში თითქოსდა აღარავის უნდა შეჰპარვოდა ეჭვი, მით უფრო მაშინ, როდესაც ყუმბარები თბილისშიაც ცვიოდა და ზესტაფონშიც. დაფეთებული ხალხი სარდაფებისკენ გარბოდა. ყველა საიმედო თავშესაფარს ეძებდა. დამე მთელი თბილისი ჩაბნელებული იყო ამერიკიდან ჩამოტანილი შავი ქაღალდით, რომელსაც დღესაც სიამოვნებით ვიყენებ მხატვრობაში გრაფიკული ნამუშევრების შესასრულებლად.

ბაბუა იპოლიტე – “უშიში ვითარცა უხორცო”, არათუ სარდაფში არ ჩარბოდა, მშვიდად იჯდა შენობის მესამე სართულზე და წერით ან კითხვით ირთობდა თავს, დამე კი პირდაღებულს ეძინა ლოჯინში. დიახ პირდაღებულს, რასაც იგი ხალხური რწმენის საფუძველზე აკეთებდა. თურმე ადამიანს ასეთ პოზაში თუ სძინავს, მის სახლს არც ყუმბარა დაეცემა და არც სხვა რამე ფათერაკი დაატყდება თავსო. მე ახლაც კი მიკვირს, თუ როგორ სჯეროდა ამ ცრურწმენისა, როცა ასეთი რამეები სრულიად მიუღებელი და სასაცილო იყო მისთვის.

ასე იყო თუ ისე, ბაბუა იპოლიტე მუდამ მშვიდობიანად ხვდებოდა ცისკარს.

ყუმბარები კი ცვიოდნენ მაღლიდან, მაგრამ არცერთი მათგანი აფეთქებული არავის უნახავს. ცვიოდა და ეგ იყო. ხოლო თუ ვინმე ყუმბარასთან ახლოს მისვლას გაბედავდა, ხელთ ჩვეულებრივი გახვრეტილი კასრი რჩებოდა.

ბოლოს და ბოლოს რა ხდებოდა? ეს ბავშვური ომობანა იყო თუ ნამდვილი ფორსირებული ბრძოლა? ამის შესახებ მაშინ ალბათა არავინ არაფერი იცოდა.

ამ საიდუმლოს მაშინ აეხადა ფარდა, როდესაც ჩვენს ოჯახში, გ.ტაბიძის 3/5-ში, ჰიტლერის გენერალმა და რკინის ჯვრის კავალერმა შალვა მაღლაკელიძემ შემოაბიჯა. მეგზურობას თბილისის ერთ-ერთი ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი იოსებ პავლიაშვილი უწევდა. აღნიშნულ წრეში ბატონი შალვა მუდამ დაიარებოდა, მაგრამ არა როგორც შემოქმედი მწერალი, არამედ, როგორც დინჯი მსმენელი. ამ პიროვნებას იმდენი რამ ენახა ცხოვრებაში, რომ მოგონებათა მთელი ტომეულების დაწერვა შეეძლო, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა მიზეზთა და მიზეზთა გამო. სამწუხაროა, რომ ამ დიდმა ადამიანმა მთელი ისტორია ჩაიტანა საფლავეში.

მის საუბარს ჩვენი ოჯახის ყველა წევრი ვესწრებოდით. მე ამის შესახებ მოზრდილი მოგონებაც მაქვს დაწერილი და ცხადია, აწ უკვე თქმულს აღარ გავიმეორებ. მხოლოდ გავისხენებ ბატონი შალვას მონათხრობს იმ ყუმბარების შესახებ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ცვიოდნენ საქართველოს ციდან:

- ეს ყუმბარები ჩემი განკარგულებით ცვიოდა მადლიდან, - გვიამბობდა ბატონი შალვა, - მაგრამ ისინი ყუმბარები კი არა, რკინის გახვრეტილი კასრები იყო. მე ამით თვალს ვუხვევდი გერმანელებს, თითქოსდა მათ ბრძანებას ვასრულებდი და ნამდვილ ყუმბარებს ვყრიდი ზემოდან...

აი თურმე რაში ყოფილა საქმე.

გენერალი ბორის საპოჟნიკოვი

ბატონი შალვა, მიუხედავად მისი ასაკისა, ნამდვილი კავკასიელი იყო, იშვიათი ტემპერამენტითა და სიცოცხლით აღსავსე.

მისგან განსხვავებით, რუსი გენერალი და პროფესორი ბორის საპოჟნიკოვი, სულ სხვა პიროვნება იყო: ზედმეტად დინჯი, ღრმად განათლებული და ტკბილმოუბარი...

სიცოცხლის ბოლოს, მართლაც რომ დაებედა ბაბუა იპოლიტეს გენერლებთან შეხვედრა.

მადლაკელიძის შემდეგ, რუს გენერალთან მოუხდა მასლაათი. ეს იყო 1965 წლის მარტში. იმ მზიან დღეს პოეტმა შოთა ხოდაშნელმა (კონსტანტინიდიმ) ბაბუა იპოლიტეს თავის ბინაზე ორი სტუმარი აახლა: ბორის საპოჟნიკოვი და მისი მეუღლე, ორთავე დინჯი და ასაკოვანი ადამიანი.

მათმა სტუმრობამ და გულახდილმა საუბარმა ფრთები შეასხეს 93 წლის მოხუცს და აზიარეს გარდასულ დღეთა მოგონებას.

ბორისი ჩინეთში რუსეთის საელჩოს ყოფილი ატაშე თუ სხვა დიდი თანამდებობების პირი იყო, ამასთან პროფესორი და მრავალი ამბების მომსწრე. მეუღლემც მისი ნამდვილი ალი-კვალი გახლდათ. მასსავით დინჯი და თავაზიანი. სწორედ ასეთ დროს იტყვიან ხოლმე – ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო...

გენერალი და მისი მეუღლე უფრო მსმენელთა როლში გამოდიოდნენ. უფრო მეტად ბაბუა იპოლიტე საუბრობდა. სტუმრებს მის მიერ ყაზანსა თუ სიმფეროპოლში გატარებულ წლებზე მოუთხრობდა. ყაზანელი ფაბრიკანტის შვილზეც უამბო, რომელიც შეიძლებოდა ცოლადაც კი შეერთო, მაგრამ ეს არ მოხდა მისივე ნებით.

პუშკინის ლექსებსა და ბელინსკის ციტატებს ხომ იშველიებდა. ბაბუას იშვიათი საუბარი, კლასიკური და ლიტერატურული რუსული ენის ცოდნა ხიბლავდა სტუმრებს, თავის მხრივ სიტბოსა და სიყვარულს რომ არ იშურებდნენ ამ ბიბლიური ასაკისა და სილამაზის მქონე მოხუცის მიმართ.

იმ დღის შთაბეჭდილება ჩემთვის იმდენად დიდი იყო, რომ მეორე დღესვე ბორის საპოჟნიკოვს ასეთი ლექსი მივუძღვენი :

შენ ქართული ცის თოვლიან ფსკერზე
თითქოს ჩემსავით მიხვალ აღზევანს
და ისე ტოვებ მაგნიტურ ფლეშებს,
ვით ტერაფემას და აზაზევას.

ისევ დასძარი მთები ტაძრებად
და სითამამე მოგაქვს მხედრული.
ძირს იარაღო ! – არის ბრძანება,
რადგან შენ თურმე ომებს ემდური.
შენ თვალებიდან ხიშტებს გაძრობენ
და საპასუხო ჟინი გერევა,
მე კი ძმასავით სახლში მოგელი
ბატონ პროფესორს, ბატონ გენერალს.

10 მარტი 1965 წ.

იმ დღის შემდეგ ბაბუა იპოლიტემ დაახლოებით კიდევ ორი წელი იცოცხლა .

“მამულები ჩამოგართვეს“

საქართველოში დღემდე პოპულარული დადიანის ქალისადმი მიძღვნილი სიმღერა – ეს წარსულ ცხოვრებასთან სამუდამო დამშვიდობებაც არის და უკურნებელი ნოსტალგიაც, ამასთანავე ოდნავ დამცინავი ტონით თქმული სტრიქონები :

დადიანო , დადიანო ,
მამულები ჩამოგართვეს ,
გული არ დაიდარდიანო ...

გასაბჭოების შემდეგ ამ ლექსის სუსხი არაერთ დიდგვაროვან ოჯახს შეეხო, რომლებსაც ახალმა დრომ ცხოვრების საყრდენი წერტილი გამოაცალა და იმთავითვე უწონადობის, გაურკვეველობისა და უიმედობის სამყაროში მოისროლა.

ასეთივე ხვედრი თავის დროზე ჩვენმა ოჯახმაც გაიზიარა. მართალია ბაბუა იპოლიტეს არც ანანოვის მამულები ჰქონია და არც როტშილდის ქარხნები, მაგრამ ისიც კი ჩამოართვეს, რაც მას მხოლოდ საკუთარი ხელფასით ჰქონდა შეძენილი. საყვედური კი ამის შესახებ არასოდეს უთქვამს. ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია.

იმ დროს მიწა და მამული ნებისმიერი ოჯახის ღირსებასა და არსებობის თავწყაროს წარმოადგენდა. დღეს კი მისდამი დამოკიდებულება საპირისპიროდ შეიცვალა . ადამიანთა ერთმა ნაწილმა თავის “მუქუ მამწუებელ” მიწას ზურგი აქცია, იმ მიწას, რომელსაც ქართველი ხალხი მუდამ დედას ეძახდა და ეძახის დღესაც .

ბაბუა იპოლიტეს მამულები გაფანტული იყო ზედა ბუჩნევიდან, ვიდრე პასიეთამდე.

ზედა ბუჩნევიში არსებული მიწა “საჯვარეს” სასაფლაოდან, ითხვისელი დეკანოზის – იოსებ წერეთლის ეზო-კარმიდამომდე იყო გადაჭიმული. აქეთ თავ-კიდეში მდგარმა მსხლის დიდიმა ხემ თითქმის ჩვენს დღეებამდე მათადწია.

მეორე ყანობირი დიდულის წყაროს ქვემოთ მდებარეობდა და მოიცავდა მიროტაულის ნახევარს. იგი ბაბუა იპოლიტეს პასიეთელი მურზაყან აბდუშელიშვილისაგან ჰქონდა შეძენილი, რომელიც უფრო ადრე ვიდრე რაჭველი მიროტაძის კუთვნილება ყოფილა.

აღნიშნული, დღეს უკვე დაჭაობებული მიწა, ქვარნალის დღემდე გრძელდებოდა. გაზაფხულზე ამ დღემ საშინელი ადიდება იცის. მოდის და ტყე და ველი მოაქვს თან. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი იტყოდა, “ხმოვანებს შორს სასმენად”. სამაგიეროდ ზაფხულზე იწრიტება და ქვის უზარმაზარ ლოდებში იკარგება. მიხედავად ამისა, პატარა მწვემის ბიჭები მაინც ვახერხებდით ხოლმე დღეში გუბურის შექმნას და შიგ ჭყუმპალაობას.

პოეტი გიორგი წერეთელი ერთ-ერთ თავის მშვენიერ ლექსს სწორედ ამ დღის გახსენებით იწყებს : “ქვარნალი, ქვაფუტკარიო ,” – წერს იგი და იმ მიდამოებში გატარებული ბავშვობის დღეებს ესათუთება.

ვინ უწყის რამდენჯერ მდგარა ბაბუა იპოლიტე ქვარნალის დღელსთან, როცა ახლადშექმნილ მამულს ეწვეოდა ხოლმე. აქედან ქვახეთქილაში გადავიდოდა, რომელიც თავის დროზე სიმამრმა – ალექსანდრე აბდუშელიშვილმა აჩუქა. კლდოვანი ლოდებითა და ეკალბარდებით დაფარული ეს მიწა, იპოლიტემ ნამდვილ ბაღად აქცია. კლდიდან მოწყვეტილი უზარმაზარი ლოდები, ბაბუამ მეზობელი შარვაძეების მუყაით მამაკაცებს სახლისოდენა ორმოებში დაამარხვინა და ზემოდან შესანიშნავი ვაზი და ხილი გააშენა. ეს ყველაფერი გრძელი ყორითა და აკაციის ნერგებით შემოსაზღვრა. დღეს ამ ნერგებისაგან მთელი ტყეა გაშენებული.

ამის თაობაზე აზნაური აბდუშელიშვილები გაიძახოდნენ ხოლმე: ნეტავ რას დაეძებს ეს კაცი ამ ხრიოკებში? უბრალოდ ფიცხი მეგრელია და როგორც ახალი სიძე თავს გვაწონებსო.

მაგრამ იპოლიტე მაინც თავისას განაგრძობდა. იმავე ვენახებში სახელდახელო მარანიც გამართა, რომლის ნაშთიც დღემდე შემორჩენილი იქ.

თავისუფალ დროს ბაბუა თავადაც ყარაულობდა ამ უზარმაზარ მამულს შემოზღუდულს მაღალი კლდით, რომელსაც დღესაც “ვართაგავას” კლდეს ეძახიან. სწორედ აქედან ეხმიანებოდა ხოლმე იპოლიტე გაღმით – ნადირაძეების უბანში თავის მეგობარსა და ყოფილ მზარეულს ეროსტი ნადირაძეს და ისიც პურ-მარილით დატვირთული გამოდიოდა ბაბუასთან სამასლაათოდ და ყელის ჩასაკოკლოზინებლად.

ერასტი ნამდვილი ბაყბაყდევი, ლოყებლაჟლაჟა, ღვინის მსმელი, მშრომელი, სტუმართმოყვარე და ქალების ტრფიალი იყო. ის თავის დროზე ბაბუა იპოლიტეს მზარეულად ჰყავდა წაყვანილი თბილისში . მისი ქალიშვილი გულნარა მამაჩემის ნათლული იყო. მე მან თავისი ახალგაზრდობის ჩოხა მაჩუქა. ამ ჩოხის ზომის მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ ჭაბუკობისას ერასტი ტანთხელი და ტანწერწეტა იყო. ხოლო მაშინ როდესაც ჩვენი თავლის მეორე სართულიდან ძირს გადმოვარდა, ეროსტი უკვე ჭაღარა და ბაყბაყდევი იყო. ჩვენი ავარიული თავლის დანგრევის დროს, ერასტის ჩვენთან შტოფით გამოტანილი ღვინო ჩუმად შეუსვამს, რამაც ბიბლიური ნოესავით შეაბარბაცა და ძირს მოადენინა ზღართანი. თავი რომ წამოსწია და აქეთ-იქით მიმოავლო თვალი ხმამაღლა ჩაილაპარაკა: უჰ, ეს რა დამემართა, კინაღამ გადმოვარდიო ...

ეს სიტყვები მაშინვე აიტაცა ჩვენი მეზობლის ქალმა, ანეტა (ანიჩკა) ბაქრაძე-აბდუშელიშვილისამ, რომელიც რაღაც საქმეზე მოსულიყო ჩვენთან და ჭიშკრის სიახლოვეს ესაუბრებოდა დედას: - ბეჩა ნინა! კინაღამ გადმოვარდიო თქვა მაგ მამაცხონებულმა და ღვინის ბოლლიწოთი გაბრუებულმა. თუ ამას გადმოვარდნა არ ქვია, მაშინ

გადმოვარდნა რაღა არისო? – იკითხა ენამოსწრებულმა და იშვიათი იუმორით საესე ქალმა.

მე და ჩემმა ძმამ ძლივს წამოვაცენეთ ფეხზე ეს მთა კაცი.

არ ვიცი რამდენად ფლობდა, მაგრამ ბაბუასთან საუბრის დროს, ერასტი ზოგჯერ რუსულ სიტყვებსაც გამოიყენებდა ხოლმე. ერთხელ სოფელ უსახელოზე ჩამოვარდა სიტყვა და ამ სოფლის სახელი რუსულად უთარგმნა ბაბუას და იგი “ბეზიმენიეთი” მოიხსენია. მოხუცმა სიცილი ვერ შეიკავა ამ თარგმანზე, თუ იმას რუსულის ცოდნა და თარგმანი ერქვა. ან კი სად გაგონილა გეოგრაფიულ სახელთა თარგმნა?

ნაწლავების დამბლის სენტანიშნით დაავადებული ერასტი ჭიათურის საავადმყოფოში იყო მოთავსებული. ამ წყევულ დაავადებას მთლად დაედნო იგი. სირულიც კი აღარ შეეძლო და როცა რენტგენზე გასაშუქებლად მიგვეყავდა, ყავარჯნებოდ მე და მისი ქალიშვილი გულნარა ვიყავით შემდგარნი.

მას შემდეგ აღარც მინახავს და დიდხანს აღარც უცოცხლია ამ ამირან-ზრაპარს.

მის დასაფლავებას დედა-ნინა ილიას ასული ესწრებოდა ჩვენი ოჯახიდან.

ქვანეთქილის კლდის თავზე, ეწრის ტყის ქვემო გაგრზელებზე, ბაბუა იპოლიტეს მუხის მოზრდილი ტყეც ჰქონდა, რომელიც დღესაც არსებობს. ამ ტყეს პირდაპირ ებმოდა ასევე მოზრდილი ყანა და საბოსტნე მიწა, სადაც სამიოდე წლის წინ მე და ჩემ ძმას კარავი გვექონდა გაკეთებული.

ყველზე უხვმოსავლიანი ვენახი ბაბუას პასიეთში, მიმინოს წყაროს ზემოთ, მთა-გორებით შემოჯარულ დაღტაფში ჰქონდა, საიდანაც ოჯახს 500 ჩაფი ღვინო ემატებოდა თურმე. დღეს ეს ადგილი სოფელ ქორეთის საკუთრებას წარმოადგენს. ვენახი კი აღარ არსებობს და მის ადგილზე ტრიალი საძოვრებია გადაშლილი.

რაც შეეხება ჩვენს დიდი ეზოს, სადაც 1907 წელს ბაბუა იპოლიტემ და მისმა ქვისლმა, ადვოკატმა ბარათაშვილიმა, ერთობლივი სახსრებით ქვის დიდი სახლი ააგეს, მუდამ მოუსავლიანი იყო და არის დღესაც. ამიტომ აღექსანდრე აბდუშელიშვილი და მისი ძმები იქ მხოლოდ იონჯას თესავდნენ.

მიწა იმდენად მწირ მოსავალს იძლეოდა, რომ ბაბუა ხშირად იძულებული იყო, სამეგრელოში ერბინა, სიმინდი ეყიდა და ჩვენთვის გამოეგზავნა.

ჩვენი ეზოს ღირსებას მისი თეატრალურ-დეკორატიული სილამაზე წარმოადგენს. შორეული თოვლიანი მთები, ცხოველმყოფელი მზე და ვერცხლის სხივიანი მთვარე ჭეშმარიტად ზღაპრულ იერს მატებენ მის ბუნებრივ ლაზათს. ამ სილამაზემ მოხიბლა ჩვენთან სტუმრად მყოფი გერმანელი სტუმრები. ერთმა მათგანმა, გვარად ებერტმა, ჭიშკარში შემოსვლისთანავე რაჭის ულამაზეს მთებს გახედა და მაშინვე მე და ჩემს ძმას მოგვიბრუნდა კითხვით:

- ნუთუ ამ მთებისა და სილამაზის შემხედვარე ლექსებს არ თხზავთ?

ჩვენგან რა თქმა უნდა დადებითი პასუხი მიიღო, მაგრამ სულ მალე, მარანში სუფრის გარშემო მყოფთ, იმ წუთებში დაწერილი საკუთარი ლექსი წაგვიკითხა, რომელიც ჩვენი სოფლის შთაბეჭდილებით იყო შთაგონებული.

აი სწორედ ეს ადგილი არ ემეტებოდა თურმე იპოლიტესათვის ჩემი დიდი ბაბუის აღექსანდრეს ძმას – სამსონ აბდუშელიშვილს, - მწერად

გიორგი წერეთლის მოთხრობის - “რუხი მგელის” მთავარ მოქმედ პირს, სამსონ ჯიბიაშვილს, აქაოდა ციხის კოშკის ხედი მეკარგებაო თვალთაგან, მაგრამ ასეთი რამ მაშინაც კი არ მომხდარა, როცა ბაბუამ ციხის ქვემოთ ქვის დიდი სახლი რომ ააგო.

მიზეზ-მიზეზ და დოს მარილი აკლიაო. ასე მოუვიდა სამსონსაც. ციხის ხედი კი არა ის ადგილი ენანებოდა, რომელიც დღეს ჩვენს ეზოს წარმოადგენს.

ახალი წყობილების დამყარებისთანავე, იპოლიტე უყოყმანოდ შევიდა კოლმეურნეობაში, რითაც 7500 მეტრი მიწა შეინარჩუნა. ამ მცირე მიწის ნაწილი ე.წ. ქვახეთქილაში კიდევ გვექონდა ჩვენი ბავშვობის დროს.

ვენახს დედა, ბაბუა და ჩვენ ვამუშავებდით, საიდანაც შესანიშნავი ატამი და თაფლივით ტკბილი ყურძენი ემატებოდა ჩვენს ოჯახს. დღეს იქ ყველაფერი ისეა გადავლილი მაყვლის ბუჩქებითა და აკაციის ხეებით, რომ წარსულის სიუხვისა და დიდების არავითარი კვალი აღარ იგრძნობა...

თუ ბაბუა იპოლიტემ მამულის მცირე ნაწილი მაინც შეინარჩუნა, სამაგიეროდ დედაჩემის მამა – ილია ნიკოლოზის ძე კაპანაძე დარჩა ცარიელ-ტარიელი, მოლიპულ ქვაზე. მიწის, ვაზისა და ხარ-ურემის ტრფიალმა, ალლო ვერ აულო ახალ დროებას, იფიქრა, ცხოვრების ხარხი ისევ დაბრუნდებოდა უკან და ადგილმამულებსაც კვლავინდებურად შევინარჩუნებო, მაგრამ მისდა საუბედუროდ, თითქმის ყველაფერი წაართვეს და კარზე მხოლოდ 1500 მეტრი მიწა შეუნარჩუნეს. თუ რა ბედი ეწიათ მის ქედუხრელ ხარებს – გორასა და ლომას, მე ამის შესახებ არაფერი ვიცი.

იმდენად უყვარდა აწ უკვე წართმეული მამულები, რომ მათ ირგვლივ შემორჩენილ ყორეებსაც ძველებურად უვლიდა და აღადგენდა, თუკი ერთ ქვასაც ძირს ჩამოგდებულს ნახავდა ხოლმე.

ზოგჯერ ეს სამუშაოები დიდ სიმძიმეებთან იყო დაკავშირებული, მოხუცი ილია ბაბუა კი მაინც ჯიუტად ერკინებოდა იმ სამუშაოს, რასაც არავინ არ ავალებდა მას და არც მოეთხოვებოდა მოხუც ადამიანს. ამან თავისი სამწუხარო შედეგი გამოიღო. ორგზის დაემართა ნაწლავების გადახლართვა. პირველ ოპერაციას კი გაუძლო, მაგრამ მეორეს ვეღარ გაუმკლავდა და 1955 წელს გარდაიცვალა კიდევ.

როგორც ზემოთ ვწერდი, ბაბუა იპოლიტე წართმეული მიწების შესახებ საერთოდ არაფერს ამბობდა ხოლმე. ის ან არ განიცდიდა ამ ამბავს, ან ტკივილს გულში ინახავდა და ოჯახის წევრებს არაფერს გვაგრძნობინებდა.

მე ვფიქრობ, რომ ამის უმთავრესი მიზეზი სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო, კერძოდ ახალი დროის დამკვიდრება, რამაც ბაბუა იპოლიტესა და არამარტო მას, ხელიდან გამოაცალა ის მუშა ძალა, ჯამაგირის საფასურად იპოლიტეს მამულებს რომ ამუშავებდა.

მამაკაცთა უმრავლესობა ჭიათურის შავი ქვის მადარობმა შთანთქმეს. მოჯამაგირედ ყოფნას, ქართველ თუ უცხოელ მრეწველებთან მუშაობა ამჯობინეს.

ამათგან ზოგიერთი თავის კერიას დაუბრუნდა სამუდამოდ. მათ შორის ერასტი ნადირაძე, დატა კაპანაძე, ისაია ქამუშაძე თავის ოჯახითურთ, სხვები და სხვები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ისინი უახლოეს ადამიანებად და ნათესავებადაც კი დარჩნენ იპოლიტეს ოჯახისათვის.

დათა კაპანაძე პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. ტყვედ ჩავარდნილი, ერთ-ერთ მდიდარ გერმანელს თავის ფერმაში მეღორედ

დაუყენებია. ენაკვიმატი და ხუმარა დათა ბაბუა იპოლიტეს სიცილით კლავდა თურმე:

-ყოველ დილას ჩემი უფროსი მეტყოდა ხოლმე, “კოფე დრინკეს?”

-ნიხტს, დუ ვაინ! – ვუპასუხებდი თავაზიანად, თუკი ყავის დაღვეა არ მინდოდაო.

სახლში დაბრუნებულს, ცოლის შერთვა გადაუწყვეტია,

ამის შესახებ მამამისისათვის განუცხადებია. მამას კი მკაცრი ტონით უთქვამს: ცოლის შერთვას კაი შაგყვერა ბიჭი უნდაო.

დათას პირდაპირ გაუგია ეს სიტყვები და იქვე ყანაში გავარდნილა შესამოწმებლად. მერე კი მამასთან მისულა და უთქვამს, მამა ნახე რა შაგყვერა ბიჭი ვარო.

მაშინ ჯორკოზე ჩამომჯდარ კაცს თავში ხელი წამოურტყამს შვილისათვის და ახლა სხვაგვარად განუმარტავს: - აი ,შე ხისთავა და ბატის ტვინა! მაგ შავი ყვერებით ცოლ-შვილი როგორ უნდა არჩინო. ხელები დაიკაპიწე და იმუშავე, თუ გინდა სარჩო საბადებელი მოიპოვო და ცოლი მერე შეირთეო.

ბაბუა იპოლიტე ხშირად სიცილით იხსენებდა ხოლმე დათას ამ სიტყვებს. მისი შვილიშვილი თამარი დღეს ჩვენი ახლო მეზობლისა და ბიძაშვილის მეურლეა.

ერასტი ნადირაძისა და ისაია ქაძუშაძის შთამომავლებთან ჩვენი ოჯახის ნათელ-მირონობამ დააკავშირა.

ყოველივე ეს იმის დასტურია, რომ იპოლიტე ამ ადამიანებთან მუდამ თბილი ურთიერთობებით იყო დაკავშირებული. ნათელ-მირონობა ერთმანეთის მოძულე ადამიანებს შორის არ ხდება.

სხვა დრო რომ იყოს და ბაბუა იპოლიტეს ყოფილი მამულები ისევე ჩვენი კუთვნილება გახდეს, დღეს მისი დამმუშავებელი მაინც აღარავინ იქნება. ჩვენ ხომ ვერანაირად ვერ შევძლებდით მათ ათვისებას.

არცთუ დიდიხნის წინ მეზობლები მტკაველი მიწის გულისათვის თავებს უხეთქავდნენ ერთმანეთს. ახლა ასეთი რამ აღარ ხდება. ჩვენსა და მერზობელ სოფლებში ლამის ნახევარი მიწა გაუდაბურდა. ღმერთმა უწყის, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთი რამ.

თაობათა ცვლა ოჯახის დედაბოძი – ნინო ილიას ასული

აღმანას “საუნჯის” 1985 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ნიკოლაი რერიხისადმი მიძღვნილი ჩემი წერილი, რომელსაც თან ერთვოდა მხატვრის რამოდენიმე ფერწერული ნამუშევრის ფერადი რეპროდუქცია. ამათგან “Матерь мира”, რომელიც ჩემს მიერ საგანგებოდ იყო შერჩეული, დედის მარად ამოუწურავი თემის ქარგაზეა გაშლილი. სწორედ ამიტომ მიიპყრო მან ჩემი ყურადღება.

ნახატის სახელწოდება მე ოდნავ შეცვლილი სახით ვთარგმნე და მას “სამყაროს დედა-ბოძი “ ვუწოდე...

მე ვფიქრობ, გაზვიადებულად არავინ ჩამითვლის, თუ დედაჩემს – ნინო ილიას ასულს ზოგჯერ დედა-ბოძად მოვიხსენიებ ხოლმე. ოჯახისა და ერისადმი ვალმოხდილი ყველა ქალი ერთდროულად დედა-ბოძიცაა და ამავე დროს მიწიერი ღმერთიც.

დედა-ბოძი – ეს სიმტკიცისა და ძლიერების სიმბოლოა, ხოლო ზედ ამოკვეთილი ბორჯღალი ანუ იგივე მზე – მარადიული სითბოსა და სინათლის თავწყაროდ გამოისახებოდა მუდამ.

როდესაც ერთ დროს მე, ჩემი ძმა ტარიელი და ვაჟიშვილი გიორგი სოფელ ჭორვილის საშუალო სკოლის ფოიეში, საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ დიდ კომპოზიციაში, დავით აღმაშენებლის ფრესკას დედა-ბოძის ფონზე ვხატავდით, ამით ხაზს ვუსვამდით მის ძლევა-მოსილებას, რომელიც დღესაც იმედის შუქურად ბრწყინავს გარდასულ საუკუნეთა კვარცხლბეკზე. ეს ფრესკა შეიძლება დავუპირისპიროთ დასავლეთ ევროპულ არქიტექტურაში გამოყენებულ კუნთმაგარ ატლანტებს, რომელთაც თითქოსდა მხრებით ეპყრათ მთელი შენობის სიმძიმე.

ატლანტებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდი დავითი ნამდვილად იყო საქართველოს დედა-ბოძი, მაგრამ როცა მისი საფუძველი გვარიანად შეირყა, ქვეყანასაც კარგა მოზრდილი ნაპირი ჩამოატყდა და დაიმსხვრა ციდან ნასროლი გრაალის თასივით.

ქვეყანა ძლიერი ხელის გარეშე არ არსებობს, ხიდი – ბურჯების, შენობა – სვეტების, ბულაურებისა და მზიდი კედლების გარეშე...

ოჯახიც ასეა ჩემო ზვიტფასებო!

თუ ოჯახს ნამდვილი დედა-ბოძი არა ჰყავს, ის ფარდალადა საბძელსა ჰგავს, რომელიც შარახვეტია ქარისა და გამხმარი ოთლების საბზრიალოდ გამხდარა.

...

როდესაც ბაბუა იპოლიტე ზემოიმერულ სოფელ ბუინევში სამუდამო საცხოვრებელს ამკვიდრებდა, იმთავითვე მისი ძლიერებისა და სიცოცხლის უნარიანობაზეც ფიქრობდა. ამისთვის საჭირო იყო ოჯახს ისეთი დედა-ბოძი ჰყოლოდა, რომელიც მის ღირსებისა და სიმძიმის ჯვარს იტვირთავდა და ბოლომდე ატარებდა მას.

უფროსი ვაჟის – ექიმ გოგი ვართაგავას გარდაცვალების შემდეგ, ეს მისია მეორე ვაჟიშვილს – ირაკლისა და მის მომავალ მეუღლეს უნდა ეკისრათ. ამისთვის საჭირო იყო ღირსეული სარძლოს პოვნა.

ამ მხრივ ბაბუა იპოლიტეს ორიენტაცია და სიმპათია გლეხის ოჯახში გაზრდილი ქალიშვილისდმი იყო მიმართული. მას გულით სჯეროდა, რომ იქაურ სამყაროში გაზრდილი ქალი მუდამ გამოირჩეოდა ოჯახის, ქმრისა და შვილებისადმი ერთგულებით, რაც მის სულსა და სისხლში საუკუნეთა მანძილზე გამომშუშავდა. საქართველოს ჭირი თუ ღხინი, ომი თუ ციხე-ტადართა მშენებლობა, გუთნის დედობა, მცელავთ წინამძღვრობა თუ ვაზის მისტიკური ენის ცოდნა მუდამ გლეხი კაცის მხრებზე გადადიოდა და გადადის დღესაც.

სწორედ ამიტომაც წერდა პოეტი-მეფე არჩილი :

რა დაეცეს გლეხი-კაცი,

საქართველო დაძაბუნდეს .

...

ბაბუა იპოლიტეს სურვილის ახდენას საფუძველი ჭიათურის ცხრაწლედის ღირეპტორად ყოფნის დროს ჩაეყარა. კალვათელ “დიდ კაპანაძეთა” ოჯახში გაზრდილი ქალიშვილი – ნინო ილიას ასული თითქოს თვით უფალმა გაუგზავნა სკოლაში აღსაზრდელად. შესაძლოა, არც კი მიეძცია მისთვის ყურადღება, ხუჭუჭა და პირბამბა მოსწავლე,

გარეგნობითა და მათემატიკის არაჩვეულებრივი ნიჭით რომ არ ყოფილიყო დაჯილდოებული.

ამის დასტურია თუნდაც სკოლის სახელგანთქმული მათემატიკოსის ტიტე ბერიშვილის მიერ დედაჩემისადმი ავტოგრაფით ნაჩუქარი სურათი. ასეთ სურათებს ბატონი ტიტე მხოლოდ მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულ შეგირდებს უძღვნიდა ხოლმე. მათ შორის გახლდათ დედაჩემის თანაკლასელი და მომავალი აკადემიკოსი სერგე ღურმიშიძე, ვის სახელსაც ატარებს დღეს საჩხერის ერთერთი დიდი ქუჩა. აღნიშნული ფოტოს შესახებ ბატონი სერგი თავის ბრწყინვალე მოგონებებშიაც გვიამბობს. აქვე იხსენიებიან ბაბუა იპოლიტე, ტიტე ბერიშვილი და მათი გამორჩეული მოსწავლე ნინო ილიას ასული, სხვები და სხვები. საქმე ეხება სკოლაში გამართულ მათემატიკურ ტურს, სადაც არაერთი ნიჭიერი მოსწავლის სახელმა და მათ შორის, დედის ნიჭმაც გაიელვა. წიგნში “მე და სხვები” ბაბუა ტიტე ბერიშვილს რატომღაც არ იხსენიებს. მის შესახებ გაზეთ “ჭიათურის მაღაროელში” გამოქვეყნდა ვინმე ღვალაძის წერილი, რომელიც ფარადს ხდის ამ პედაგოგის სიცოცხლის ბოლო დღეებს: მეორე მსოფლიო ომის დროს იგი გერმანელებს შეუპყრიათ პოლონეთში და დაუსხვრეტიათ.

2004 წელს უნდა აღენიშნათ ჭიათურის მეორე საშუალო სკოლის დაარსების 100 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით მისმა მაშინდელმა დირექტორმა ნელი მოდებაძემ თავისთან მიხმო ჭიათურაში და მთხოვა ბაბუა იპოლიტეს მოგონების – “მე და სხვები”, აგრეთვე მისი და ოჯახის სხვა წევრთა სურათების მიწოდება. მე შევასრულე ქალბატონის თხოვნა და ყველაფერ ამას თან დავეურთე ტიტე ბერიშვილის ზემოთაღნიშნული ფოტოსურათიც.

რამდენადაც ვიცი, ამჟამად იწერება ამ სკოლის მთელი ისტორია.

ქალბატონმა ნელიმ მიჩვენა ის ოთახი, სადაც ბაბუა იპოლიტე ცხოვრობდა მაშინ ვაჟიშვილ ირაკლისთან ერთად. ოთახი, სადაც 1926 წელს პირადად ეწვია პოეტი ტერენტი გრანელი ჭიათურის თეატრში მის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით. მიჩვენა აგრეთვე რელიგიის ის ოთახი, რომლის მოხატვაც გულით ეწადა მას. ამ სამხატვრო საქმეთა დაწყებასა და გასრულებას კი ჩვენ გვთხოვდა.

სკოლის შესასვლელში, ყოფილ რიგ დირექტორთა გვერდით, ბაბუა იპოლიტეს ფოტოსურათიცაა გამოფენილი...

დედაჩემი, ნინო ილიას ასული, თუ გამოჩენილი მათემატიკოსი არა, სკოლის დირსეული პედაგოგი მაინც გახდებოდა, მაგრამ ცხოვრებისა და ოჯახურ ორომტრიალში ჩართულმა, ეს ვეღარ მოახერხა. მიუხედავად ამისა, მას ღრმა მოხუცებულობამდე ახსოვდა ამ საგნის ძირითადი საფუძვლები და სიბერეშიაც კი შეეძლო მაგანი მოსწავლისათვის საჭირო კონსულტაციის გაწევა.

თავისი სულიერი ტკივილებისა და ადამიანური ცხოვრების წარუმატებლობებზე წერდა დედა ერევანში მცხოვრებ ქართველ პოეტსა და ჩინებულ ფერმწერს, ცნობილი სომეხი მხატვრის გრიგორიანის, იგივე ჯოტოს მეუღლეს დიანა უკლებას, მაგრამ ეს წერილი, რატომღაც არ გაუგზავნია მისთვის და დღემდე ჩვენს ოჯახშია დაცული. 65 წლის მანძილზე დედა სოფელში იყო გამომწვევადელი. ქმართან მხოლოდ შვიდი წელი დაჰყო და მას შემდეგ ეწეოდა ოჯახის, შვილთა აღზრდის, სოფლის მეურნის, საკოლმეურნეო შრომის, მეაბრეშუმისა თუ მამამთილის მოვლა-პატრონობისა და სტუმართ პატივისცემის მძიმე ჯვარს.

მის შესახებ თითქოს წინასწარ გრძნობდა ბაბუა ილია, როდესაც მასთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად ჩასული იპოლიტე ვართაგავას ცივი უარით ისტუმრებდა უკან. ვერც მისმა ჩახვეულ-ჩახუჭუჭებულმა ქათინაურებმა მოუღბეს ილიას გული და ცხადია, ვერც მის მეუღლეს – მარო საჩინოს ასულს.

ჩემო კარგო, -მიმართვდა ბაბუა იპოლიტე ილია ნიკოლოზის ძეს, - შენი ქალიშვილი ჩემი აღზრდილია ჭიათურის ცხრაწლედში. მისი გარეგნული იერსახე და ნიჭი შეუმჩნეველი არც მე დამრჩენია და არც სხვას. ჩემი ვაჟიშვილიც მასთან ერთად სწავლობდა, რის გამოც ერთმანეთს კარგად იცნობენ.

მე მინდა მათი შეუღლება მოხდეს. მჯერა, კარგ ოჯახს შექმნიან. რაც შეეხება აჩემს ვაჟიშვილსა და მის ასავალ-დასავალს, ეს ყველამ კარგად ჩინებულად იცის. პატიოსანი და მშრომელი ყმაწვილია, უწყინარი.

ილიასა და მისი მეუღლის უარყოფითი განწყობის მიზეზი ამ ორ ოჯახს შორის არსებული სოციალურ-იერარქიული სხვაობა იყო.

ილია ერთი უბრალო მიწის მესაიდუმლე კაცი გახლდათ, რომლის ძირითად მიზანს ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ბაბუა იპოლიტე, რომელსაც ხალხი ჩვეულებრივ “იპოლიტ პეტროვიჩს” ეძახდა, ძირითადად სულიერი ცხოვრების მადიდებელი იყო, მაგრამ იმავე დროს ფიზიკურ შრომასაც არანაკლებ აღმერთებდა. ამ ორ საწყისს ისე უყურებდა, როგორც ადამიანს, რომლის პიროვნებაშიაც ჰარმონიულადაა შერწყმული ფიზიკური და სულიერი საწყისები.

ამ გაგებით იგი სულიერი შემოქმედების ფრთაზეც იღვა და იმავედროულად ანთეოსივით მიწაზეც მძლავრად ჰქონდა ფესვები გადგმული.

ილიასავით მასაც გვარიანი ადგილ-მამულები ჰქონდა.

მარტო ილიას როდი ჰყავდა ქედმადლიანი გორა და ლომა ხარი. არა, იპოლიტეს ეზოშიაც ნახავდით ორ ვეება ხარს: ღვინიასა და შამილას.

თაფლა პატარა მოზვერს ერქვა, კოკი დეკეულს, დოდო – ოჯახის მოჭირნახულე ძროხას, მილა – ძაღლის სახელი იყო. მის სახელს დღესაც კი მოწიწებით ვიხსენებთ ხოლმე, რამეთუ მან ეწრის ტყის მახლობლად, სრულიად მარტომ დაახრჩო მასთან სამკვდრო საციცოცხლოდ შერკინებული მგელი. სახლში კი ბანცალბანცალით დაბრუნდა. ერთი კვირის მანძილზე ველ რც ადგომა შეძლო და ველარც ჭამა.

ჰო, ეს ყველაფერი იცოდა ილია ბაბუამ, გული მაინც ეთანადრებოდა. არა არ უნდოდა ქალიშვილის იმ ოჯახში გათხოვება, რომელიც ელიტარული თვალსაზრისით, მის ოჯახზე გაცილებით მაღლა იდგა.

ბაბუა იპოლიტე კი ყოველივე ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მისთვის სულერთი იყო მეფეცა და ღვითის გლახაც, თავადიცა და გლეხი-კაციც, ნასწავლიცა და უსწავლელიც, რადგან სჯეროდა, რომ ყველა “ადამის შვილნი ვართ”, რომ ყოველგვარი იერარქიული სხვაობანი, რეგალიები, კვერთხები თუ სხვა მისთანანი, ეს მხოლოდ ადამიანისაგან იყო მოგონილი და არა უფლის მიერ.

ამ გაგებით იგი პირველი ჩავიდა და ილიას თავისი გულის ნადები გაანდო.

ბოლოს და ბოლოს გატყდა გლეხი-კაცის ჩოხაში გამოკვალთული ილია და იპოლიტეს თანხმობა მისცა.

იმ დღეებში საცოლეს დასანიშნად გამზადებულმა მამამ ფეხის კოჭახარი ალესილი ნაჯახით გადაიჭრა და მოყვრებში ჩასვლა ურმით მოუხდა.

...

2003 წელს თბილისში დაიბეჭდა ინჟინერ-კონსტრუქტორის ნუგზარ სიმონის ძე კაპანაძის კრებული სათაურით : “მზე შინა და მზე გარეთა”, რომლის ერთ-ერთ გვერდზე მოთავსებულია ამ ზემოთაღნიშნულ ამბავზე შექმნილი ნოველა: “იპოლიტე და ილია”.

ნუგზარი კალვათის მკვიდრია და იმავე დროს ბაბუა ილიას ოჯახის ნათესავი, კარის მეზობელი, ნიჭიერი პოეტი და კალმოსანი. ილია მას ბაბუად ეკუთვნოდა. დედაჩემისა და მამაჩემის შეუღლების ამბავიც შესანიშნავად იცის.

მის ნოველაში ვკითხულობთ :

“იპოლიტე ვართაგავამ (კრიტიკოსი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე), როდესაც ბიჭი საცოლვე გაუხდა, გადაწყვიტა გლეხის გოგო მოეყვანა რძლად, რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობდა.

-შენი შვილი ნუციკო ჩემს ბიჭს კაკის გამოაყოლებო.

ილიამ შორს დაიჭირა :

-დიდ პატივს გცემ ბატონო იპოლიტე, მაგრამ ჩემი გოგო არ გამოგადგება, თქვენი წოდების შესაფერისი არ არის.

იპოლიტემ ბევრი უმტკიცა, რის აზნაური, რა გლეხიო, მაგრამ როცა არაფერმა გაჭრა, თვალი მოჭუტა და წავიდა. გადაწყვიტა თამაშში კაკი ჩაერთო.

კაკიმ ნუციკო გაიცნო და თავი შეაყვარა.

იპოლიტე უკვე ზურგამაგრებული ჩამოვიდა ბაბუასთან:

-ილია ჩემო! ხალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ და რას იტყვიო.

-არა, მე სიყვარულს წინ ვერ აღვუდგები. შემოიყვანეთ ნუციკო!

ნუციკო შემოვიდა.

-ნუციკო შვილო, გახსოვს მე რა გითხარი? ესა და ეს ვაჟი ახლოს არ გაიკაროთქო?

-მამა, ნამდვილი სახელით გამეცნო (კაკი შერქმეული სახელი იყო)

-გვარი?

-გვარი გვიან გავიგე.

-მადლობელი ვარ შვილო გვარი რომ მაინც გაიგე. გიყვარს?

-კი!

-რახან ასეა, ახალგაზრდებს დრო მივცეთ, საბოლოოდ გაერკვიონ თავიანთ გრძნობებში.

იპოლიტე მიხვდა, ილია კიდევ რაღაცას ეშმაკობდა. კაკის ანიშნა, მანაც ბეჭედი ამოიღო, ილიას დიდი და ნუციკოს მცირე წინააღმდეგობის მიუხედავად თითზე გაუკეთა.

-მაინც მაჯობე, ბატონო იპოლიტე, -ხელი ჩაიქნია ილია ბაბუამ.

...

აი, აქ მთავრდება ეს პატარა ნოველა. აქ ზოგი რამ მწერლის ფანტაზიის ნაყოფა წარმოადგენს. მამაჩემს დედაჩემის გაცნობა მის ოჯახში სულაც არ სჭირდებოდა, რადგან ისინი ერთად სწავლობდნენ ჭიათურის ცხრაწლედში. ბაბუა იპოლიტემ სწორედ იქ შეარჩია მისდამი რწმუნებული სკოლის მოსწავლე თაცისი ვაჟის მომავალ საცოლვედ.

...

მზითვეი თუ უბრალოდ საკითხავი წიგნი ?

მზითვის იმ ჩამონათვალთა შორის, რომელსაც ძველი ქართული ყოფის სინამდვილეში ერთ-ერთი აიცილებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, “ვეფხისტყაოსანი” იყო. ეს ყველასათვის ცნობილი ამბავი ლექსითაც არის დადასტურებული:

ქალი მყავდა მშვენიერი,
თავ-მორთული, კაბოსანი.
გავათხოვე, გავატანე
ჩემი “ვეფხისტყაოსანი”.

ასეთი რამ დედაჩემის მიმართ საერთოდ არ მსმენია. ბაბუა ილიას ოჯახიდან დედის მიერ მხოლოდ შექსპირის ტრაგედიებია მოყოლილი-“ქართული წიგნის” ვგიდით გამოცემული 1927 წელს.

მე არ ვიცი, ეს მზითვის ნაწილი იყო თუ უბრალოდ საკითხავ წიგნად წამოღებული მამის კერიიდან, მაგრამ რაც მთავარია, მე ისიც კი არ ვიცი, მოყვა თუ არა დედას რაიმე მზითვეი.

ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. დედის მზითვეი-ეს მისი დედ-მამის კალთებქვეშ შექმნილი პატიოსნება იყო, რომელიც მან, თავის მხრივ, ჩვენ გადმოგვცა, ჩვენგან კი მართონელის ჩირაღდანით, ნელ-ნელა გადადის შვილებსა და შვილიშვილებზე.

მეორე მსოფლიო ომის წლებსა და მის შემდგომ, ჩვენი ბიბლიოთეკა ერთობ ღარიბი იყო. “ეტაჟერკაზე” შემორჩენილ ტომეულებს შორის ძირითადად რუსული წიგნები ჭარბობდა, წიგნები დოსტოვესკის, ტოლსტოის, ტურგენევის, პუშკინისა თუ სენკევიჩისა, იქვე რა თქმა უნდა, ქართული წიგნებიც იყო: აკაკის, ილიას, ვაჟას, ს.შანშიაშვილის, გრ. აბაშიძისა თუ ტერენტი გრანელის თხზულებათა კრებულები. ასევე იყო ქუთაისში “კირჩხიბის” მიერ 1929 წელს გამოცემული ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედების ერთობლივი წიგნი, რომელსაც თავის დროზე კბილს უსინჯავდა იპოლიტე და იმთავითვე მკაცრად უპირისპირდებოდა მათ. ახალ, ბაბუასას გემოვნებისათვის მიუღებელ აზროვნებას, ჩემი და ჩემი ძმისთვის კი შთაგონებისა და პოეზიაში ახალ სამყაროთა აღმოჩენის სიმბოლოც. მე დღესაც არ მეპარება ეჭვი, რომ წიგნების რაოდენობა თავის დროზე ერთობ დიდი იყო, მაგრამ მოსამსახურეთა იმედად მიტოვებული სახლიდან წიგნებიც იკარგებოდა და სხვაც ბევრი რამ.

თაროზე შემორჩენილი წიგნებიდან: შატობრიანის “გლეხი-კაცის ისტორია” და “საოჯახო სამკურნალო ცნობარის” მოზრდილი ტომი ხელიდან ხელში გადადიოდა და ხმარებისაგან იყო ერთიანად გაცრეცილი და ყდებშემოდარცული გადმოგვეცა სამემკვიდრეოდ. დედას განსაკუთრებით “გლეხი-კაცის ისტორია” და ლილიან ეტელ ვოინიჩის “ბიძია თომას ქოხის” კითხვა უყვარდა და ეს იმდენად, რომ მეზობლის ქალებს რიგ ადგილებს ზეპირადაც კი უამბობდა კიდევ.

დედის მიერ დედულეთიდან მოყოლილი შექსპირის ტრაგედიებს მკითხველი ნაკლებად ჰყავდა, ეს გასაგებიცაა. ჯერ ერთი შექსპირს სულ სხვა განათლების მკითხველი სწირდება და მეორეც, იმ გაგანია ომის დროს ხსენებული წიგნისათვის არავის ცხელოდა. მაშინ, თვით შექსპირისა არ იყოს, “ყოფნა-არყოფნის” საკითხი იდგა და ყველა სულის გადარჩენაზე ფიქრობდა.

ჩემს დედულში შექსპირის ტრაგედიებს ბაბუა ილია რომ არ წაიკითხავდა, ეჭვიც არ მეპარება. ძველი დროის ორკლასიანი საშინისტრო სასწავლებელი კი ჰქონდა დამთავრებული და ჩვენთან

ჭურის რეცხვის დროს რუსულ სიტყვებსაც გამოურევედა ხოლმე, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო შექსპირის მიუწვდომელ მწვერვალებამდე ასაღწევად.

აღნიშნული წიგნი უთუოდ დედის მიერ იყო შეძენილი ჭიათურის ცხრაწლედის დამამთავრებელ კლასში ყოფნის დროს. ვინმეს რომ ეჩუქებინა, სამახსოვრო ავტოგრაფი მაინც დარჩებოდა შიგ.

სამაგიეროდ დარჩენილია პირადად მის მიერ სატიტულე ფურცელზე ლამაზი ხელით მიწერილი სახელი და გვარი – კაპანაძე ნინა და ბრჭყალებში “ნუგა”. იქვეა ვინმე ნუნუსადმი მიძღვნილი და 1930 წლის 16 სექტემბრით დათარიღებული ერთ კუპლეტიანი ლექსი :

მე შენ მიყვარხარ, მიტომ კი არ,
რომ უნებურად შენც შემიყვარო,
არა, მე მინდა ხატად გილოცო,
თუგინდ შენ ახლოც არ გამიკარო .

და ისევ ნუნუკოს :

ნუ გინდა ბოთლი უღვინოდ მდგომი ,
ნურც სიყვარული დაუნდობელი.

1931 წელს დედას ისევ აუღია ხელთ შექსპირის ტრაგედიები და “ჰამლეტის” ქვემოთ, მისთვის ჩვეული ლამაზი ხელით, მიუწერია გვარი, სახელი და მამის სახელი.

მე მჯერა, რომ შექსპირის აღნიშნული წიგნი მარტოოდენ ავტოგრაფების სამიზნე არ უნდა ყოფილიყო დედისთვის. მას უთუოდ უყვარდა იგი. კითხულობდა და როგორღაც წვდებოდა შექსპირისეულ სიღრმეს, თორემ დედულეთიდან, სხვათა თვალის ასახვევად არ წამოიღებდა მას.

დედის გული

ლამაზად შვილის გამზრდელი
დედა მიცვნია ღმერთადა.
ვაჟა ფშაველა

კაცობრიობამ დედა ღვთისმშობლის ეტალონამდე აღამაღლა. ყველა მადონა, რაიც კი უდიდეს მხატვართა ფუნჯს შეუქმნია, მზეთუნახავი და მოსიყვარულე დადაა.

ჩვენმა წინაპრებმა ძალიან ბევრი რამ დედის სახელით გადანათლეს: დედამიწა, დედაქალაქი, დედა სამშობლო, დედაბოძი, დედააზრი, დედულეთი, ფერთა დედა.

დედას ქვეყნიერების გაჩენის დღიდან აღმერთებენ და აღმერთებენ დღესაც. დედა – ეს მარადიული ფენომენია. აკი დიდ ვაჟსაც უთქვამს: რაც ადამის დროს ჰქონია, ის გულივე აქვს დედასაო.

ის, რომ მოალერსე ღვთისმშობლის ხატი არსებობს, თავისთავად ხაზს უსვამს დედისა და მისი პირმშოს ერთმანეთისადმი ღვთაებრივ სიყვარულს. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ დედა მოსიყვარულეც არის და იმავე დროს მკაცრიც, მკაცრი, რადგან მან კარგად იცის, რომ

მარტო თავზე ხელის გადასმით შვილი ღირსეულ მოქალაქედ ვერ გაიზრდება.

ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: როცა დედა იწყებდა, მაშინ მისი ძუძუები ილოცებიანო. სწორედ ამ ქარგაზე ჰქონდა აგებული თავისი ლექსი პოეტ გიორგი წერეთელს, რომელიც ერთ დროს დიდ ტილოზე ფერადი ასოებით ჩაწიკწიკებული, გამოფენილი იყო თბილისის საავიაციო ტექნიკუმის ერთ-ერთ კედელზე.

ჩემი ახალგაზრდობის წლებში ე.წ. “ძველი ბიჭების” მკერდსა თუ მკლავებზე ხშირად ნახავდით დედისადმი მიძღვნილ სვირინგებს, ლამაზი ქალის გამოსახულებითა და მისი შესაბამისი ქართული ან რუსული წარწერებით: არ დავივიწყებ მშობლიურ დედას ან “не забуду мать родную” .

ასეთი სვირინგი მეც გამიკეთებია მეზობლის ბიჭისთვის. მე არ ვიცი რა ქვია დედისადმი სიყვარულის ამგვარ გამოხატულებას. ამაზე პასუხის გაცემა მიჭირს. მსგავსი რამ დედისადმი არასოდეს გვიკადრებია მე და ჩემს ძმას. ასეთ ფსევდო სიყვარულს იგი არ იმსახურებდა.

დედა ჩვენი ოჯახის დედა-ბოძი და იმავე დროს ქუდოსან-მანდილოსანიც იყო. 1942 წლიდან, ფრონტზე მეუღლის დაკარგვის შემდეგ, ცალ-უღელად მიუძღოდა წინ ობლად დარჩენილ პატერებს: დალის, ტარიელს, ავთანდილსა და მეგის. შუქურ-ვარსკვლავად მკერდიდან ამოგლრჯილი გული ეპყრა ხელთ.

მისი ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, დედის მანათობელი გული ვარსკვლავთა წვიმად გადაეფრქვა ჩვენს სულსა და სხეულს, იქ გაიდგა ფესვი, აღმოცენდა, აყვავდა და მერე ამ ყვავილებიდან სრულიად ახალ-ახალი ვარდ-ყვავილები აყვავდნენ.

ჩვენ შეიძლება ნაკლებად გვეჯეროდეს, მაგრამ გულსაც თავისი გული აქვს თურმე. ამიტომაც უთქვამთ: “შვილმა გულში გაიარა, შვილიშვილმა გულის გულში”.

ასეთი გულის გული მხოლოდ დედას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ, მაგრამ ეს ორგულობას კი არა, ვულკანის ლავასავით ცხელ გულს ნიშნავს, მარადიული სითბო რომ უნდა მიჰკერძოს თავის პატარებს. ამის გამო დედის გული თანდათან იწრიტება, მაგრამ უწინდელ სიმხურვალეს მაინც არ კარგავს.

და მიუხედავად ამისა, ყველაფერ ამ ტკივილს, დედისაგან გაღებული მსხვერპლი ჰქვია ანუ დედა-შვილობის სამსხვერპლოზე მიტანილი გული. დედა და შვილი ხომ ერთი სხეულია, ერთი გული და ერთი სუნთქვა.

იქნებ ამიტომაც ამბობდნენ ჩვენი ძველები: “ხელის გულზე კვერცხი რომ შევიწვათ, დედის ამაგს მაინც ვერ გადავიხდითო”.

საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩემს მიერ შესრულებულ ერთ ნახატას სწორედ ასეთი სახელი ჰქვია: “დედის გულისათვის ხელისგულზე შემწვარი კვერცხი”. ეს ნამუშევარი სხვა ტილოებთან ერთად, დღეს იტალიაშია დაცული.

2009 წელს ოქტომბერ-ნოემბერში, ჩემი სოფელში ყოფნის დროს, კვლავ დავხატე ამავე თემისადმი მიძღვნილი სურათი, რომლის ახლებური გადაწყვეტა წინანდელთან შედარებით უფრო მომწონს.

დედა-შვილის გულები მუდამ ჰარმონიულად ცემენ. დედის გულის ძგერას შვილის გული კამერტონივით ეპასუხება, ვითარცა ექო და მყვირალობა.

დედისადმი სამადლობელო სიტყვის თქმას მე და ჩემი ძმა ჩვენს ლექსებსა თუ ლირიკულ ასოციაციებში ვცდილობდით. ტარიელის

რამდენიმე ლექსი და 100 გვერდიანი “ილუსტრირებული მელოდიები”, აგრეთვე მისივე 80 გვერდიანი გამოსათხოვარი სიტყვა, ეს დედისადმი დადგმული პატარა ძეგლიც იყო და გამოსამშვიდობებელი სამგლოვიარო მესაც.

მასსოვს, როგორ ჩუმად, მაგრამ ანთებული თვალებით კითხულობდა დედა ჩემს მიერ მისდამი მიძღვნილ ლექსს, გამომცემლობა “ნაკადულის” თაოსნობით გამოცემულ ლიტერატურულ კრებულ “ახალგაზრდობაში”.

ამ ლექსის გამოქვეყნებას წინ უძღოდა ხსენებული გამომცემლობის განყოფილების გამგის, რეზო ორჯონიკიძის მიერ ჩემდამი გამოგზავნილი წერილი, კრებულის ერთ-ერთი შემდგენლის შოთა ნიშნიანიძის დავალებით შესრულებული. თანახმად ამ პატარა უსტარისა, სასურველი იქნებოდა გამომცემლობაში კიდევ რამდენიმე ჩემი ახალი ლექსის მიტანა და ასევე პირადად შოთა ნიშნიანიძესთან შეხვედრა.

ეს ასეც მოხდა.

ასე გავიცანი და დავუმეგობრდი შოთა ნიშნიანიძეს და ბოლოს, მისივე რეკომენდაციით, იმავე მთარგმნელობითი კოლეგიის მხატვარიც გავხდი, სადაც იგი მუშაობდა მსოფლიო ლიტერატურეს აღმანახ “საუნჯის” მთავარ რედაქტორად. შეთავსებით მე ამ აღმანახის მხატვარიც ვიყავი.

ასე დაიბეჭდა დედისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსი. აი ისიც:

დედას

მე ვიცი ჩვენი დარდი გაწუხებს
და დღეს ნოემბრის არის სიცივე.
დგანან ეზოში თეთრი მამლები
და აშინებენ ბღვერით წიწილებს.
დავდივარ შენი სისხლი და ხორცი
და წამწამების ხატიუღელი
და საფლავშიაც შენს დიდ მევალეს
წამყვება ხარკი გადაუხდელი.
ყოველ დილაზე სახლში მიგველი
და მატერბლის მოსვლა გახარებს,
მაგრამ ფუჭია ეს მოლოდინი
და მოწყენილი იხურავ კარებს.
და შენთან ერთად სადილობს კატა,
სკამის გვერდით რომ აწვალებს წულებს
და თითქოს უნდა გითხრას თვალებით,
რომ უღვაშები დაატრეს წუხელ.
ვიცი, გვინახავ მოხარშულ სიმინდს,
მაგრამ შვილები გზაზე არ ჩანან.
აღბათ საფქვავე გაქვს წასაღები
და მოსაჭრელი გექნება ჩაღა.
ჩვენ ისე ველით პირველ ხეფასებს,
როგორც მთა ხარობს პირველი თოვლით
და რა გიყიდოთ, ძვირფასო დედა,
შენგან მოცემულ სიცოცხლის ტოლი?

დღევანდელმა ცხოვრებამ ჩვენს ვალმოხდილ და მშობლიურ დედას მისი დიდების ტახტი რამდენადმე შეურყია.

აბა სხვა რა არის ზოგიერთი ახალგაზრდის ქუჩურ ლექსიკონში დამკვიდრებული გამოთქმები: “ჩემი დედა ასე და ისე ვქენიო” ან “ბოზიშვილი ვიყო” და სხვა მისთანანი.

ადრე სიტყვა ბოზი ლამაზი ქალის სიმბოლოდ იხმარებოდა. სხვა დატვირთვა მას სულაც არ ჰქონია. ლამაზი ქალი კი ყველა მამაკაცს ნიბლავს. ბევრი ქალი ბუნების ამ აუწერელ ჯილდოს სათუთად ინახავდა და იცავდა მამაკაცთა შემოტყვევისაგან და იცავს დღესაც. ბევრიც ამ სილამაზეს არად დაგიდევთ და იგი ნივთივით გადადიოდა ხელიდან ხელში. ამიტომაც ამბობდნენ ძველად: ლამაზი ქალი სანდო არ არისო. აი სწორედ აქ მიიღო ლამაზი ქალის აღმნიშვნელმა სიტყვამ – “ბოზმა” სულ სხვა ღირებულება, რითაც ბევრი ახალგაზრდა შეურაცხყოფს თავის დედას.

ადრე დედის შეგინებისათვის მამაკაცები თავებს აჭრიდნენ ერთმანეთს. ასეთი რამ ახლაც ხშირად ხდება.

დღეს კი რა ხდება, რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავს?

ვაუა რომ ცოცხალი ყოფილიყო, თავის ლექსს ალბათ სულ სხვანაირად დაწერდა.

...

“მახსოვს პირველად სასწავლებელში”

გიორგი ქოჩაკიძე-ჭალადიდელის სახელი დიდი ხნის დავიწყებული იქნებოდა, რომ არა მისი მშვენიერი ლექსი: “მიპატიუება სასწავლებელში”. ვინ უწყის რამდენ კარგ ლექსს დაწერდა პოეტი, მის სამხედრო კარიერას შორეთში სამუდამოდ რომ არ მოესროლა იგი.

ამ ლექსის სტრიქონები უნებურად მახსენებენ თედო სახოკიას შესანიშნავ წიგნს: “როგორ ვიზრდებოდი ძველად?”

თუ ჭალადიდელის ლექსი ერთგვარ ნოსტალგიას აღძრავს, ბატონი თედოს წიგნი უფრო მძიმე მოგონებას აღძრავს ჩემში, რაც დაკავშირებულია ომის ქარ-ცეცხლიან დღეებთან და სოფელ ბუინევის დაწყებითი სკოლის დღეებთან.

ის პირველი დაუვიწყარი დღე მე მართალია ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ მაინც დამამახსოვრდა. იმ დღით ცალ-უღელად დარჩენილმა დედაჩემმა გვარიანად შეგემოსა, კრამიტებით დახურულ ხის დიდ ჭიშკარში გაგვიყვანა და წინ წავგიძღვა სკოლისაკენ მიმავალ გზაზე. იქვე, სადაც დღეს უბნის ტრანსფორმატორი დგას, ჩვენ შემოგვიერთდა მეზობლის პირბუტაცი ბიჭი, აკაკი წერეთლის ანდრეის აღმსრულებლისა და მოურავის კოტე აბდუშელიშვილის ედემ-ბადის მომეღელი მამაკაცის, ანტონ ქურციკიძის შვილიშვილი, ვახტანგი. მათი ქვის ქოხი წალკოტის დასავლეთ კუთხეში იდგა. ვახტანგს, ჩემს ტყუპ ძმას ტარეიელსა და მე ერთი დედის ძუძუ გვქონდა ნაწოვი: ვახტანგს – დედაჩემისა, ჩვენ კი მისი დედის, ნატა ნეფარიძის ძუძუ. ეს თეთრყირმიზა ქალი, “ქვემოთიდან” ქმრის მიერ მოტანილმა ტიფმა იმსხვერპლა. “ქვემოთს” ომის დროს გურიას ან სამეგრელოს ეძახდნენ, სადაც იმერლები ჩადიოდნენ ხოლმე სამუშაოდ ან სიმინდის

საშოვნელად. აქ ნატურალურ გადახდას ჰქონდა ადგილი: იმერული ღვინო დასავლურ სიმინდზე იცვლებოდა, მაგრამ ხშირად ეს ღვინო ადგილამდეც ვერ აღწევდა, რადგან მატარებლის ვაგონებში, ომიდან გამოქცეული დეზერტირი მეზღვაურები დანით ფატრავდენენ ხოლმე ღვინიან ტიკტორებს.

ჩვენ ჩუმაღ და უხმაუროდ მივუყვებოდით ზედა ბუნივეისაკენ მიმავალ საურმე გზას, თითქოს პანაშვიდზე მივდიოდით ყველა. ეს დუმილი მეორე მსოფლიო ომის საშინელებით იყო გამოწვეული. ჩრდილო კავკასიიდან ზარბაზნების შეუწყვეტელი გრიალი აღწევდა ჩვენამდე. ფრონტისაკენ მიმავალი თვითმფრინავები ლამის მზესაც კი აბნელებდნენ ჰაერში.

დედას უთუოდ აკრთობდა ამ ფორსირებული ბრძოლის ორომტრიალი და სისხლიღვრა. ჩვენც ჩვენებურად განვიცდიდით ყოველივე ამას და ეს განცდა შემორჩენილია ჩვენივე ბავშვობის დროინდელ ნახატებში.

მასსოვს ერთ დღეს ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცთა შემოსვლა ჩვენს ეზოში. ერთმა მათგანმა დედას ქვაბი სთხოვა. ცეცხლი ჩვენი თეთრი ლეღვის გვერდით დაანთეს, რაღაც სახელდახელო კერძი მოამზადეს, დანაყრდნენ და ისევ განაგრძეს საბედისწერო გზა.

არავინ უწყის, რა ბედი ეწიათ მათ ან რა ფურცლები ჩაიწერა მათი ბრძოლის მატიანეში.

ამ განწყობით ავიარეთ ქვარნალის დელის აღმართი, უკან მოვიტოვეთ ძმები აბღუმელიშვილების – დენტორისა და რაჟდენის ეზო და ბოლოს ჩვენი დაწყებითი სკოლის ორსართულიან შენობასაც მივადექით.

სკოლის პირველი ზარის ხმამ ოთახებისაკენ მოგვიწოდა ჩვენ, ჯერ კიდევ სრულიად უწვრთნელ ბავშვებს.

საკლასო ოთახიდან ეზოშიაც გამოვყავდით ხოლმე სიმრერის გაკვეთილების ჩასატარებლად. ამ გაკვეთილს მარად დაუვიწყარი ტატიანა ღავთაძე გვიტარებდა. წრეში ჩამდგარი ბავშვები, თავისა და ხელების აქეთ-იქით მოძრაობით, კიდევ უფრო მეტ სევდასა და მწუხარე ტონს ვანიჭებდით ჩვენს მიერ ლამის ტირილით წარმოთქმულ სიტყვებს: ვაიმე რა ვქნათ, უიმე რა ვქნათ, ყველას შეგვჭამს მეღია! და ასე რამდემჯერმე ვიმეორებდით და იმავე დროს, მზერა ფრონტისაკენ მიმავალი თვითმფრინავებისაკენ გადაგვქონდა.

სკოლის აივნის ერთ კუთხეში უხვად ეყარა მოსწავლეთა მიერ, ფრონტზე დასავაზანად სახლებიდან მოტანილი წინდები თუ ხელთათამანები, ასევე ზარბაზნების ჩამოსასხმელი ტაშტები, ვედროები, ქვაბები, ჩაიდნები, ნავთქურები, ლამპები, თოხები, ბარები, წერაქვები და სხვა მისთანანი.

ასეთი რამ მე და ჩემმა ძმამაც უხვად მოვიძიეთ ჩვენს ეზო-ბაკეში. ამას მივუმატეთ კუთხეში მიგდებული სრულიად საღი ფეჩი –“ბურჟუიკა”, რითაც ჩვენი მანდილოსნები ტკბილ-ტკბილ ნუგბარს ამზადებდნენ ხოლმე. მოვიძიეთ კაცის სიმაღლე და ყვავილოვანი ორნამენტებით შემკული, აწ უკვე ნამსხვრევებად ქცეული თუჯის შანდლის ნარჩენები, რომელთა ჯამებში ერთ დროს გერმანული ლამპები იდგმებოდა ხოლმე. მეზობლის ქალმა კი, მის მიერვე “სალათნიკად” გადაკეთებული ემალირებული თუჯის ქვაბი მოგვიმზადა.

ყველაფერ ამათ მავთულებით მივათრევდით სკოლისაკენ. დიდების გზაზე მათი ტარება ადვილი იყო, მაგრამ ქვარნალის დელეში კი მათი თრევა ნამდვილი ტანჯვა იყო, მაგრამ იმ იმედით, რომ ამ უწყინარი ნივთებისაგან მრისხანე ზარბაზნები უნდა ჩამოსხმულიყო, დაღლაც გვაიწყდებოდა და ოფლის წურწურიც.

დედა კი ამ დროს აგიზგიზებულ ბუხართან მატყლს ჩეჩავდა, ართავდა და ჯარისკაცთა წინდებისთვის ძაფს ამზადებდა. იმავე ძაფით ჩვენთვის ჯიბიანი ზურგცანთებიც უნდა მოქსოვა. ამ ჯიბეებში, რომლებიც ჩანთის გარედან მერცხლის ბუდეებივით იყო მოქსოვილ-მიშენებული, კვიდოს მარცვლებისაგან დამზადებულ მელანს ვატარებდით. ხშირად მელანი ჭურჭლიდან იღვრებოდა და ხელთ ჭრელა-ჭრულა ჩანთადა გვრჩებოდა. ეს მელანი მართალია ძალიან მუქი არ იყო, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებდა. სხვა საშუალება არც იყო მაშინ, არც ქიმიური ფხვნილი იშოვებოდა მაშინ და არც მზა მელანი.

ოიგვე გასაჭირი იყო საწერი რვეულების მხრივაც. ამ გაჭირვებიდან აბესალომ აბდუშელიშვილს გამოვყავდით ხოლმე. ეს ძველი გიმნაზიელი და სოფლის მწერალი იქვე, სკოლის წინ ცხოვრობდა. სკოლა თავად მის მამა-პაპეულ ადგილში იყო აგებული. არ ვიცი ნოსტალგია იყო თუ სხვა რამ, სკოლის ეზოში ხშირად გადმოდებოდა ხოლმე, ბავშვებს მის მიერ გიმნაზიაში ნახმარ რვეულებს გვირიგებდა. ძველი ნაწერი იმდენად სუფთა იყო და დახვეწილი იყო, რომ მოსწავლეები ამ რვეულებს თავისუფლად ვიყენებდით სასკოლო წერისათვის.

დედაენა ჩვენი უპირველესი სახელმძღვანელო იყო მაშინ. თუ არ ვცდები, ვგონებ ამ წიგნის გარეკანზე დაბეჭდილი იყო სტალინის ფერადი სურათი პატარა რუს გოგონასთან ერთად, რომელიც ბელადს მხარმარჯვნივ ჰყავდა ატაცებული. ამ ლამაზი გოგონას სურათი, მისი სახელი და გვარი მაშინ მთელმა საბჭოთა კავშირმა იცოდა. რამდენიმე წლის წინ მისმა სახემ კიდევ ერთხელ გაიელვა გაზეთის ფურცლებიდან, მაგრამ უკვე ასაკოვანი ქალის პროფილით.

გაკვეთილთა მსვლელობიდან მხოლოდ ზოგიერთი რამ თუ დამამახსოვრდა და ისიც ბუნდოვნად. ჩემი მეხსიერებიდან უპირველესად ზურაბ ოქროპირის-ძე აბდუშელიშვილის გაკვეთილი მახსოვს. მაგიდის კიდეზე ჩამომჯდარი ლამაზი, პირმრგვალი და ლოყებდაჟღაჟა ახალგაზრდა, ენის გასატეხით გვიყოლიებს ბავშვებს: “კაპიკი გაკაპიკებულა, საკაპიკეში ჩაკაპიკებულა“ – გვიმეორებდა ჩვენ. ზოგი გამართულად წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, ზოგიც კი ენას იმტვრევდა, რასაც ზურაბის ღიმილი და ბავშვების ხმამაღალი სიცილი მოჰყვებოდა ხოლმე.

სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს, ითხვისელ პავლე გვარუციძეს, ფრონტიდან ნევროზული შიში ჩამოჰყვა.

იქნებ ამიტომაც ელანდებოდა დამ-დამობით გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც თითქოს მის ოთახში იპარებოდნენ ხოლმე მის მოსაკლავად. ამის შესახებ თავად გვიყვებოდა პატარებს.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უფრო “უარესი” რამ ჩვენს სკოლაშიაც მოხდა: ერთ-ერთი გაკვეთილის მსვლელობის დროს, საკლასო ოთახის იატაკის ორი ფიცარი რატომღაც ერთდროულად ამოვარდა ზემოთ. შემთხვევით ამ ფიცარზე მდგარმა მასწავლებელმა კინაღამ იატაკზე მოადინა ზღართანი. ერთი კი შეჰკივლა და მაშინვე ტყიასავით გავარდა გარეთ. ჩვენც, რათქმა უნდა, ცხვრებივით მიყვებით უკან.

ჩქარა-ჩქარაო! თავქუდმოგლეჯილი გვეძახდა შეშინებულიქალი და თან ხელის ქნევით თავისკენ გვიხმობდა. აქედან გავიქცეთ, თავს გერმანელი ფაშისტები დაგვესხნენო.

მაშინვე სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, სემია აბდუშელიშვილს უხმეს საშველად და ისიც სულ მალე აღცხენოსნებული მოადგა

სკოლის კარს. ძირს ჩამოქვეითდა, განუყრელი რეგოლვერი დააძრო და შენობისკენ გასწია. აივანზე ასული კატის სიფრთხილით მიუახლოვდა კარს, ყური მიუგდო და როცა იგრძნო, რომ ოთახში არავინ იყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რეგოლვერის ლულა ჰკრა კარს, გააღო და ყოველი შემთხვევისათვის, რამდენიმე ტყვიაც ისროლა.

შემდეგ შენობას გარედან შემოუარა, სარდაფშიაც შეიხედა. მერე გამარჯვებულის სახით ეზოში დაბრუნდა. ცხენს მოახტა და უკან მოუხედავად გაქუსლა ზემოთ.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მე ერთი პატარა მოთხრობაც კი დავწერე, რომლის სათაურია: “გმირი ერთი საათით”.

ბევრი რამ შეიძლება გავისხენო ბუნიევის სკოლის დღეებიდან. ტატულია მასწავლებლის მიერ ცეცხლზე შემომდგარი ლობოს ქოთნის თუხთუხი ერთნაირად გვეგრიდა ნერწყვს მშიერ პატარებს. ორი საქმე ერთდოულად კეთდებოდა: გაკვეთილების მსვლელობის დროს საოჯახო კერძიც კმზადდებოდა და იმავედოულად ცოდნასაც ვეზიარებოდით ხოლმე.

ბუნდოვნად, მაგრამ მაინც შემორჩა მეხსიერებას, ძველი გიმნაზიელის აბესალომ აბდუშელიშვილის სახე, რომლის შვილიშვილი, პირმრგვალი და ლამაზი გოგო სახელად გიული, ჩვენთან სწავლობდა სკოლაში, თუმცა შემდეგ ქუთაისში გადავიდა სასწავლებლად.

აბესალომი ერთი უწყინარი კაცი იყო, მუდამ მოფუსფუსე და მოძრავი. აბდუშელიშვილები თავის დროზე დიდი აზნაურები იყვნენ, აბესალომი კი ამ გვარიდან უკანასკნელი მოპიკანი იყო.

კოლმეურნეობაში მონაწილეობას თითქმის არ იღებდა. მხოლოდ ერთხელ, თავმჯდომარის თხოვნის შემდეგ გასულა სოფლად სავალდებულო გადასახადების ასაკრეფად.

ყველა უარით ისტუმრებდა თურმე აბესალომს, არც კვერცხებს აძლევდნენ, არც ყველსა და ფულს. რაც არ გვაქვს, რა მოგცეთო, ეუბნებოდნენ თყრმე. მაშინ ხარკის ამკრეფს ოდნავ ხმა აუმაღლებია და იქვე თავშეყრილთა გასაგონად უთქვამს: ხალხნო, გამაგებინეთ, რითი ითქვამთ სულს. რას სჭამთ, რას სვამთ, რითი არსებობთ? კვერცხი თქვენ არ გაქვთ და ყველი, ჭადი და ბისკვიტი. ფრინველი არ გყოლიათ და ოთხფეხი. ვიცოდეთ მაინც რა ბუს კვერცხებს მიირთმევთო.

ხათრიან და მორიდებულ კაცს ყველა ადვილად იშორებდა თავიდან.

როცა აბელ კაპანაძემ აბესალომის მამა-პაპურ ქვევრებს დაუწყო ამოთხრა, კანტორის ეზოში ასატანად, თვითონ აბესალომი ეხმარებოდა აბელს ფოლადის ბაგირის გაჭიმვასა და გამართვაში, რომელიც მის ქვევრებს ბოლოკივით იღებდა მიწიდან. მან კარგად იცოდა, რომ ძველი დრო აღარ დაბრუნდებოდა და ახალთან ჯიუტობა აღარ გამოადგებოდა. რასაც მოითხოვდნენ, უსიტყვოდ უნდა მიეცა და ამასთან მადლობაც კი ეთქვა ამ “პატივისათვის”.

სკოლის მოსწავლეები თვალს ვადევნებდით ამ პროცესს. თავად აბესალომი მოჩვენებითი სიმშვიდით უყურებდა, როგორ მიჰქონდა წყალს მისი უკანასკნელი ქონების შემორჩენილი ნაწილი. ისღა დარჩენოდა, თავისი პატარა სახლითა და ვენახით დაკმაყოფილებულიყო. და რას უწყოდა მან მაშინ, რომ საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ მისი ეს უკანასკნელი თავშესაფარიც აღიგვებოდა პირისაგან მიწისა, ვიღაც ადგილობრივი ჰეროსტრატეს ხელით დანთებული ცეცხლით.

ანეგლოტივით დადიოდა სოფელში აბესალომის ერთი შემთხვევაც: დათა კაპანაძე ვენახს უთოხნიდა აბესალომს, რომელიც ხის ჩრდილიდან ემასლაათებოდა მას. ამ დროს აბესალომს გზაზე

მოგოვმანე ქალისათვის მოუკრავს თვალი, დათასთვის მისკენ მიუნიშნებია და უთქვამს: შენ რა უქენი მაგ ქალსო.

ის ქალი კი აბესალომის ცოლი აღმოჩნდა ჭიათურიდან მომავალი.

...

სკოლის ის ძველი შენობა, რომელიც მე და ჩემმა ძმამ მოვიმოწაფეთ ერთ დროს, დიდი ხანია გამოკეტილია, ხოლო მისი ეზო საიმინდის ყანად არის გადაქცეული, ის ეზო, საიდანაც ბავშვები თვალს ვადევნებდით ჩრდილო კავკასიიდან ფრონტისაკენ მიმავალ თვითმფრინავთა უზარმაზარ გუნდს .

ბჟინევის დაწყებითი სკოლა ჩვენთვის ტრამპლინი იყო ჯერ ქორეთის საშუალო სკოლის, აქედან კი თბილისის საავიაციო ტექნიკუმისა და ბოლოს უნივერსიტეტისაკენ მიმავალ გზაზე, რომლის წმინდა ჭერქვეშ მე და ჩემმა ძმამ ჯერ ისტორიისა და ჟურნალისტიკის, მერე კი იმავე სასწავლებლის ხელოვნების გაკულტეტები მოვიმოწაფეთ.

...

ომი დამთავრდა

ეს სიტყვები ჩემს მეზობელსა და ბიძაშვილს, კაკილა აბღუშელიშვილს ეკუთვნის. ერთ მშვენიერ დღეს მისმა სადღესასწაულო ხმამ მთელი უბანი გაახარა: მეზობლებო, ბიძაშვილებო, დედებო და მამებო, დებო და ძმებო! გიხაროდეთ ომი დამთავრდა! გესმით ? ომი დამთავრდა, ომი!

ყველამ იქით მიაპყრო მზერა, საიდანაც ეს სასიხარულო და ურუანტელის მომგვრელი ხმა მოისმოდა.

მსმენელები გაქვავებული იდგნენ და ისე აპყრობდნენ ყურს ჭიათურიდან მაცნედ მოსულ კაკილას, ზედმეტსახელად “კომბაინს” რომ ეძახდა ხალხი. გოდორზე შენდგარი კაკილა აქეთ-იქით ტრიალებდა და დედამიწის ოთხკუთხივ გასძახოდა მთელი ძალით. მართალია ხმის ტემბრი დაბალი ჰქონდა, მაგრამ ხელების მოშველიებით როგორღაც აძლიერებდა მას. ნამდვილ ძველ მეციხოვნეს გაგდა, მხოლოდ საყვირიდა აკლდა ხელთ.

ასე დასრულდა სისხლისღვრის, მწუხარე დეპრესიისა და შეკივლების ოთხი წელი.

ომი , ეს საშინელებაა.

ვისაც მეორე მსოფიო ომის დღეები არ განუცდია, მან არ იცის შიშის, შიმშილის, სიცივის, ობლობისა და ქვრივობის საშინელება.

მეორე მსოფლიო ომმა 40 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 40 მილიონი ადამიანი კი ერთი დიდი სახელმწიფოა.

ამ ავადსახსენებელმა ომმა ჩვენს ოჯახსაც შეურყია ტახტი, მამაჩემის სახით გამოაცალა დედაბოძი, დააკოჭლა ოჯახი, დედა ცალუღელად დატოვა, არადა ოთხ შვილს გაზრდა და დაფრთიანება ჭირდებოდა. ჩვენი ეზოს ღარიბული მიწა სანახევროდ ვერ გვაწვდიდა არსებობის პურს. ამისათვის სხვა გზების მოძიება იყო საჭირო.

სწორედ ამ გზამ დედა, მეზობლის ქალებთან ერთად და ერთ პირტიტველა ყმაწვილთან ერთად, რაჭის მაღალმთიან სოფელ შქმერში მიიყვანა. რაჭის ოდისეის მონაწილეთ თან მიჰყავდათ მუხლმაგარი სახეღარი სახელად ბუდრუგანა. ეს სახელი დედაჩემის მიერ იყო

შერქმეული. ჯორჯიული, რაიც მას მდინარე ჯრუჭულას ხეობითა და მთის ორწოხებით შქმერისაკენ მიჰქონდა, სავსე იყო იმ საოჯახო ნივთებით, ქალებს შქმერის სახელგანთქმულ კარტოფილზე რომ უნდა გადაეცვალათ ისე, როგორც “ქვემოთში” ჩასული იმერლები თავიანთ მოწვეულ ღვინოს გურულ ან მეგრულ სიმინდზე ცვლიდნენ ხოლმე. შორაპან-სახხერის “კუკუშკა” მატარებელი ტომრებით ივსებოდა ხოლმე და ის უფრო საბარგო მატარებელს გაედა, ვიდრე სამგზავროს.

ვიდრე დედა რაჭიდან ბუინევეში დფაბრუნდებოდა, შეფ-მზარეულის მოვალეობას ბაბუა იპოლიტე ასრულებდა. გასაკეთებელი ბევრი არაფერი იყო: მის მიერ თბილისიდან ჩამოტანილი ამერიკული კრუპა, მარგარინი და კუს კვერცხების ფხვნილის ულუფა იშვიათად ამშვენებდა ჩვენს ღარიბულ სუფრას. ქატოს მჭადიც სანატრელი გვექონდა და რასაც ბაბუა გვიცხობდა ხოლმე, იმასაც კარადის თავზე ინახავდა, რათა ზედმეტი არ შეგვეჭამა და ამით კუჭის პრობლემა არ შეგვექმნოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ უკან დაბრუნებული დედა ღამის ორი კვირის მანძილზე იწვა ფეხებ-დასიებული და ქანც-გაწყვეტილი.

მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, დედას ეს არაადამიანი გჭირვება არ გადახდებოდა თავს.

უღმერთო იყო მამაჩემის სიკვდილი. ეს უწყინარი ადამიანი სიწმინდის ეტალონი იყო. თოფი და სისხლისღვრა მის ბუნებას სრულებით არ შეესაბამებოდა.

ამ რამდენიმე წლის წინ სოფელ ბუინევეში, ერთ-ერთი აბღუშელიშვილის ოჯახში გერმანელი ცოლ-ქმარი, გვარად ღუცები იმყოფებოდნენ სტუმრად ქალ-ვაჟთან ერთად. ქმარი ნეფროლოგი იყო, პროფესორი, გერმანიის რომელიღაც ქალაქის ნეფროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. მათ პატივსაცემად გამართულ სუფრაზე მეც ვიყავი მიწვეული. ტრაპეზის დამთავრების შემდეგ, ოჯახის უფროსის თხოვნით, საპატიო სტუმრები რაიონის ღირსშესანიშნაობათა მოსახილველად წავიყვანე. გზად ჩემი ეზოს ჭიშკართან შევჩერდით და ღუცებს დედაჩემი გავაცანი. როდესაც გერმანელ სტუმრებს მეორე მსოფლიო ომში მამის გარდაცვალების ამბავი ვუთხარი, გაოცებულმა პროფესორმა მაშინვე მკითხა: კი მაგრამ რა უნდოდა მამათქვენს ამ ომში ან რა ჰქონდა ჰიტლერთან გასაყოფი და საომარიო.

მე ვუპასუხე: მამას ვინ ჰკითხავდა. უბრძანეს და წაიყვანეს. უარის შემთხვევაში სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადებდნენ და დახვრეტდნენ-თქო.

ექიმს კრინტიც აღარ დაუძრავს. არც მაშინ უკითხავს არაფერი, ორიოდე დღის შემდეგ თბილისში რომ მეწვივნენ სტუმრად. აქ უკვე მხატვრობის ირგვლივ მიდიოდა საუბარი. იქ სადაც ფერთა დედას თავისი მეუფების ტახტი უდგას, ომისა და სისხლის ღვრისთვის ადგილი აღარ არის.

მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა, ნახატზე მუშაობა მამის ხსოვნაში არასოდეს მიშლის ხელს. პირიქით, ამის დასტურია მამაჩემისადმი მიძღვნილი რამდენიმე ტილო. ეს მამის მკვდრეთით აღდგომას თუ არა, მის სიცოცხლესთან მიახლოებას მაინც ნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით, მე ბოლომდე ვერ გავიზიარებ რომენ როლანის სიტყვებს, პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ჯარისკაცთა მიმართ, რომელთაც მწერლის თქმით, ველარც დედის ცრემლები აცოცხლებენ და ამასთანავე აღარც სამყაროს სჭირდებიანო ისინი.

მამაჩემი დღესაც ცოცხალია ჩვემთვის და რაც მთავარია, მისი სახელი და ხსოვნა კვლავაც ჰაერით მჭირდება.

ცხოვრება სოფლური პირველყოფილებისა და ბუნრისპირული იდილის ფონზე

“უძირო ორმო”, რომელსაც ბებია ანეტა ჩვენ სოფელს ეძახდა, დღემდე ისევე იმ უძირო ორმოდ რჩება. ვერც ბაბუა იპოლიტეს მიერ იქ ჩაყრილმა ოქრომ და ვერც ჩვენს მიერ იქ დაღვრილმა ოფლმა ვერა და ვერ ამოავსო ეს ორმო პირთამდე.

როგორც საცერი არ აივსება წყლით, ისე ჩვენი სოფლის დარბიულ მიწას ვერც ოფლით ვაპოხიერებდით და ვერც თოხით, რათა მას არსობის პურის მცირეოდენი ნაწილი მაინც მოეცა.

დედიდან დაწყებული, თვით ბაბუა იპოლიტეს ჩათვლითაც კი სოფელმა თითქმის ყველა მიგაჯაჭვა მიწას. სწორედ ამის გამო ახლობლები ბაბუას მიმართ ხმაღლა გაიძახოდნენ თურმე: რა ჭირდა იპოლიტეს იმის ფასი, შვილიშვილები სოფელში რომ არ გამოემწყველია მძიმე ფიზიკური შრომისა და ტალახის საზელად? ჩამოეყვანა თბილისში. აქ ესწავლებინა. ბინა არ ჰქონდა თუ საშუალებაო?

მაგრამ ბაბუა ხომ თავად მიჯაჭვული იყო მიწას. სამსახურიდან და შემოქმედებითი მუშაობიდან თავისუფალ დროს, ლამის თავქუდმოგლეჯილი გამობოდა სოფელში. არადა მაშინდელი მატარებლით მგზავრობა პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო. პირველ ყოვლისა, ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირი ჯარისკაცები სულს უმწარებდნენ მგზავრებს, მათ შორის ბაბუასაც. არაერთხელ ამოსულა სოფელში სამართებლით დასერილი კოსტუმითა და პერანგით, რომელთა შიგნითაც ფულს ეძებდნენ თავზე ხელადებული მძარცველები.

არ დამავიწყდება ის თოვლიან-ქარბუქიანი დღე, როდესაც დარკვეთის რკინიგზის სადგურიდან კლდე-ღრე და ტყე-ტყე ამოსულმა ბაბუამ, თოვლში წელამდე ჩამდგარმა ფანჯრის გარედან რომ მოგვიკაკუნა და პატარებს საჩუქრების შესახებ გვამცნო. მოხუცი ნამდვილ თოვლის ბაბუას გავდა. ახლაც მიკვირს, როგორ ამოიარა ეს ამოდენა ტყეები, მგელი რომ არსად გადაეყარა.

სამწუხაროდ, მისი განუყრელი ზურგჩანთა ცარიელი აღმოჩნდა. ქურდებს ერთინად გაეძარცვათ იგი.

მეორედაც იგივე დაემართა ბაბუას, როდესაც საჩხერის რკინიგზის სადგურიდან წამოყვანილმა ებრაელმა მეკურტნემ გზა და გზა ამოასუფთავა იპოლიტეს ფუთა. ნაძარცვს ჩირგვებში მაღავედა მოხუცის თვალთაგან მალულად, რომელიც მძიმე ნაბიჯებით მოყვებოდა მისგან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორებულს.

არსობის პურის მოპოვების დროს ბაბუა იპოლიტე მუდამ გვეხიდებოდა ხოლმე, მაგრამ არამარტო ფულით, ფიზიკური ხელმარჯვეობითაც კი. იგი მუდამ ჩვენს გვერდით იდგა, ვიდრე ღრმად არ მოხუცდა და სხეულმა არ უმტყუნა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ თვით 95 წლის ადამიანს ერთი ნაოჭიც კი არ ჰქონდა სახეზე მიუხედავად იმისა, რომ არც ენშენს ისვამს და არც ვეფხვის სასქესო ორგანო უჭამია, როგორც ამას აკეთებდნენ შორეულ წარსულში აღმოსავლეთის ძლიერნი ამა ქვეყნისანი. არა ის ჩვეულებრივი, ერთობ დარბიული კერძებით კმაყოფილდებოდა და ჩვენი პირის გემოც ამგვარად გამოაწრთო. სამაგიეროდ, ყურის გემოს

სიუჟეტისათვის არაფერს იშურებდა, არც საკუთარ შეგონებებსა და არც ზეციურ ამბროსიას.

ჩემს მოგონებებს, ბუნივეში გატარებული დღეები, დედის დიმილი, ბაბუის მიერ ბოძებული სულიერი საკვები, ქარის ზუზუნი, ბუხრის გუგუნი, მამლის ყივილი, წისკვილები, სამწყემსურები თუ მისთანანი კვებავენ დღემდე. ყოველივე ეს ერთად აღებული ჩვენი ოჯახური ცხოვრების ერთიან რგოლს ქმნიდა, საიდანაც თავის დაღწევა თვით ქალაქურმა ცხოვობრებამ და შემოქმედებითმა საქმიანობამაც კი ვერ შეგვაძლებინა. ტანი, ვარჯი და კენწეროები შეიძლება სხვა მიმართულებითაც გქონდეს გაშლილი, მაგრამ ფესვები მაინც ჩვენი მშობლიური სოფლის წიაღში გვიდგას. რომ არა იქაური პირველყოფილებით აღსავსე სამყარო, ჩემი და ჩემი ძმის ნახატები ერთობ უღიმღამო, უსისხლო და უფერულნი იქნებოდნენ.

ჩვენი სოფლის იდილიური ცხოვრება, აგიზგიზებული ბუხრის წინ დედის ფუსფუსი თუ ბაბუა იპოლიტეს საუბრები, შემდგომი ჩვენი სულიერი შემოქმედების მუდმივი თავწყარო გახდა. ეს წყარო უშრეტად მოედინებოდა და ნექტარივით იღვრებოდა ჩვენში.

ახლაც კი სული კბილით მიჭირავს, ვიდრე სოფელში წავიდოდე და იქაურ პირველყოფილებას ვეზიარებოდე.

მახსოვს ზამთრის გრიგალური ქარი, ქარბუქი თუ აბობოქრებული ბუხრის გუგუნი ოდნავადაც ვერ ახშობდა დედის ნაბიჯების ხმას, ასევე ბუხრიდან შორს, სავარძელში ზეესივით მჯდარი ბაბუის დამრიგებლურ ტონს.

ისეთი დიდი, ცივი და ხანგრძლივი ზამთარი, რომელიც იმ დროს მძვინვარებდა ხოლმე, უკანასკნელად 1993 წელს განმეორდა. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ჩვენს ბავშვობაში გაცილებით ყინვიან-ქარბუქიანი და უხვ თოვლიანი ზამთარი იცოდა. მაშინ ყველაფერი თოვლში იყო დამარხული, ჭიშკარი არ ჩანდა. კრამიტზე ყინულის გრძელი ლოლუები ეკიდა. სახლის სახურავზე კაცის სიმაღლე თოვლი იდო, რომლის გადმოთოვლა თითქმის შეუძლებელიც კი იყო. ზოგჯერ მძვინვარე ქარი ომუზის უზარმაზარ კრამიტებს ფოთოლივით იღებდა ადგილიდან და ქვემოთ, ოთხზიარის ყანებისაკენ მიაქროლებდა, რომელთა პოვნა და უკან ამოტანა მხოლოდ თოვლის წასვლის შემდეგ თუ ხერხდებოდა.

ასეთ დროს დიდვლის წყაროზე ჩასვლა თითქმის შეუძლებელი იყო, რის გამოც წყალს თოვლისაგან ვადნობდით, ზოგჯერ კი წყურვილის მოსაკლავად თოვლსაც კი გეახლებოდით ხოლმე. ვედარც წისკვილში მიგვქონდა საფქვავი და საჭმელად მოხარშულ ან ყავის საფქვავეში წამებით გატარებულ სიმინდის რერდილს ვხმარობდით.

ერთხელ მე, ბიძაშვილმა ათიკო აბდუშელიშვილმა და მამა-შვილმა სანდრო და სოსიკო დარბაიძეებმა როგორღაც შევძელით საჩხერეში, ყვირილისპირა წისკვილში სიმინდის ჩატანა. სამწუხაროდ წისკვილის ქვედა ბორბალი ხშირ-ხშირად იყინებოდა და ცხადია, დოლაბიც მაშინვე წყვეტდა ბრუნვას. ჰოდა, ვისაც სიმინდის დაფქვა სურდა, შენობის ქვეშ უნდა შემძვრალიყო და რკინის ხელკეტით დაემსხვრია ბორბალზე მოდებული ყინული. სხვა გზა არ იყო, ჩვენც ასე უნდა მოვქცეულიყავით და აი წყალში ჩამდგარნი, რიგ-რიგობით ვამსხვრევდით ყინულს და თან ხის ბორბლებიდან ასხლეტილ შხეფებში ვბანაობდით. ახლა, რკინის ბორბლის ნაცვლად ჩვენ გვედებოდა ყინულის გარსი. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ასე წამებით ჩამოვფქვით სიმინდი და სოფლისაკენ ვიბრუნეთ პირი. შეღამებამ ცივწყაროსთან მოგვისწრო და თუმცა

სახლებში მისვლას ბევრი აღარაფერი გვიკლდა, ის ორასიოდე მეტრი კინალამ საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვის. “ვართაგავას აღმართთან” ვიყინებოდით ოთხი კაცი.

ოთახში შესვლისთანავე, დედამ ბუხრიდან შორს დამსვა, რათა სითბოს ცუდად არ ემოქმედნა ჩემზე და ტკივილისაგან გული არ წამსვლოდა. ყინვისაგან გაქვავებული თითები და ყურები ისევ თოვლით მომირჩინა დედამ. მე კი ამ ხნის მანძილზე ლამის ბავშვივით ვტიროდი.

დღეს ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს, რადგან სოფელში ბევრს საკუთარი ელექტრო წისქვილი აქვს გამართული. სხვა სიკეთესთან ერთად, ზამთარიც აღარ იცის ძველებურად დიდი და სუსხიანი.

“აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი”

აი, ასეთი ზამთარი იცოდა ჩვენს სოფელში. ქარის დაძახილზე ბუხარი ხომ დმუოდა და ზმუოდა, მაგრამ მის გუგუნს ბანს აძლევდნენ დასავლეთ აივნის ჭერზე ამძვრალი ფიცრები, საშინელი ძალით რომ ეხეთქებოდნენ შიშველ თავსებებს. თითქოს აღმუვლებულ ოკეანეში ვიყავით ბედსა და ქარიშხალს მინდობილნი, ქარიშხალს, რომლის დაყუდებასაც მხოლოდ ქრისტე ღმერთი თუ შეძლებდა მაშინ.

ყინულის ფარდაგებისაგან მოქარგული ფანჯრის მინები დღისით ლამის ოთახსაც კი გვიბნელებდნენ. რა ორნამენტებს, ვარდ-ყვავილებს, ზიგზაგებს, წრეებსა თუ ვერცხლისფერ ფარდაგებს არ ნახავდით იმ ბუხრიანი ოთახის მინებზე, სადაც დიდი თუ პატარა, მსგავსად ნოეს კიდობნისა, ერთად ვიყავით თავშეყრილნი. როგორ არ ვცდილობდით ამ ყინულოვანი ნახატების მოხსნას, რათა გარე სამყაროსთვის თვალი მოგვევლო და დაახლოებით მაინც გაგვეგო, თუ კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევდა თოვლის უდაბნოს ტყეობაში ყოფნა.

ჩვენ, მართალია, როგორღაც ვახერხებდით ამ ფარდების მოხსნას, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდით, რომ დილით ისევ ადგილზე დაგვხვდებოდა ეს ჟრუანტელის მომგვრელი დამეული ხელოვნება. ამიტომაც იყო, რომ ჩვენ ხშირად ვიმეორებდით ხოლმე ხალხურ გამოცანას:

“აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი,
მზით ავიდე, მთვარით დაგდე.”

პასუხის გაცემა არც მე და ჩემს ძმას გვიჭირდა და არც უმცროს დას, შავტუხა მეგის. ეს იყო ყინული, რომელსაც ღამით მთვარე გვიხატავდა, დღისით კი ცხოველმყოფელი მზე გვიშორებდა მინებიდან.

ამ კეთილშობილურ საქმეში მზეს ჩვენი აგიზგიზებული ბუხარიც ეხმარებოდა. მის წიაღში დატრიალებული სითბო როგორღაც აღწევდა უზარმაზარი ფანჯრის მინებამდე და ნელ-ნელა ათავისუფლებდა მათ ყინულის უღამაზესი, ენით აუწერელი, მაგრამ არასასიამოვნო ტვირთისაგან.

აბლი-ბაბლი, ვერცხლის ტახტი, - მანამდე ვიმეორებდით ჩვენ, ვიდრე გაზაფხულის სითბო არ დადგებოდა და ის ყინულის ფარდაები ისევ სანატრელი არ გახდებოდა.

ჩვენი ბუხარი ერთ დროს ევროპული სტილის ნაგებობა იყო, მრავალ-ყელიანი და ფასადზე ჯვრით დამშვენებული. მეორე მსოფლიო ომის დროს ბუხრის ყელში ხანძარი რომ გაჩნდა და ცეცხლის ალი ჰაერში ავარდა, იძულებული გავეხდით, დაგვენგრიო და მის ნაცვლად უბრალო, ერთყელიანი ბუხარი აგვაშენებინა. ქორეთელმა ქვით ხურომ ტერენტი შარვაძემ ერთი კილოგრამი შაბიამნის ფასად აგვიშენა იგი. ომის დროს შაბიამანი იმდენად ჭირდა, რომ ეს ერთი კილოგრამი ლამის ოქროს ტოლფასიც კი იყო. საუბედუროდ აღნიშნული ბუხარიც აღარ არსებობს დღეს. 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრამ აგურების გროვად და ნაცარტუტად აქცია იგი. აღარ არის ჩვენი მტრედივით მოღულუნე, სითბოს სინათლისა და იმედის მომცემი ბუხარი, აღარც კვამლი ამოდის მაღლა, რომლის მიხედვითაც წარსულში ოჯახების რაოდენობას ითვლიდნენ ხოლმე, აქედან ტერმინი “კომლი” და “მეკომური”.

როგორც შემდეგში გაირკვა, ის ძველი, ევროპული სტილის ბუხარი, თურმე სულ ტყუილად დავანგრიეთ. ცეცხლი, რომელიც მისი ყელიდან იკლავებოდა ჰაერში, ჭვარტლზე ყოფილა მოდებული და აგიზგიზებული. როცა ჭვარტლი გამოიწვებოდა ბუხრის ყელში, ცეცხლიც თავისთავად ჩაქვრებოდაო, გვითხრეს მოგვიანებით გამოცდილმა ადამიანებმა.

საბედნიეროდ, მეორე ოთახში კიდევ დარჩა იმავე ევროპული ტიპის ბუხარი, რომელიც ამჯერდ დეკორატიულ მოვალეობას ასრულებს. საჭიროა მისი დასუფთავება და დანგრეული ყელის აღდგენა, რის შემდეგაც იგი კვლავ მწყობრში ჩადგება. ომის დროს, როცა ასანთის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო, ცეცხლს ან კვეს-აბედით ან ბუხრის ნაღვერდალში დაფლული ნაკვერცხლით ვანთებდით. ასეთ შენახულ ნაკვერცხლებს დედა არასოდეს არ გამოიღვედა ხოლმე. იცოდნენ ეს მეზობლებმა და ისინიც ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან ცეცხლის, ნაკვერცხლებისა თუ მუგუზხალის სასესხებლად.

იმ დროს ასანთის შოვნა, საჩხერელ ებრაელებში თუ შეიძლებოდა მხოლოდ. ასანთს ისინი რატომღაც “ლაფჩინას” ეძახდნენ.

დღემდე არ დამავიწყდება შობის ან ძველით ახალი წლის წინა ღამეს, ბუხარში საგანგებოდ ამ დღეებისათვის აგუზგუზებული მუხის ჯირკი, რომელც, ჯოხის ოდნავი დარტყმისა თუ შეჩინჩინების დროს უთვალავ ნაპერწკალს აფრქვევდა აქეთ-იქით, რასაც თან ერთვოდა ჩვენი მხიარული შეძახილი: “ამდენი ოქრო, ამდენი ვერცხლი, ამდენი სიხარული, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ხვალი და ბარაქა, კამფეტები!”

ამ მხიარულებას მუდამ გულისყურით აღევნებდა თვალს შორით, მაგიდის კიდესთან ჩამომჯდარი ბაბუა, დედა კი ამ დროს ნიგვზითა და ანუშკა შარვაძისაგან შექმნილი თაფლით გემრიელ გოზინაყებს ამზადებდა.

ბაბუა იპოლიტეს ბუხართან ჯდომა საერთოდ არ უყვარდა, მითუმეტეს რკინის გავარვარებულ ღუმელთან. 11 წლის მანძილზე რუსულ ყინვებში ნაწრთობს, ჩვენებური ზამთრის სუსხი არაფრად ეჩვენებოდა. იმ დროს, როდესაც ჩვენ ბუხარში ვიყავით შემძვრალნი, ბაბუა სახლის ღია აივანზე სეირნობდა და იქ შემოყრილი თოვლის ეზოში გადაყრით იყო დაკავებული. პირიდან და ცხვირის ნესტოებიდან “ტყიბულის პარაოზივით” უშვებდა ორთქლს და იმავე დროს მსუბუქად ვარჯიშობდა ხოლმე. სახლში შემოსულს, მისივე თხოვნით, დედა ცივ-

ციველა წყალს ასხავდა თავზე, საიდანაც ბოლქვა-ბოლქვად ადიოდა აწ უკვე თბილი ორთქლი.




ამის შემდეგ იწყებოდა საოჯახო ტრაპეზი.




იპოლიტესაგან განსხვავებით, ილია ბაბუას მხოლოდ ბუხართან უყვარდა ჯდომა. რკინის ღუმელს სათოფეზეც არ ეკარებოდა, ამიტომ მის ძირძველ ოჯახში ერთდროულად ბუხარიც ენთო და რკინის ღუმელიც, რაც შეშის ორმაგ ხარჯს იწვევდა. საუბედუროდ, აღარც ილია ბაბუას საყვარელი ბუხარი არსებობს დღეს. იგი მისმა შვილიშვილებმა ამოქოლეს საგულდაგულოდ.

რადგან ბუხარზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე გავიხსენებდი ჩემი და ჩემი ძმის მიერ შექმნილ ბუხრის პროექტებს, რომელთაგან ერთი, ოთხი მხრიდან გახსნილი შუა ბუხარი, საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის რესტორანში დაადგმევინა იმავე რაიონის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, რეზო დლონტმა. ეს იყო 1975 წელს, როცა ხსენებული რესტორნის აღმოსავლეთ კედელზე ჩვენ თავისუფალი სტილის ფრესკული კომპოზიცია შევასრულეთ.

როგორც შემდგომში ბატინმა რევაზმა გვიამბო, არნიშნული ფრესკითა და ბუხრით მოხიბლული დარჩენილა იმ რესტორანში სტუმრად მიწვეული სახელგანთქმული მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე.

მოგვიანებით, ჭიათურის ერთ-ერთი საწარმოს დირექტორის თხოვნით, ჩვენ კიდევ შევასრულეთ სრულიად ორიგინალური, თავისუფალი სტილის ბუხრის პროექტები. მართალია იმ პიროვნებას ეს პროექტები არ გამოუყენებია, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ მათი შექმნით. თუ ოდესმე ტექნიკური საშუალება მოგვეცა, ამ პროექტებიდან ერთს ან ორს მაინც განვახორციელებთ ჩვენს მშობლიურ ბუხინეში. ჩვენს თეთრსა და ცაში აზიდულ ქვის დიდ სახლს არაჩვეულებრივად დაამშვენებდნენ ასეთი პოეტური და თავისუფალი სტილით შექმნილი ბუხრები.





მუდმივი ვალუტა

არც ჩვენი ბავშვური ასაკი და არც დედის მოუცლელობა, ბაბუა იპოლიტეს ხელს არ უშლიდა ესაუბრა მწერლობის, სიკვდილ-სიცოცხლისა თუ მარად სულიერ და მატერიალურ საწყისთა ირგვლივ. მან კარგად უწყოდა, რომ დღეს თუ ხვალ ჩვენი სულიერი კარიბჭე ფართოდ გაიღებოდა ყოველგვარ პოეტურ და ამალღებულ სიმბოლოებთან საზიარებლად.

როგორც ძველი ლათინური ანდაზა ამბობს: წვეთი ერთი დაცემით კი არა, თანდათან, ხანგრძლივი დროის შემდეგ ხვრეტს ქვას.

მოზარდი ბავშვის გონებაც დაახლოებით ასეა მომართული. აღმზრდელი ოსტატის შეგონებანი თითქოსდა შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც იკიდებენ ფეხს მოზარდის სულში.

-ჩემო კუსა, ბუჯგა და მეგენერა! – ასე იწყებდა ჩვენს დამოძღვრას ბაბუა იპოლიტე. “კუსა” ტარიელის მოფერებითი სახელი იყო, “ბუჯგა” – ავთანდილისა, “მეგენერა” კი მეგის სახელის ოდნავი სახეცვლილება.

ბაბუა განაგრძობდა: უსმელ-უჭმელი გარეთ არ გახვიდეთ არასოდეს! ოცოდეთ, ეს შეიძლება ძვირად დაგიჯდეთ. შიმშილისაგან შეიძლება თვალთ დაგიბნელდეთ, გული შეგიღონდეთ და კიდევ ვინ იცის სხვა რამ კიდევ. სავალდებულო არ არის ტაფამწვარი, ბისკვიტი, მწვადები ან ხაჭაპური ჭამოთ. ამისთვის საკმარისია ორიოდე ლუკმის მიღება.

მეორეც: აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა, ვარჯიში და ფიზიკური შრომა. თუ გინდათ ჰარმონიულ ადამიანებად ჩამოყალიბდეთ, აუცილებლად ერთმანეთს შეუთანხმეთ გონებრივი და სულიერი შრომა.

მესამეც: არაფერი ზედმეტი ცხოვრებაში, არც ფიზიკური გადატვირთვა, არც უზომო სმა-ჭამა. ეს ძველი ბერძნების ნათქვამია, ჩემი მოგონილი არ არის.

ახლა ჩემო ბიჭებო უშუალოდ თქვენი მისამართით: მე რომ ამ წუთში ზომიერების შესახებ გითხარით, ეს მაშინ გაითვალისწინეთ, როცა გაიზრდებით და ღვინის სმას დაიწყებთ. ღვინის მომრევი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა. ღვინომ თვით ბიბლიური ნოც კი მიწაზე დასცა. ასე, რომ მუდამ გულისყურით იყავით. ძველი ბერძნები მხოლოდ წყალგარეულ ღვინოს სვამდნენ.

ცხოვრებაში ღვინოს ვერასოდეს ვერ აუქცევთ გვერდს, მაგრამ თამბაქოს კი აუცილებლად უნდა უთხრათ უარი, თანაც სამუდამოდ. იცოდეთ, თუ თამბაქოს კვამლს ერთხელ მაინც ჩაისუნთქავთ, მისი ბრჭყალებისგან თავს ვერასოდეს დაიხსნით. ასე დაემართა მამათქვენს. იმდენს ეწეოდა, ვიდრე გული არ გაიფუჭა.

თამბაქო თავად მოყავდა. ეს “ბერძნულაო”, ეს კიდევ “კინჯალიო” და ღმერთმა უყწის, კიდევ რა. მეზობლებსა თუ ტოლ-ამხანაგებში მუქთა მწვევლებიც ბევრი ჰყავდა. მოდიოდნენ და “თუთუნი დაგვალევიეო”, თხოვდნენ, მაგრამ სახლშიაც ბევრი მოჰქონდა ქისით.

თავის დროზე მეც სერიოზულად ვეწეოდი პაპიროსს და შესაძლოა, ვერც კი დამენებებინა თავი, თავად რომ არ შეეწყო ამაში ხელი. ეს 1907 წელს მოხდა მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე. ანაზღად პაპიროსის მოწვევის დროს, ისეთი თავბრუ დამესხა, რომ თვალთ დამობნელდა და კინაღამ მიწაზე დავეცი. გონს რომ მოვედი, ვერცხლის პორტსიგარი მძლავრად მოვიქნიე და ხრამში მოვისროლე. მას შემდეგ თამბაქოსთვის თითიც არ დამიკარებია.

ამ დღეებში, როდესაც გამოიდარებს, სამთავე ყანაში ჩავიდეთ ბარებით შეიარაღებულნი. გაყინული თოვლი ბელტებად დავეჭრათ, წინ მოვისროლოთ, ჩვენ კი აქეთ შევუდგეთ ბარვას. დარჩენილი თოვლი, რაც მიწას ჩაყვება, აზოტიცა გამოიდარებს და რაც მთავარია დაამუშავებს კიდევ.

-რას ამბობ მამა! – ოდნავ შემცბარი ტონით მიმართა დედამ ექსტაზში შესულ ბაბუას, - ახლა ხომ იანვრის თვეა. მიწა ადამიანივით ავადმყოფობს. ის ჩვენგან დასვენებას მოითხოვს. მისი განძრევა არ შეიძლება, თორემ ოჯახში შეიძლება რაღაც მოხდეს!

-რაო, ჩემო კარგო, მიწა ავადმყოფობსო? ხა, ხა, ხა! –სიცილით იძახის ბაბუა, თან მდულარე ჩაის ცოტაოდენ არაყს უმატებს და ნება-ნება სვამს, - ეს ხომ ცრუ რწმენაა და სხვა არაფერი.

- არა მამა, ეს სრული სინამდვილეა. ამბობენ მიწა იწყევლება, თუკი იანვარში ბარის წვერს შევახებთო. რა ძალა გვადგია, მის დაამუშავებას მერეც მოვასწრებთ.

კარგი ეგრე იყოს, ჩემო კარგო! არ გედავები. მთავარი ისაა, რომ შენ შეიღებს მიწაზე მუშაობა უყვართ. მე ეს მიხარია და რადგან ეს ასეა, გადაწყვეტილი მაქვს, ეზოში ვენახი გავაშენო, რომლის ხორცშესხმასაც მე წელსვე შევუდგები.

ვაზი და მისი ნაყოფი – ეს მუდმივი ვალუტაა. მოუვლი, ისიც ხვათ-ბარაქით აგავსებს.

სიტყვა “ვალუტა” სმენადქცეულ პატარებს პირველად გვესმა იმ დღეს. ჩვენ კითხვაზე ასეთი პასუხი გაგვცა ბაბუამ: ვალუტა ეს ოქროა, ფულის ეტალონი, მისი საზომი. ჩემი სურვილია თქვენც ასეთი ვალუტა დაგიტოვოთ, მაგრამ არა ნამდვილ ოქროს, არამედ ვაზის სახით, დიან ვაზის სახით. ვაზი ასი წლის მანძილზე და უფრო მეტ ხანსაც ემსახურება ოჯახს. მე ფული არა მაქვს და კიდევ რომ მქონდეს, მაინც არ დაგიტოვებთ თქვენ, რადგან ის ძალიან სახიფათო რამ არის. შეიძლება დაკარგოთ ან კარტში წააგოთ და ხელში საპნის ბუშტიღა

შეგრძობათ. ვაზის შემთხვევაში ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. პირიქით, ვაზი ოჯახისათვის მუდმივი ვალუტის შემოსავლის წყარო იქნება. მთავარია, კაცი ნაცარქექია არ იყოს, ვაზი უყვარდეს და მარანში დოვლათი არ მოაკლდება.

...

ბაბუა იპოლიტემ სიტყვა იმ წელსვე საქმედ აქცია. ბეზობლის ორ მამაკაცს სავენახე მიწა გადააბრუნებინა და მაშინვე ქორეთის სკოლის მასწავლებელს, დომენტი კიმოთეს-ძე ბიჭაშვილს ვაზის ნერგების შოვნა დაავალა. ნერგები მან საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში, ფარქოსაძის ქვრივი ქალის ოჯახში მიაკვლია. ეს ვაზის მესაიდუმლე ქალი თავად აღმოჩნდა ამ საქმის დიდოსტატიცა და მყნობელიც. ჩვენ მისგან იშვიათი ჯიშის ნერგები შევიძინეთ: საადრეო და საგვიანო ძველშავი, ქვიშხური, კუნბა ანუ გორული მწვანე და სხვა. ამათგან საადრეო ძველშავი ნამდვილი სასწაულია, ასევე საშამპანე ქვიშხურიც. სიტკბოთი და არომაგით არცერთი არ ჩამორჩება თაფლს. გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩაყრილი ვაზი დღესაც ღირსეულად ემსახურება ჩვენს ოჯახს, დღესაც ღვთაებრივ ნექტარს აწვდის ფრესკებით მოხატულ ჩვენს მარანს.

თვით ის ფარქოსაძის ქვრივი ქალი ვენახში მუშაობის დროს გარდაცვლილა მოულოდნელად. ზედ ვაზის ძირში ამოსვლია სული. ღმერთმა ნათელში ამყოფოს იგი!

თოთხმეტიოდე წლის წინ, ქორეთის უდერძის ფრესკებზე მუშაობის დროს, ჩვენთან სრულიად უცნობმა ყმაწვილმა ხარაჩოდან ჩამოსვლა და ეზოში სახელდახელოდ გაშლილ ტრაპეზთან მისვლა გვთხოვა. პატარა სუფრის გარშემო ახალგაზრდა, სიმპატიური ქალი და მისი ქალ-ვაჟი იჯდა. ისინი იმ დილით სალოცავად ამოსულიყვნენ საჩხერიდან. ჯერ არც კი შემოსულიყვნენ ტაძარში და არც ჩვენ ვყავდით თვალით ნახული, მაგრამ ნიშნად პატივისცემისა, სუფრაზე მაინც მიგვიწვიეს. გაირკვა, რომ ისინი შორიდან გვიცნობდნენ.

აი, სწორედ ის ახალგაზრდა, სიმპატიური ქალი აღმოჩნდა ზემოთ ხსენებული ფარქოსაძის შვილი, ვისგანაც ჩვენ გასული საუკუნის 50-იან წლებში არაჩვეულებრივი ვაზი შევიძინეთ.

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მაშინ. 2008 წელს, ჩვენი საადრეო ძველშავი ისევ გადავანამყენეთ და სახლის წინ დავრგეთ.

გაცილება

ჩადგა თუა არა აბობოქრებული ქარი, მაშინვე ცა და დედამიწა სიწყნარემ მოიცვა. თეთრი ღრუბლებიდან გამომზირალი მნათობი ჯერ კიდევ უღიმღამო შუქსა და სითბოს უგზავნიდა თოვლის უდაბნოში ჩაძირულ სოფელს.

ჩვენი ეზოს ჭიმკრამდე და აქედან ცივწყარომდე გზა უკვლევი იყო. მგზავრისა კი არა, ჩიტის ჭაჭანებაც არ ჩანდა არსად. მხოლოდ ქორეთის კოლმეურნეობის თავლასთან და შარვაძეების მარნებთან თუ გაიელებდა ადამიანის ლანდი. და აი, ასეთ დროს, ბაბუა იპოლიტემ თბილისში გამგზავრება გადაწყვიტა. წასვლა აუცილებელი იყო, რადგან

მეორე თუ, მესამე დღეს გორის პედაგოგიკური ინსტიტუტში ლექციები ჰქონდა წასაკითხი. ჭურჭელი ორი ჰქონდა: განუყრელი ზურგჩანთა და ერთიც მოზრდილი ჩემოდანი.

ბაბუამ თავისი ხელნაწერი და რამდენიმე აუცილებელი წიგნი დედას გადასცა და მანაც წინდებთან, თეთრეულთან და სოფლის ნობათთან ერთად, ხსენებულ ჭურჭლებში ჩააწყო კოხტად.

გადაშუადღებულს დედამ და ბაბუამ გუდა-ნაბადი აიკრეს და საჩხერისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ეზოს ჭიშკარში კი გააღწიეს როგორღაც, მაგრამ იქვე, “ვართაგავას ამოდმართზე” თოვლის უზარმაზარი ნამქერი თითქმის გაუვალი ჩანდა. რის ვაი-ვაგლახით ჩაიარეს ეს ამოდმართი და გაივაკეს.

გზას თავდაპირველად დედა მიიკვლევდა. ნაბიჯის გადასადგმელად ფეხებით თოვლის ჩაჭრა და ბილიკის წინასწარ გატანა იყო საჭირო. ჩემოდანი თოვლზე ედგა და გზის ჩაჭრასთან ერთად, თან მიათრევდა წინ. უკან ბაბუა მიჰყვებოდა ზურგჩანთა აკიდებული.

მე, ტარიელი და მეგი აივნიდან ვადევნებდით თვალს ოჯახის განუყრელი ღურბინდით, სახელად “პროტეოსიტ”. ვხედავდით, როგორ წვალობდა თოვლთან და ნამქერთან შეჭიდებული ქალი. ხშირად ჩერდებოდა კიდევ ჩემოდნის სიმძიმისა თუ თოვლთან ჭიდილში დაღლილ-დაქანცული.

მაღე ბაბუამ გაუსწრო რძალს და ცივწყარომდე შეუსვენებლად მიარღვევდა თოვლს. წყაროდან შარვაძეების მარნებამდე, კვლავ დედამ იტვირთა უკვლევ თოვლთან ბრძოლა. აქედან უკვე ვიწრო, საცალფეხო ბილიკი იყო გატანილი.

დედამ სოფელ კალვათამდე ჩააცილა ბაბუა იპოლიტე და მამამისს გადაულოცა ბჟინევიდან თრევათრევიტ ჩამოტანილი ჩემოდანი. აქედან საჩხერის რკინიგზის სადგურამდე მეგზურობა ილია ბაბუას უნდა ეკისრა.

კალვათაში დედამ მცირე ხანს დაყო, გათბა, წაინაკლა და ბებია მაროს მიერ გამოტანებულ ნობათთან ერთად, სახლისაკენ გამოემშურა და ვიდრე იგი ბჟინევიში ამოვიდოდა, ჩვენ მოწყენილები ვიჯექით ნახევრად ჩამქვრალი ბუხრის პირას. აღარ გვესმოდა აღარც დედის ჩუმი ნაბიჯების ხმა და აღარც ბაბუას ტკბილი, დამრიგებლური საუბარი. გული მაინც იმ იმედით ხარობდა, საღამოთი დედის დაბრუნებას ხოლო შემდეგ თბილისიდან ბაბუა იპოლიტეს მორიგ ჩამოსვლას რომ უნდა მოჰყოლოდა.

...

სტალინური არჩევნები

ერთხელაც, მეორე მსოფლიო ომის დღეებში, ბაბუა იპოლიტეს სტალინის პიროვნების შესახებ დაგუსვით კითხვა. მან სამი სიტყვით დაახასიათა იგი: “სტალინი ბოროტი გენიააო” – გვითხრა, ხოლო მცირეოდენი დუმილის შემდეგ დაუმატა, მე ოდესღაც სტალინს ერთ კუპლეტიანი ლექსი მივუძღვენიო, თქვა და გაჩუმდა.

ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, როდესაც მან თავისი პოეტური საიდუმლო გაგვანდო მე და ჩემს ძმას. პირველი, ასევე ერთ კუპლეტიანი ლექსი, მას ხეთაში დაუწერია უდროოდ გარდაცვლილი კუტალიას

ახალგაზრდა ყმაწვილის საფლავის ეპიტაფიისათვის. ამასთან დაკავშირებით ის ღიმილით გვეტყოდა ხოლმე: ცხოვრებაში ერთადერთი ლექსი დავწერე და ისიც ოქროს ასოებით ამოკვეთეს კვარცხლბეგზეო.

მაშინ სტალინისადმი მიძღვნილი ლექსის შესახებ არაფერს ამბობდა და ამიტომაც საფლავის იმ ეპიტაფიას თავისი პოეტური შემოქმედების ერთადერთ ნიმუშად გვისახელებდა, მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა. განსხვავებით ზეთოხსენებული ეპიტაფიისა, მეორე სტრიქონი არასოდეს წარმოუთქვამს ბაბუას და რაც მთავარია არც ჩვენ გაგვჩენია მისი ჩაწერის სურვილი. დიდები რომ ვყვილიყავით, აუცილებლად ჩავიწერდით მას. თუ შედეგური არ აღმოჩნდებოდა, ბაბუის შემოქმედებითი ისტორიისათვის ერთგვარი ღირებულება მაინც ექნებოდა.

როგორც ჩანს, “ბოროტი გენისადმი” ბაბუა დადებითად იყო განწყობილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, სტალინის მედალიონებს გულზე არ დაგვაბნევდა პატარებს, რომლთაც ჩვენ წლების მანძილზე ვატარებდით სკოლაში. ამ მხრივ მე და ჩემი ძმა გამონაკლისები ვიყავით.

საერთოდ მე და ჩემი ძმა სტალინის პიროვნებისადმი რამდენადმე გულგრილნი ვიყავით, თუმცა 1956 წლის 9 მარტის სისხლიან დღეთა აქტიური მონაწილენი მაინც გავხდით. ამას მივუმატოთ ჩვენს მიერ მხატვრულად გაფორმებული ორი წიგნი: “მე-იოსებ სტალინი”, რომელთა წაკითხვის შემდეგაც ლიხელი შოთა ივანეს ძე ლომიძე სულ სხვაგვარად განეწყო. თავისი გულუხვობითა და სტუმართმოყვარეობით სახელგანთქმული შოთა, ჩემი დეიდაშვილის ტასო(ნორა) ტყემალაძის მეუღლე იყო, 40 წლის მანძილზე საჩხერის რაიონის სოფელ ლიხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. ომის დროს, ფრონტზე გაწვეულ მამას, ჯერ კიდევ პირტიტველა ყმაწვილი, საკუთარი ფეხით დაედევნა ფეხ და ფეხ. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, შორეული აღმოსავლეთის ფრონტზე ამოყო თავი, მაგრამ მშობლიური მამის კვალს სამწუხაროდ ვერსად მიაგნო.

სუფრაზე ხშირად და ისიც რუსულად, მარშალ უსუკოვის წიგნიდან, სტალინისადმი მიძღვნილ სტრიქონებს იმეორებდა ხოლმე, მერე საკუთარ ქათინაურებსაც დაურთავდა და ბოლოს, რა თქმა უნდა, ფეხზე ამდგარი სვამდა ბელადის სადღეგრძელოს. კაი ბიჭი იყო და ვინმეს არ შეესვა იგი.

ერთხელაც ასეთი რამ მოხდა, ნაბახუსევმა სტალინელმა თავისი ოჯახის სუფრის თამადად ჩემი ძმა ტარიელი დანიშნა. თავად მაგიდას დაეყრდნო და მამაპაპურ ძილს მისცა თავი. ამით ისარგებლა სუფრისა თავსა მჯდომარემ და გვიანი ვაზში სტალინის სადღეგრძელოს გარეშე დაასრულა. მაგრამ ნურას უკაცრავად. პირწავარდნილი სტალინელი, თითქოსდა რწყილმა უკბინაო, ელვისებურად წამოხტა ფეხზე და თამადას სიტყვის შეუბრუნებლად დააღვეინა იგი. მე დღესაც არ ვიცი რამ გამოაღვიძა მაშინ თავ-მკვდარი და ღრმად ნაბახუსევი შოთა ბატონი. ის, ალბათ ძილ-ღვიძილში იყო ან განგებ იმძინარებდა თავს, რათა გაეგო, შესვამდა თუ არა ტარიელი მისთვის ყველაზე საყვარელ და უპირველეს სადღეგრძელოს.

სტალინისადმი მიძღვნილი ზემოხსენებული წიგნების გამოცემის შემდეგ, შოთა ლომიძე რამდენადმე დაიბნა კიდევ. თუ მე და ჩემი ძმა სტალინის მაქებ-მადიდებელნი არ ვიყავით, მაშინ როგორ აღმოვჩნდით ჩვენ ამ ორტომეულის მხატვრები? ამის შესახებ სიტყვაც კი ჩამოგვივდო ერთ-ერთი შეხვედრის დროს. მაგრამ, როგორც შოთა ბატონს მიაჩნდა,

მე და ჩემი ძმა სულაც არ ვიყავით გულგრილნი იოსებ ჯულაშვილის პიროვნების მიმართ.

...

არ ვიცი ვისი ნებით იყო ნაკარნახევი, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს სოფელში ჩვენი დიდი სახლი სტალინური არჩევნების ნავსაყუდელად იყო ქცეული. მხედველობაში მაქვს წინა საარჩევნო მზადება და მასთან დაკავშირებული სააგიტაციო სამუშაოები. ოთახში თავშეყრილნი, რომელთა შორის ძირითადად ქალებს ნახავდით, სულგანაბულნი უსმენდნენ წიგნაკებად დაბეჭდილ დებულებებს. ბუხრისა თუ რკინის ღუმელის გარშემო გასაყიდი ქოთნებით ჩამომჯდარი ქალები თითქოს დებულებათა კი არა, ბიბლიის მოსმენით იყვნენ შთაგონებულნი. მკისველები კი რიგრიგობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ზოგი არამარტო კითხულობდა ტექსტს, არამედ თავისებურ განმარტებებსაც აკეთებდა, თითქოსდა ამ საქმის დიდი მცოდნე და ბრძენთა ბრძენი ყოფილიყო. ზოგიც ბურტყუნ-ბურტყუნით კითხულობდა დებულების ამა თუ იმ გვერდს, ისე ჩქარობდა რომ, ნახევარ სიტყვებს ყლაპავდა. მძიმე ავადმყოფის შემთხვევაში, აგიტატორი ვალდებული იყო თავად ხლებოდა სახლში ავადმყოფს და მისი ყურის გემო ადგილზევე დაეტკბო სტალინური არჩევნების დებულებათა “სიბრძნით”.

დედა კი ამ დროს ორმაგი საქმით იყო დაკავებული: სმენით აგიტატორისკენაც იყო მიპყრობილი და იმავე დროს პატარა სუფრის მომზადებითაც ირთობდა თავს. ბევრი არაფერ ჰქონდა, მაგრამ რაც კი გააჩნდა, უშურველად აწყობდა მაგიდაზე - ყველი, ცხელი მჭადი, მჟავე, ლობიო და იმავე ლობიის ქოთანში მოხარშული კვერცხები, ალუბალზე შაქრით დამზადებული მდარე არაყი და რაც მთავარია, ე.წ. წერეთლის მწვადები ანუ კეცზე მოხალული და მარილმოყრილი კვახის მარცვალი. აი, ყველაფერი ის, რისი მიტანაც დედას სუფრაზე შეეძლო.

ჩვენი მეზობელი ტატიანა ჭუმბურიძე-დარბაიძისა უფრო გიტარის აწყობითა და სიმღერით იყო დაკავებული. ხმაც ღამაზი ჰქონდა და გიტარაზეც მშვენივრად უკრავდა. ყველაზე უფრო, მაშინ მოდაში დამკვიდრებული სატრფიალო სიმღერა უყვარდა:

“აჩრდილივით სულ შენ დაგდევ, მუდამ შენთან ვარ,
გეფიცები, ჩემო გიჟო, რომ შენ მიყვარხარ.
რა იქნება, გადმომხედო და გამიღიმო,
ეგ ღამაზი ტუჩ-კბილები გამომიჩინო .
უშენიბით სულში ძალა გამომელია,
ერთი მითხარ, ჩემზე კარგი სხვა რომელია?”

იმ მარად დაუვიწყარმა საოჯახო კონცერტმა ჩემდაუნებურად სწორედ მაშინ შემასხენა თავი, როდესაც 2010 წლის 2 იანვარს, ზუსტად ბედობის დღეს, ტელევიზიით უჩვენეს ქართული მხატვრული ფილმი “მოიტაცეს თამარ ქალი”.

გუსმენდი ამ ფილმში ჩართულ ზემოხსენებულ სიმღერას და მაშინვე ჩემში ცოცხლდებოდნენ ის ადამიანები, რომელთაგან დღეს თითქმის აღარავინაა ცოცხალი. ისინი ჭეშმარიტად მარადიული სიცოცხლის ღირსნი არიან, რამეთუ თავის დროზე ომის საშინელებნასაც უძლებდნენ და ამასთანავე სოფლის იერსახესაც ქმნიდნენ.

ტატიანას რეპერტუარი იმ სიმღერით როდი ამოიწურებოდა. სტუმართა ყურის გემოს მის მიერ ყოველგვარი თხოვნის გარეშე წარმოთქმული სხვა სიმღერებიც ატკობდნენ. აი მაგალითად:

“მთებში დაკრეფილ ყვავილთა კონა,
მინდა გაკოცო ჩემო გოგონა.
რა დედამ გშობა ეგეთი ნაზი,
მინდა დაგლოცო, ამივსე თასი!

და მეორეც:

“ამოვარდება ქარი
ამინდი შეიცვლება,
ნუთუ პატარა ნუნუ
ჩემი აღარ იქნება?

მეორეს მესამე მოსდევდა, მესამეს მეოთხე და ასე ვიდრე დებულებების კითხვა არ დასრულდებოდა.

ტატიანა ჩემი და ჩემი ძმის მუსიკის მასწავლებელი იყო. პირველ რიგში გიტარის აწვობასა და დაკვრას გვასწავლიდა. ხოლო როცა ის ჩვენთან არ იყო, მის მოვალეობას დედა ასრულებდა ხოლმე, რომელიც გვარიანად ფლობდა გიტარისა და სიმღერის საიდუმლოებას.

კაცმა რომ თქვას, რაღა არჩევნებისა და სიმღერის თავი უნდა ჰქონოდა ამ ორ ქალს. დედა უკვე ჯარისკაცის ქვრივი იყო, ტატიანას მეუღლე კი გერმანიის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში იყო გამომწყვდეული. სიკვდილის ბანაკში ყოფნის დღეები საბჭოთა უშიშროებამ 25 წლის პატიმრობით გაუხანგრძლივა. ეს მისდა მოულოდნელად მოხდა. გვიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს მე და ტატიანას მეუღლე პასიეთის ტყეში შეშის დამზადებით ვიყავით გართულნი. მუშაობა მეორე დღესაც უნდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ იმ ღამით ჩემი მეზობლის მამაკაცი უშიშროების თანამშრომლებს გაეყვანათ სახლიდან. მე დაღამებამდე მარტო ვმუშაობდი ტყეში. ასეა, ბედს ვერვინ გაექცევა.

ბატონების ხონჩა

ჩემი ფერწერული ტილოებიდან “ბატონებისადმი” მიძღვნილი კომპოზიცია, მუდამ სევდითა და ნოსტალგიით მავსებს, რამეთუ მას უნებურად ბავშვობის გრდასულ დღეთა სამყაროში გადავყავარ ხოლმე.

აქ, ნახატის წინა პლანზე ასახულია სიუხვით სავსე ორი “ბატონების ხონჩა” და მათ გარშემო ასევე ორი ტიტლიკანა და ხელეპაპრობილი ბიჭუნა. ეს ბიჭები მე და ჩემი ძმა ვართ, ჩვენ, რომელთაც პატარაობის უამს ბუნებამ სამი “ბატონები” : ყივანახველა, წითელა და ყბაყურა შეგვყარა. მაგრამ სამევე შემთხვევაში ისინი კეთილად წაბრძანდნენ ჩვენი ოჯახიდან. ყოველ მათ წაბრძანებას, “ბატონების ხონჩის” გადალოცვა და ერთგვარი რიტუალის შესრულება ახლდა თან. ეს მუდამ აუცილებელი რამ არის, თორემ “ბატონებმა” ისეთი გაჯავრება იციან, რომ უკვე “შაქარ” მოხდილ ბავშვსაც კი გადარევენ ხოლმე. ის კი არადა, შეიძლება გააცოფონ და თან წაიყვანონ კიდევ.

რიტუალს დედა ასრულებდა, რომელსაც ამ მხრივ დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული. მან ამ დღისთვის საგანგებოდ იხმო

ქორეთელი უენია ლომიძე და მას “ბატონების დედის” რთული და საპატიო მისია დააკისრა. მისტიკური როლი ქალმა მშვენივრად შეასრულა.

რიტუალის სრულყოფილებისათვის საჭირო იყო სიმღერა და ცეკვა-თამაში. უენიასაც არ უთქვამს უარი და გაუსვა და გამოუსვა ჩოლობაყურად. ხან ხონჩას უვლიდა გარშემო და ხანაც ხმამაღლა მღეროდა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, მთაწმინდის ბაღში გადავლოცეთ მეორე “ბატონების ხონჩა”. სუფრაზე მიწვეული მყავდა მთარგმნელობითი კოლეგიის ორი თანამშრომელი, ზეზვა მედულაშვილი და აწ გარდაცვლილი გიორგი მაჭუტაძე.

“ბატონებს” ექიმები, ჩვეულებრივ, ინფექციურ დაავადებას ეძახიან, მაგრამ ჩემი აზრით, ის უფრო ანგელოზური მოვლენაა და მათი მისტიკური ბუბების ახსნა თითქმის შეუძლებელია. ამაში ყველა დამეთანხმება, ვისაც ერთი “ბატონები” მაინც წვევია სახლში ან თვალს გადაავლებს ცნობილი ქართველი მეკვლევარის სერგო მაკალათიას “ბატონებისადმი” მიძღვნილ ეთნოგრაფიულ ნაშრომს, აღებულს სამეგრელოს ცხოვრების სინამდვილიდან.

“ბატონებს” სხვაგვარად “შაქარასაც” და “შვიდ და-ძმასაც” ეძახიან.

რაც შეეხება “შვიდ და-ძმას”, ეს მათი რაოდენობიდან გამომდინარეობს. ე.ი. არსებობს შვიდი სახის “ბატონები”, რომელთაგან ზოგის ავადობა ცხრა დღეს, ზოგისაც კი ზუსტად ცხრა კვირა გრძელდება. ამ უკანასკნელთ ყბაყურა და ყივანახველა განეკუთვნებიან.

ამბობენ “ბატონები” უფრო თეთრგვრემან ბავშვებს ეწვევა ხოლმე, შავგვრემანებს კი სათოფეზეც არ ეკერებაო. მართლაც მე და ჩემს ძმას სამგზის გვესტუმრა “ბატონები”, ჩემს შავგვრემან უმცროს დას მეგის ერთხელაც არ განუცდია მათი მისტიკური ფრთების ლაციცი.

ყველაზე უცნაური მაინც ისაა, რომ “ბატონების” რაოდენობაცა და მათგან გამოწვეული ავადობის ხანგრძლივობა საკრალურ რიცხვებთან: შვიდთან და ცხრასთან არის დაკავშირებული. ესეც მათი ანგელოზური და ამოუხსნელი ბუნების მისტიკა ...

„ბატონებიდან“ ყივანახველა და ყბა-ყურა ძალიან კარგად მახსოვს. ან კი როგორ შეიძლება მათი დავიწყება, როცა ერთიცა და მეორეც მძიმე სენტანიშნის შემცველი რამ არის. პირველი ავადობისას მე და ჩემი ძმა მამლებივით ვყიოდით. ზოგჯერ ძლიერი ხველებისაგან სუნთქვა გვეკროდა და ჩაბჭირებულებს ლამის თვალებიც კი გვივარდებოდა თვალბუდეებიდან. ყბაყურამ კი ბურატინოებს დაგვამსგავსა მე და ჩემი ძმა. აღამიანებს აღარ ვგავდით.

ბატონები ოჯახური სიწმინდის განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვს, რაიც ლამის ასკეტური ცხოვრებისაკენ უბიძგებს ყველას. ვიდრე “ბატონები” ოჯახში ბრძანდება, კაცმაც და ქალმაც უნდა დაივიწყონ სქესი, ღვინო, წვერის გაპარსვა, სისუფთავე, ფრინველთა დაკვლა და სხვა მისთანანი.

მე არ მინდა ჩემმა მოგონებამ ეთნოგრაფიული ხასიათი მიიღოს, არა ეს ჩემი მიზანი არ არის. მე მხოლოდ მოკლედ გავიხსენებდი ოჯახიდან ბოლო – მესამე “ბატონების” ანუ ყივანახველას წაბრძანებას, ხონჩის მომზადებისა და მისი გადალოცვის დაუვიწყარ დღეს.

დღეა ორი დღით ადრე შეუდგა საქმეს. წინასწარ მოამზადა ფერად-ფერადი ნატრები, ხურდა ფული, ნატრის სათამაშოები და ღვინო, ხოლო ჩიტ-ბატონების, ნამცხვრებისა და ხაჭაპურების გამოსაცხობად

მეზობლის იმ ქალს უხმო, რომელიც ცხრა კვირის მანძილზე ჩემი და ჩემი ძმის ავადობის “ბატონების დედა” იყო, ქალი, ყველას გაჭირვების ტალკევისი, თვინიერი, პურადი, მოალერსე, დამრიგებელი, მკურნალი, ბებია-ქალი, მეოხი და მსასოებელი. ჩიტ-ბატონებს მე და ჩემი ძმაც ვპერწავდით ცომისაგან.

ტაბლა ერთობ უხვი და მრავალფეროვანი გამოვიდა, სწორედ ისეთი, როგორიც ეს ჩემს ფერად ტილოზეა აღბეჭდილი. ხონჩა ჩვენი სახლის ქვემოთ, ერთ დიდ ლოდზე დაგაბრძანეთ და ჩვენც გასაყდი ქოთნებივით შემოვუსხედით გარშემო. მთავარი გურმანი – ეს ჩვენი მეზობლის ყმაწვილი იყო, ვისაც კარგა ხნის წინ მოეხადა “ბატონები” და ახლა უფლება ჰქონდა, ყველაფერი დაეგემოვნებინა, რაც კი ხონჩაზე იდო.

მისგან განსხვავებით, “ბატონების დედამ” ჩვენ უფლება არ მოგვცა გვეჭამა რამე. აქოდა ეს ხონჩა თქვენი “ბატონების” კუთვნილებაა და ამიტომ თითის დაკარების უფლებაც არ გაქვთო. მართლაც არ დაგვიკარებია თითი. უბრალოდ ვიჯექით და პირდაღებული ვუყურებდით მეზობლის ბიჭს, რომელიც მადიანად მიირთმევდა და ხშირად ლუკმა ყელშიაც კი ეჩხირებოდა, რის გამოც იძულებული იყო, გულის ფიცარზე მუშტები ერტყა და ისე ჩაეშვა კუჭში.

მზე შუბის ტარზე იდგა. სოფლის მყუდროებას “ბატონების დედის” სიცილი, სიმღერა და ცეკვა-თამაში არღვევდა. მან არაერთხელ გადაუხადა მადლობა “კეთილ ბატონებს” ცვენი ოჯახიდან მშვიდობიანად წაბრძანების გამო.

ასე დამთავრდა ის მარად დაუვიწყარი დღე რომელმაც მოგვიანებით ჩემს ზემოსხენებულ ტილოზე ჰპოვა უკვდავება. მე ამ ტილოთი ხარკი გადავუხადე ჩემი და ცემი ძმის ბავშვობას.



ავთანდილ ვართაგავა
“ბატონების ხონჩა” 1984წ.
79X79სმ

აბრეშუმის გზა

თუ ოდესღაც აბრეშუმის გზა საქართველოზე გადიოდა, საბჭოთა ეპოქაში ეს გზა ათასობით ქართული ოჯახებისაკენ მიემართებოდა, მაგრამ არა მათი ბედნიერებისა და სიმდიდრის თავწყაროდ, არამედ მონური უღლის დასადგმელად და ოფლის საღვრელად. მეაბრეშუმე ქალთათვის ეს დარგი უფრო წყლის ნაყვას გავდა, ვიდრე არსობის პურის მიმცემ საშუალებას. ჩემს სოფელში არა ერთმა ადამიანმა იწვინა ამ არაფრის მომცემი მონური შრომის სუსხი, მათ შორის დედაჩემმაც და მთლიანად ჩვენმა ოჯახმა.

ჩვენი დიდი, მაღალჭერიანი და ნათელი სახლი წლების მანძილზე აბრეშუმის ჭიის დასაჯენად, გამოსაკვებად და პარკის მისაღებად იყო შერჩეული. მისი ექვსი ოთახი, სამზარეულოს შენობასთან ერთად, მუხის ბოძებით, კიბეებით, მოწნული ჩელტებით, გვიმრის ტოტებით, ჭიითა და ბუოლის ფოთლებით იყო გამოტენილი. ამის გამო ჩვენ, ოთხ ადამიანს აივანზე გვიწევდა ძილი. თუმცა ჭიის მეორე პარტიის დაჯენის შემდეგ, კიდევ უფრო დიდხანს ვემშვიდობებოდით ოთახებში ადამიანური ცხოვრების სიამოვნებას. ეს ამოდენა სახლი გვიმრის ფოთლებისა და აბრეშუმის ჭიის სპეციფიური სუნით იყო გაჯერებული.

რა უნდა გვექნა, საბჭოთა მონობის უღელი გვედგა და მისი მოშორება თითქმის შეუძლებელი იყო. თუ საქართველოს მთიანეთის სალოცავებში ხატის შეთქმულნი საკუთარი ნებით იდგამდნენ მხრებზე რკინის მძიმე ხატის უღელს, აქ სოფლის მესვეურები მეაბრეშუმე ქალებს ძალით ადგამდნენ მონობის უღელს, დიან ქალებს, რადგანაც ეს საქმე მთლიანად მათზე იყო მინდობილი. აბრეშუმის ჭიის მოვლა იმდენად მძიმე არ იყო, რამდენადაც მისი საკვები ფოთლის მოპოვება. ცარიელი გიდლებით, კალათებითა და ტომრებით აღჭურვილი ქალები ალთა-ბალთას მიემართებოდნენ და სულაც არ იცოდნენ, რით დამთავრდებოდა მათი ყოველდღიური ოდისეა.

ვიდრე ბედს მინდობილი ქალები უბან-უბან, სოფელ-სოფელ, დელე-დელე და ოჯახ-ოჯახ დაეხეტებოდნენ, ჭიის მომვლელები ძირითადად მე და ჩემი ძმა ვიყავით. მუშაობა სულაც არ გვეზარებოდა, გული გვეთანადრებოდა, როცა ბუოლის ფოთოლი გვითავდებოდა და თავადერილ ჭიებს ვერაფრით ვშველოდით. მორიგეობით ვიდექით ჭიშკართან და გულისფანცქალით ველოდით შორეთს იქით დაკარგულ ქალებს. როდის-როდის გამოჩნდებოდნენ უზარმაზარი ტომრებით დაოსებული და წელში მოხრილი ქალები და რის ვაი-ვაგლახით მოაღწევდნენ ჩვენს სახლამდე. მათ შორის ზოგიერთი ისეთი დაღლილი იყო, რომ განძრევისა და ხმის ამოდების თავიცი არ ჰქონდა.

ჩვენს ოჯახში შემორჩენილია მათი ერთობლივი ფოტო, რომელიც ე.წ ბაბუას ოთახის გარეთ, ზედ კედლის ძირასაა გადაღებული. ნახევრად ჩამჯდარ და ცნობისმოყვარე თვალებით გამომზირალ ქალებს გვერდს მათი განუყრელი კალათები და გიდლები უმშვენებენ.



მეაბრეშუმეთა გუნდის შემადგენლობაში არიან: მარო ბაქრაძე-აბდუშელიშვილისა, თატიანა ჭუმბურიძე-დარბაიძისა, თინა ამბაკოს ასული ლომიძე-ჩუბინიძისა და დედაჩემი, ნინო ილიას ასული კაპამაძე.

აი, ის გმირთა-გმირი ქალები, რომლებიც ჭიათურის რაიონის თითქმის ყველა სოფელს ლაშქრავდნენ და თუ ზოგჯერ ბჟოლის ფოთლის შოვნა იქაც შეუძლებელი იყო, მაშინ ისინი ძალაუნებურად ზესტაფონის რაიონის სტუმრები ხდებოდნენ. ჩასვლა-ამოსვლა “კუკუშკა” მატარებლით უხდებოდათ ხოლმე, რაც დიდ სიძნელესთან და დისკომფორტთან იტო დაკავშირებული. ხალხით გაჭედილ ვაკონებში ტომრებით შესვლა თითქმის შეუძლებელი იყო, რის გამოც ისინი ან ვაკონის კიბეებზე ეკიდნენ ან წინა ბაქანზე ეჩხირებოდნენ საცოდავად.

ასე წვალებითა და ჯახირით ბრუნდებოდნენ სახლში. ერთ დღეს, სოფელ ითხვისში, მავანი წერეთლის ეზოში მეაბრეშუმე ქალებს უფრო უარესი რამ გადახდათ თავს. სწორედ ისეთი ჩიორა ჩიტს ეშმაკმა მელიამ რომ დაატეხა თავს და ბარტყების გადმოგდების სანაცვლოდ ხის მოჭრით დაემუქრა:

- ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო !
- რაო, ბატონო მელაო?
- ერთი ბარტყი გადმომიგდე ,
- თორემ შავ დღეს დაგაყრიო:
- ცულს მოვიტან ცუნცულასა,
- ხელეჩოს და წაღდუნასა,
- ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
- შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

როდესაც წერეთლის იმ უჯიათმა კაცმა, მისი ბჟოლის ხეზე ასულ ქალებს დაუყოვნებლივ ძირს ჩამოსვლა უბრძანა, პასუხად კი უარი მიიღო, მაშინ მან სახლიდან ნაჯახი გამოიტანა და ახის მოჭრას შეუდგა.

რომ არა შემთხვევით კოლმეურნეობის თავმჯდომარის გამოჩენა, ეს ქვაწვია და ქვახარშია კაცი უთუოდ წირვას გამოუყვანდა მეაბრეშუმე ქალებს.

დღეს დედაჩემი და მისი დაქალი ტატიანა გვერდი-გვერდ განისვენებენ ეწრის ახალ სასაფლაოზე. აქაც ერთმანეთი უყვარდათ და იქაც ერთად არიან.

ეფიქრობ უადგილო არ იქნება, გავიხსენო ზემოხსენებული ქართული ხალხური ლექსის რუსული თარგმანი, რომელსაც ერთ დროს ბაბუა იპოლიტეს უყვებოდა ჩვენი ბიძაშვილი და ნათლული გოგია აბდუშელიშვილი, მეტსახელად “კოსტაია-პროსტაია”. ამ იუმორით გაშარჯებულ “თარგმანს” მოხუცი ბაბუა იპოლიტე სიცილ-ხარხარით შეხვდა, აი ისიც:

-პტიცა, პტიცა, პტიციცაო,
-ჩეგო, გასპადინ ლისიცაო?
-ერთი ბარტყი გადმომიგდე
-ვმესტე ტვოი შვილიცაო,
-ა ტო სრაზუ პრინესიომ
-ტაპორიცა, პილიცაო,
-დუბა სვალიმ, კორნი სვალიმ,
-შენც შეგჭამ და შენს შვლისაცო!

ეჰ, რამდენი რამ უნდა გაიხსენოს ადამიანმა! ცხოვრებას ფასი არ ექნებოდა, იუმორი რომ არ არსებობდეს ქვეყნად. ეშმაკუნა მელიასა და ქვახახარშია წერეთლის კაცის ქმედებათა შორის პარადელის გავლება საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ ორივე შემთხვევაში ბოროტებასა და სიხარბესთან გვაქვს საქმე.

ამ სიხარბეს კინაღამ ჩვენი მეაბრეშუმე ქალები შეეწირნენ მსხვერპლად ...

ბავშვური შემოქმედება თუ სულიერი შემოქმედების დასაწყისი

თითქმის ყველა ბავშვი ერთნაირად მიმბაძველია ოჯახის უფროსისა. თუ სახლში მხატვარი ჰყავს – მხატვრობაზე ოცნებობს. თუ მუსიკოსი – მუსიკას მიეღტვის და თუ ექიმი – დასტაქრობას იტაცებს.

ხშირად მათი ეს ოცნება ფრთებს ისხამს და წარტმატებითაც. იქნებ ამიტომაც უთქვამთ ჩვენს ძველებს: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო.

ამ კეთილშობილურ ცდუნებას ვერც მე და ჩემი ძმა ვერ ავცდით ცხოვრებაში. ხუმრობა როდი იყო ნიადაგ ბაბუა იპოლიტეს საუბრების მოსმენა მწერლობის, ადამიანური ღირსების, მამულიშვილობის, პატიოსნების, ოჯახის, შრომისა და მიწის სიყვარულის თაობაზე.

ადრეულ ასაკში ამ საუბრების უმრავლესობა, რომელთაც ბაბუა ძირითადად სოფელში გვიტარებდა ხოლმე, რამდენადმე ბუნდოვანი იყო ჩვენთვის. მაგრამ ნელ-ნელა მაინც იჭრებოდა ჩვენს სულში მსგავსად იმ წვეთი წყლისა, ერთი დაცემით კი არა, ხანგრძლივი მოქმედების შედეგად რომ ხვრეტს ქვას.

ფიზიკური თვალსაზრისით წვეთს ძალიან ბევრი რამ შეუძლია. მღვიმეებში წვეთი ულამაზეს სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს ქმნის. ძველ დროში დამნაშავეებს წვეთი წყლის ნელი ზემოქმედებით სჯიდნენ.

წვეთს, რომელიც ადამიანის თავზე ეცემოდა, ჯერ სიგიჟემდე, მერე კი სიკვდილამდე მიჰყავდა თურმე.

სხვა არა იყოს რა, ნებისმიერი ზღვა თუ ოკეანე, მდინარე, ტბა თუ ჩანჩქერი, წვეთებისაგან არის შემდგარი. მე ამ მოვლენისადმი მოზრდილი კომპოზიციაც მაქვს მიძღვნილი.

წვეთი წყლის შედარება ბაბუა იპოლიტეს პოეტურ-ფილოსოფიურ საუბრებთან, მე ვფიქრობ მართებული უნდა იყოს. რადგან სწორედ ამ შეგონებათა წყალობით იხსენებოდა ჩვენი სულის კარიბჭე და ასე თანდათან ვეთხოვებოდით ბავშვობისა და “მღვიმისაგან გლახაკობის” ასაკს. ასე თანდათან, პატარა, ფრთაშენდინდლული ბარტყებივით ვიწყებდით ლივლივს სინათლის ცა-კაბადონზე.

წიგნის თაროებიდან ნელ-ნელა ავკრიფვით ტერენტი გრანელის, ძველი ქუთაისელი პოეტის გრიგოლ აბაშიძის, “კირჩხიბის” მიერ ქუთაისში 1919 წელს გამოქვეყნებული ქართველ სიმბოლისტთა კრებულები; „H2 SO4“ – ით დასათაურებული ფუტურისტთა ჟურნალი და ძველის-ძველ „მნათობში“ დაბეჭდილი გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“.

ამ გამოცემებთან დაკავშირებით, ბაბუა იპოლიტეს გაუთავებელ შეკითხვებს ვაძლევდით ხოლმე :

- ვინ იყო ტერენტი გრანელი ?
- რას ნიშნავს სირყვა კირჩხიბი ?
- რატომ ჰქვია ლიტერატურულ ჟურნალს გოგირდმჟავას ქიმიური ფორმულის სახელი ?
- ვინ იყო გრიგოლ აბაშიძე ?
- ვინ იყო გრიგოლ რობაქიძე და რას ნიშნავს „გველის პერანგი“?

და ბაბუაც შეძლებისდაგვარად ცდილობდა აეხსნა ჩვენთვის ყველაფერი.

მან საუბარი გრიგოლ რობაქიძის პიროვნების დახასიათებით დაიწყო და ორიოდ სიტყვით აღნიშნა, რომ მწერლის ლიტერატურული ქმნილებანი მისთვის რამდენადმე გაუგებარი და მიუღებელი იყო. ამასთანავე მითითებდა მის დიდ ორატორულ ნიჭზე, რამაც ვთავის დროზე თვით აკაკი წერეთელიც კი გააოგნა და აღტაცებაში მოიყვანა .

მაშინ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ ქვეწარმავლის იმ პერანგთან იყო ასოცირებული, რომელიც ბავშვობაში არაერთხელ მენახა მაყვლისა თუ ასკილის ეკლებში გაბლანდული. გველი, ჩვეულებრივ, ყოველ წელიწადს იცვლის პერანგს ამ ეკლების დახმარებით.

ერთხელ დარკვეთის წისქვილიდან მომავალი, შიმშილასაგან სულმა რომ წამძლია, ის მაყვალი შევჭამე, რომელზედაც ასეთი პერანგი იყო გაბლანდული. დედა იქვე, ჩვენი სახედრის-ბუდრუგანას წინ იდგა, ისვენებდა და თან ჩემი ტრაპეზის დამთავრებას ელოდებოდა. რამდენიმე წუთში თვალთ დამიბნელდა და დღესაც არ ვიცი სახლამდე როგორ ავაღწიე. დედამ მისვლისთანავე ძროხა მოწველა, უმი რძე დამალევინა და სიკვდილისაგან მიხსნა.

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გრ.რობაქიძის რომანის სათაური ჩემს ბავშვურ ფსიქიკაზე ერთობ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა.

გასული საუკუნის 70–80 იან წლებში საქართველოს მწერელთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთავარ მხატვრად მუშაობის დროს ხშირად მიხდებოდა ხოლმე ლადო ჯაფარიძის ოჯახში მისვლა, როგორც სამსახურებრივ საკითხებთან, ისე მის

ბრწყინვალე “მოგონებათა” რედაქტორობასა და გამოცემასთან დაკავშირებით. ბატონი ლადოს ოჯახში თითქმის ყოველდღე ნახავდით გრიგოლ რობაქიძის დას, ქალბატონ ლიდას, რომელიც მისვლისთანავე იწყებდა ვაივიშსა და მოთქმას უცხოეთში გადახვეწილი სახელოვანი ძმის თაობაზე. ლიდა საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი და ენერგიული ქალი იყო. ჩვენგან თითქოს რეალურ დახმარებასა და თანადგომას მოითხოვდა. უთუოდ თავის ნუგეშინისმცემლად გსახავდა. და ჩვენც იმედის გრძნობით ვათბობდით მის გაუნელებელ წუხილს. თითქოსდა ენამ გვიყვივლო, მალე ეს ბედნიერი დღეც გათენდა მისთვის, მაგრამ თავად მოესწრო თუ არა ქალბატონი ლიდა ძმის აღდგინებას, ეს მე უკვე აღარ ვიცი.

ერთ მშვენიერ დღეს ლიდამ გრიგოლის მიერ მისადმი მიძღვნილი ლექსი გადმომცა საჩუქრად და ამასთან მისივე გამოქვეყნებული წერილების მიტანასაც შემპირდა, მაგრამ რატომღაც ეს არ მომხდარა.

ბაბუა იპოლიტე გრიგოლ რობაქიძეს მხოლოდ მისალმებით თუ იცნობდა. სხვა მხრივ არაფერი არ აკავშირებდა მასთან, პირიქით: კრიტიკულადაც კი იყო განწყობილი მისი შემოქმედების მიმართ და ეს განწყობა გამოაქვეყნა კიდევ გაზეთ “საქართველოს” 1918 წლის მეოთხე ნომერში სათაურით: “წინაპარნი და მამამთავარნი ფუტურისტებისა“. იმავე გაზეთის იმავე წლის 48-ე ნომერში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის საპასუხო წერილი: “შეფერილი სმენა“.

სწორედ ამ პაექრობას ეძღვნება ფილოლოგ ნუგზარ გულორდავას ვრცელი წერილი: “იპოლიტე ვართაგავა და გრიგოლ რობაქიძე“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ “კრიტიკის” 1980 წლის მე-4 ნომერში. მისივე საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მან შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში დაიცვა, მთლიანად იპოლიტე ვართაგავას შემოქმედებისადმი მიძღვნილი.

გრიგოლ რობაქიძისა და იპოლიტე ვართაგავას ამ ლიტერატურული პაექრობის შემდეგ თითქოსდა მათ შორის ყოველგვარი კავშირი უნდა გაწყვეტილიყო, მაგრამ საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა: 1962 წელს ბაბუა იპოლიტეს დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით,

ჩვენმა ოჯახმა გრიგოლის მიერ ქუჩივიდან გამოგზავნილი მისალმონი წერილი მიიღო, რომელიც ჩვენს მიერ გამოქვეყნდა ჟურნალ “კრიტიკის: 1988 წლის მე-4 ნომერში, პატარა შესავალ წერილთან ერთად, სათაურით: “ნახევარი საუკუნის მერე“.

ლადო ჯაფარიძის თხოულებათა შორის გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილ მოგონებას, თავისი ამომწურავი და პორტრეტული სრულყოფილებით, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. იგი ჩემს შესავალ წერილთან ერთად დაიბეჭდა ჟურნალ “განთიადის” 1988 წლის იანვარ-თებერვლის ნომერში, ხოლო 2004 წელს – ლადო ჯაფარიძის “მოგონებების” დიდ კრებულში, როლმის რედაქტირებისა და მომზადების საქმეში მე და ჩემს ძმასაც საკმაოდ დიდი ამაგი მიგვიძღვის.

სწორედ ამის გამო წერდა ბატონი ლადო თავისი წიგნის ერთ-ერთ ქვეთავში: “ჩემი მეგობრები და ხელის შემწყობნი, ჩემი “მოგონების” წერის შეფები”: “გულწრფელი სიყვარულის გამო დავალებული ვარ აგრეთვე ჩემი ძვირფასი ორი “აიაქსისაგან”. ესენი არიან ტყუპი ძმები – ტარიელ დაავთანდილ ვართაგავები, შვილიშვილები ცნობილი ლიტერატორისა და კრიტიკოსის იპოლიტე ვართაგავასი. იშვიათი ქართველი ახალგაზრდები არიან – მშრომელები, პატრიოტები,

მხატვრები, პოეტები, ჟურნალისტები, საზოგადოებისათვის სასარგებლო ახალგაზრდები“.

ტყუპი ძმები ლადო და გრიგოლ ჯაფარიძეები, გრიგოლ რობაქიძის ახლო მეგობრები იყვნენ. მწერალი მუდამ აღფრთოვანებული იყო მათი არაჩვეულებრივი მსგავსებით.

გრიგოლ რობაქიძე დიდხანს იყო მოღალატის სახელით შერაცხული კომუნისტური რეჟიმის მიერ. მაგრამ სულ სხვას წერს ბატონი ლადო თავის “მოგონებებში”: “გრიგოლ რობაქიძე არათუ მოღალატე, უდიდესი პატრიოტი გახლდათ საქართველოსა, ქართველი ხალხისა, მისი წარსულისა და მომავლისა, მისი დიდი კულტურისა და მწერლობისა”.

ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გავიხსენო 1974 წელი, როდესაც ლადო გუდიაშვილის რედაქტორობით გამოცემული ჩვენი ნახატების სამენოვანი კატალოგის განადგურების შემდეგ, მხატვართა კავშირში მისულს, მისმა ერთ-ერთმა მდივანმა – ქუთათელაძემ მე და ჩემს ძმას გრიგოლ რობაქიძის იარლიყი მოგვაკერა, როგორც სამშობლოს მოღალატეებისა.

და ეს იკისრა იმ კაცმა, ვის ქალიშვილსაც მუსიკას ასწავლიდა ჩემი პირველი მეუღლე, აწ გარდაცვლილი ლინა ბეგიშვილი.

ტყუპი ძმის გარდაცვალების შემდეგ, ლადო ჯაფარიძე ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ მისი ამა ქვეყნიდან წასვლით თითქოს ცალი თვალით დავბრმავდიო. იგივე სიტყვები გაიმეორა მან 1967 წელს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საქართველოს ტყუპთა შეკრების დღეს.



იპოლიტე ვართაგავა შვილიშვილებთან -ავთანდილ და ტარიელ (მარჯვნივ) ვართაგავებთან ერთად 1945წ.

აი, მეც ეს სიტყვები მახსენებენ თავს, როდესაც ჩემი ტყუპი ძმის სახელს ვიხსენებ. 2008 წლის 13 აპრილს ავბედითმა დღემ სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს, ჩვენ, ვინც საკუთარი შეკითხვებით გულს


ვუწყალებდით ხოლმე ბაბუა იპოლიტეს, ბუხრის წინ გასაყიდი ქოთნებივით ჩამომჯდარი თმა-ხუჭუჭა და სახეჭორფლიანი ბიჭუნები.

გრიგოლ რობაქიძის ზემოთხსენებულმა წერილმა შთააგონა ბაბუა იპოლიტეს, შეექმნა აღსარებითი ხასიათის წერილი სათაურით: “მხოლოდ სულგრძელობის დასტური”, რომელიც 2005 წელს გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის “ლიტერატურულ მატთანში”.

ეს არის სრული და გულწრფელი პასუხი ჩვენს მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში ბაბუა იპოლიტესადმი მიცემულ კითხვაზე გრუგოლ რობაქიძესთან დაკავშირებით.

ასე გრძელდებოდა კითხვა-პასუხის სადამოები ჩვენსა და ბაბუა იპოლიტეს შორის. ყველაფერი, რის შესახებაც იგი გვიამბობდა, მრავალი ათეული წლის წინათ ჰქონდა ნანახი და განცდილი.

პოეტისა და მთარგმნელის გრიგოლ (გრიშა) დავითის ძე აბაშიძის (1868-1903) პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ სწორედ მაშინ მოგვითხრო დაწვრილებით, როდესაც 1949 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ახლო მეზობლის სანდრო აბდუშელიშვილის ოჯახიდან ჩვენს მიერ დროებით წამოღებული მამაკაცის ფოტოსურათი ვუჩვენეთ. დახედა თუ არა პენსნეთი დამშვენებულ მამაკაცის სურათს, ხოლო მის მეორე მხარეს ვასილ ბეჟანეიშვილისადმი მიძღვნილ ლექსსა და ავტოგრაფს, ბაბუამ თითქმის დაუფიქრებლად განგვიმარტა:



ეს ძველი ქუთაისელი პოეტი გრიგოლ აბაშიძეა. 1903 წელს სრულიად ახალგაზრდა აღესრულა პეტერბურგის სულით დაავადებულთა ვილიეს კლინიკაში და იქვე დაკრძალეს ვოლკოვის სასაფლაოზე რუსი მწერლის მიხაილოვსკის გვერდით. მისი ამა ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, მისდამი მიძღვნილი ვრცელი კრიტიკული წერილი გამოვაქვეყნე 1912 წლის “გრდემლის” პირველ ნომერში.

არც კი დაემთავრებინა სიტყვა, ბაბუა ფეხზე წამოდგა, თაროდან “გრდემლის” ზემოხსენებული წიგნი გადმოიღო და ძმებს თავისი კრიტიკული განხილვა გვიჩვენა.

ბაბუა განაგრძობდა თხრობას: - პოეტის ეს სურათი სანდროს ფოტოალბომში ალბათ მისი ულამაზესი დის, პაშას ყოფილი მეუღლის,

ქუთაისელი ვასილ ბეჟანიშვილის წყალობით თუ მოხვდა, ვისთვისაც პროექტს მიუძღვნია აქ წარმოდგენილი ლექსი.

იმ წუთებში მე და ჩემმა ძმამ სულაც არ ვუწყოდით, რომ აღნიშნული ფოტოსურათისა და პროექტის ავტოგრაფის წყალობით, უკვე მოწიფულობის ასაკში, ერთ დიდ გამოკვლევას დავეწვდით და ჯერ გაზეთ “ჭიათურის მაღაროელის”, ფურცლებზე, მერე კი ჟურნალ “განთიადის” 1988 წლის მაის-ივნისის ნომერში გამოვაქვეყნებდით მწერალ რეზო ჭეიშვილის რედაქტორობის დროს.

ასე რომ ბაბუა იპოლიტეს მიერ დაწვებულ საქმეს, მე და ჩემმა ძმამ 76 წლის შემდეგ დავადგით გვირგვინი.

ჟურნალ „H2 SO4“ – ში გამოქვეყნებულ ფუტურისტულ მასალებს შორის ჩვენს ყურადღებას აკაკი ბელიაშვილის ლექსი იპყრობდა, არა და ჩვენ უკვე მას ვიცნობდით, როგორც ნოველებისა და ბესიკ გაბაშვილისადმი მიძღვნილი რომანის ავტორს. ვიცნობდით, როგორც ჩვენი ახლო მეზობლის, ქორეთელი დომენტი შარვაძის დის შვილს, მწერელ იონა მეუნარგიას შთამომავალს. პატარა აკაკი დროის უმეტეს ნაწილს დედუღეთში ატარებდა, სადაც ვითარებისა გამო მოვევლინა ქვეყანას. მშენებარე და დაუმთავრებელი სახლის გამო, მშობიარობა თავლაში მოხდა. როცა მომავალი მწერალი ბუინეში თამარ ქაჯაიასთან რუსული ენის შესასწავლად დაიარებოდა ხოლმე, უთუოდ ჩვენი სახლის ჭიშკართან უხდებოდა გავლა.

დღეს, იმავე ჭიშკრის ახლოს, ჩვენი სახლის წიგნის თაროზე, შემონახულია ბაბუა იპოლიტესადმი მიძღვნილი აკაკი ბელიაშვილის ნონელების პატარა წიგნი.

ბაბუა იპოლიტეს ამ ფუტურისტული ჟურნალის შესახებ ბევრი არაფერი უთქვამს, რადგან მან თავისი შეუცვლელი აზრი უკვე 1918 წელს ამოწურა გაზეთ “საქართველოს” ფურცლებზე.

იპოლიტე ასევე კრიტიკულად იყო განწყობილი ტერენტი გრანელის შემოქმედების მიმართაც, რის გამოც ორგზის უარი უთხრა პროექტს, შესავალი წერილი გაეკეთებინა მისი ლექსთა კრებულისათვის, ხოლო ჭიათურის თეატრში მისდამი მიძღვნილ საღამოზე მთავარი მოხსენებით გამოსულიყო.

ეს მოხდა 1926 წელს. ჭიათურის ცხრაწლედის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის დროს, სკოლის საცხოვრებელ ბინაში მისულმა ტერენტი გრანელმა, აიძულა ბაბუა იპოლიტე სიტყვით წარმდგარიყო პროექტის თავყანისმცემელთა წინაშე, მოგვიანებით კი ვრცელი მოგონებაც მიუძღვნა მის პიროვნებას, რომელიც ჟურნალ “კრიტიკის” 1989 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნდა სრულად.

დაახლოებით იგივე მოვლენაა ასახული პირადად ჩემს წერილში: “იპოლიტე ვართაგავა და ნიკოლოზ წერეთელი”, გამოქვეყნებული 2007 წლის ჟურნალ “ლიტერატურა და ხელოვნებაში”. ნიკოლოზ წერეთელი – პროექტი და დრამატურგი, ტერენტი გრანელის უახლოესი მეგობარი, იყო ის პიროვნება, ვისი თაოსნობითაც ჩატარდა ზემოთაღნიშნული შეხვედრა ჭიათურის თეატრში.

პირადად ჩემთვის და ჩემი ძმისთვის ტერენტი გრანელის ლექსთა კრებული მუდამ სამაგიდო წიგნი იყო და ასეთად დარჩება მუდამ.

ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ გრანელის პოეზიის მარტოოდენ მკითხველები. მისი ლექსების შთაგონებით რამოდენიმე ფერწერული ტილო გვაქვს შექმნილი, მათ შორის ჩემი ნახატები: “მე რომ გაფრენა არ შემიძლია” და “არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც

სხვა”. ორივე ტილო დღეს იტალიაში, კროს კოლექციაშია დაცული ჩვენს 50 ფერწერულ ნახატთან ერთად.

ტარიელის ყალბის ეკუთვნის კომპოზიცია “საფლავიდან გაქცევა” და პირადად პოეტისადმი მიძღვნილი გრაფიკული ნახატების სერია.

...

ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებამ პირადად მე და ჩემს ძმას სრულიად ახალი სამყარო გადაგვიშალა, რამაც მოგვიანებით არა ერთი და ორი წერილის შექმნა გვიკარნახა. ბაბუა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც აღნიშნული წერილები ზედიზედ ქვეყნდებოდა გაზეთებში: “თბილისის უნივერსიტეტი” და “სოფლის ცხოვრება”, ჟურნალებში: “ლიტერატურული აჭარა” და “საბჭოთა ხელოვნება”.

ტიციან ტაბიძის მეუღლის, ნინო მაყაშვილის სულგრძელობის წყალობით საშუალება მოგვეცა დაგვებეჭდა მისი თანამეცხედრის გამოუქვეყნებელი ლექსები და საქმიანი მიმოწერები რუს ავტორებთან, ასევე პაოლოს ნიტა ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსი და რამდენიმე იშვიათი ფოტო.

ჭყვიშში ყოფნის დროს 1961 წ. მე და ჩემმა ძმამ მოვინახულეთ გალაკტიონისა და ტიციანის სახლ-მუზეუმები, მათი კარ-მიდამო და შემოგარენი. ტიციანის ძმამ, ბატონმა სიმონმა ღირსეული პატივი მოგვაგო ჩვენ: ცხელ-ცხელი თონეულით, ყველით, მწვანილითა და თეთრი ღვინით დაამშვენა სახელდახელო ტრაპეზე. გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათებიც.



უკან დაბრუნებულებს, სამტრედიის რკინიგზის სადგურის რესტორანში, კიდევ ერთი, სიყვარულით სავსე ტრაპეზე გველოდა თურმე.

ჭყვიშის ახალგაზრდობამ ჩვენ, როგორც გალაკტიონისა და ტიციანის წმინდა სამოსახლოთა იმდღევანდელ სტუმრებს, არაჩვეულებრივი შეხვედრა და სუფრა გაგვიმართა.

როდესაც 1970 წლის შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი სამდინარო ექსპედიციის ხომალდი - “ოქროს საწმისი”, მდინარე რიონზე, გალაკტიონის ეზოს სიახლოვეს გაჩერდა, მეზღვაურთა შორის ბატონ სიმონს თურმე პირველი მე და

ჩემი ძმა მოუკითხივართ, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო, ჩვენ იქ უკვე აღარ ვიყავით.

**ამერიკულ კალოშებში ჩამდგარი მოხუცი და საუბარი საჩხერის
“იარმურკაზე” მიმავალ მგზავრებთან**

ზამთარში ბუხართან დაწყებული ლიტერატურული საუბრები ზაფხულის დღეებში ყანაში ან ძველის-ძველ, აბეჩხარ ვენახშიაც გრძელდებოდა ხოლმე.

უზარმაზარ ამერიკულ კალოშებში ჩამდგარი მოხუცი და მისი მამითადის დამამშვენებელი ტყუპი ბიჭები, იწვევრად დაგებულ თოხებით ვერკინებოდით სიმინდისა და კარტოფილის მოზრდილ ყანას.

ჩვენთან თანაფარდობაში ბაბუა იპოლიტე ნამდვილი მთა კაცი იყო, მაგრამ ჩვენ უფრო მარჯვედ ვიქნევდით თოხებს. ბაბუა თავის გათოხნილ სიმინდის ყანას ამერიკული კალოშებით ტკეპნიდა და აშანდაკებდა, ჩვენ კი უკნიდან მივდევდით ფეხდაფეხ და ხელახლა ვამუშავებდით მიწას.

მოხუცი ჩვენს ქმედებას ოდნავ ყურადღებასაც არ აქცევდა და ქართველი მწერლების ლიტერატურულ გმირთა აჩრდილებთან ლაციციით იქცევდა თავს. მოკლედ, ბაბუა იპოლიტეს ამ გმირთა მთელი არმია შემოჰყავდა ჩვენს სახლში, აივანზე, ეზოში, ყანაში და ღმერთმა უწყის კიდევ სად, ლამის მკვდრებით აღადგენდა მათ და ფრესკებით გვიხატავდა თვალწინ.

უნდოდა არ უნდოდა, დედაც ამ პროცესების უშუალო თანამონაწილე ხდებოდა, როგორც მსმენელი, შემფასებელი, ბაბუის თხზულებათა გადამწერი და მისი მომვლელ-მზრუნველი მრავალი ათეული წლის მანძილზე.

ბაბუა იპოლიტე თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, ბევრი რამით იყო დავალებული დედასაგან. და ისიც თავის მხრივ გრძნობდა რძლის დამსახურებას შვილებისა და საერთოდ მთელი ოჯახის წინაშე. რომ არა დედა, ჩვენი სახლი ალბათ სამუდამოდ გაცივდებოდა, ვეება ეზო და კარ-მიდამოც უპატრონობით გაუდაბურდებოდა.

დედის წყალობით ჩვენს ოჯახს არასოდეს არ აკლდა ძროხა, ხარები-კუდვარდა და ნიკორა, სახედარი, ღორი, კურდღელი, ქათამთა და ინდაურთა მთელი ფერმა, რის გამოც სოფელში ჩამოსული მოხუცი მუდამ უზრუნველყოფილი იყო ნატურალური რძით, ყველით, კვერცხით, ხაჭაპურით, ხორცეულით, ყურძნით, ხილით, ღვინითა თუ ბოსტნეულით.

სულიერთაგან დედა ყველას თავისი სახელით ნათლავდა: ძროხას დეირანი ან ჯენი ერქვა; უშობელს-ჭრელა, სახრე მოზვერს-ლომა, სეხედარს-ბუდრუგანა, მამალს-ყოდუმა და ა.შ.

მრავალი ათეული წლის შემდეგაც კი ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის არა მარტო ეს სახელები, თვით მათი ფიზიკური მონაცემებიც კი.

ვიდრე ბაბუა იპოლიტე მე და ჩემს ძმას ყანაში შემოგვიერთდებოდა ხოლმე, დეირანის ბაწარს ხელს ჩაჰკიდებდა და მას ყანის ნაპირ-ნაპირ დიდხანს ამოვებდა ხოლმე. თავად ხავსიან ყორეზე ჯდებოდა და საჩხერისკენ მიმავალ მგზავრებს ათასგვარ შეკითხვებს აძლევდა,

აინტერესებდა საჩხერის ბაზრის ამბები.

ადრე ტოპონიმი “ბაზარი” საჩხერის ზოგადი, საერთო სახელი ყოფილა თურმე, რაიც ქორეთის საშუალო სკოლის ცნობილი აღმზრდელისა და ისტორიკოს-მკვლევარის მიხეილ გოგატიშვილის მიერ იქნა დადასტურებული.

თავად სავაჭრო თავშეყრის ადგილს კი ხალხი “იარმუკას” ეძახდა.

-იარმუკაზე მივდივარ, ბატონო იპოლიტე, - პასუხობდნენ ბაბუას ფეხით მიმავალი ტვირთმძიმე მგზავრები. ამათგან ზოგი “იპოლიტ პეტროვიჩს” ეძახდა ბაბუას.

საჩხერის “იარმუკაზე” მიმავალთ წაკითხული რომ ჰქონოდათ უილიამ თეკერის “ამაოების ბაზარი” და მისი ზუსტი რუსული თარგმანი “Ярмарка тщеславия” მაშინ ისინი ბაზრის რუსულ თარგმანს გამართულად მაინც იტყოდნენ. ასევე არც საჩხერის წმინდა ნინოს ეკლესიას მონათლავდნენ “სობოროთი”.

ბაბუა იპოლიტე, რა თქმა უნდა გრძნობდა ყოველივე ამას. შენიშვნებისათვის არც ეცალა არც ისეთი აუდიტორია ჰყავდა, თავისი შეგონებით საქმე რომ გამოესწორებინა. ამასთან თავისი ბრწყინვალე რუსულის ცოდნით არც არასოდეს იწონებდა თავს. როდესაც მეზობლის განათლებული მამაკაცი, სოფელში „ივანიჩად“ წოდებული სანდრო აბდუშელიშვილი, ერთ დროს ჭიათურის შავი ქვის მომპოვებელი გერმანული ფირმის – „გელზენკირხენის“ შტრეიგერი და ძველი კარტოუნიკი, ბაბუა იპოლიტეს სამასლაათოდ ეწვეოდა ხოლმე, ისინი რუსულ-ქართულით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, „ივანიჩი“ - რუსულით, ბაბუა კი მხოლოდ ქართულით, საუბარში ერთ რუსულ სიტყვასაც არ გამოურევდა ხოლმე.

ბაბუა იპოლიტეს პოეტურ-ფილოსოფიურმა საუბრებმა, თავისდაუნებურად, ჩემი დაჩემი ძმის სულში შემოქმედებითი ნაპერწკალი გააღვივა. ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭები ვწერდით პოემებს, მოთხრობებს, პიესებს, ვხატავდით და ვმონაწილეობდით სოფლის დრამატულ წარმოდგენებში. ეს იყო ძიებისა და საკუთარი თავის აღმოჩენის ხანა.

მახსოვს, ჩვენს პოემებს, თუ მათ შეიძლება პოემა რქმეოდათ საერთოდ, ბაბუა იპოლიტეს პირდაპირ ყანაში ვუკითხავდით ხოლმე. ამ “ქმნილებებში” ჩვენი ერთი მეზობლის “საქმენი საგმირონი” იყო აღბეჭდილი. ეს მამაკაცი სინამდვილეში ნამდვილი ნაცარქექია იყო, სიზარმაცის ეტალონი და მუჭში მთქნარების დიდოსტატი.

ბაბუა იპოლიტე მხოლოდ ხარხარებდა და სიცილისაგან ცრემლები დვარ-დვარად ჩამოსდიოდა თვალთაგან და როცა სულს მოითქვამდა, მაშინდა გვეტყოდა:

-ეს რა გიქნიათ ბიჭებო, სოფლის ნაცარქექია ეროვნულ და რაინდად დაგიხატავთ! ხა!ხა!ხა!

და ისე ომახიანად იცინოდა, რომ მისი სიცილი თვით ჩვენს ლიტერატურულ გმირსაც კი თავისუფლად ესმოდა საკუთარ ეზოში.

ეს ის კაცი გახლდათ, ბაბუამ კარტოვილის ყანის მცველად რომ დანიშნა ერთ დღეს. მაშინ გაქანებული ქურდობა მძვინვარებდა და თავისუფლად შეიძლებოდა მთელი ჩვენი მოსავლის პირწმინდად გასუფთავება. ამის გამო, ჩვენი მარჩენალი ძროხა სახლში, ე.წ. ბაბუას ოთახში გეყავდა დაბინავებული.

ჰოდა, სწორედ იმ კაცის, ვაი ყარაულის ხელში გაიქურდა ჩვენი ყანა მთლიანად, რის შესახებაც პირადად უამბო ბაბუა იპოლიტეს, მწუხარე რაინდის სახით:

-ბატონო იპოლიტე, წუხელ ჩემს ძილში მთელი თქვენი კარტოფილს ყანა გადაუთხრიათ, შენ ხარ ჩემი ბატონი!

-ნეტა ვის უნდა ჩაედინა ეს არასაკადრისი საქციელი? – აქეთ დაუსვა კითხვა ბაბუა იპოლიტეს.

მერე და როგორი გასაგონი უნდა ყოფილიყო ბაბუასთვის ეს სიტყვები, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ .

და აი, მე და ჩემმა ძმამ ასეთი პიროვნება ნამდვილ ეროვნულ გმირად დავსახეთ.

მე ახლაც ვწუხვარ, რომ ჩვენი ყრმობის დროინდელი “ქმნილებანი” ცეცხლს მივეცი და არ შევუნახეთ საკუთარვე მეხსიერებას.

სამაგიეროდ შემოგვრჩა საჩხერელი შაშიკო ურიას მიერ გადაღებული ფოტო – ბაბუა იპოლიტესა და მისი ჭორფლიანი ბიჭების გამოსახულებით. სამთავე თოხებით ადჭურვილნი, მოხუცი კი ინგლისურ შარვალზე დადებული უზარმაზარი საკერველით.



მეორე – კოლია დარბაიძის შვილიშვილის მიერ გადაღებული ფოტო. ჩემი და ჩემი ძმის ჭაბუკობის დროის ერთ-ერთი დაუვიწყარ მომენტს აღბეჭდავს: ორთავეს ისეთი დაკონკილი მოკლეთათებიანი შარვლები გვაცვია, რომელთა ნახვისას ახლაც კი, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, კბილებში ოფლი მდის ხოლმე. ამ ფოტოს ავტორის მამაც, სარეკელი კარპოზ გაფრინდაშვილი, ჭიათურაში მოღვაწე ფოტოგრაფი იყო.

ჩვენი “საუცხოო” გადერობი მხოლოდ მაშინ განახლდა, როდესაც ბეზობლის ქალმა ახალი, გრძელთათება შარვლები შეგვიკერა. იმ ქალს დონიკა ერქვა სახელად. ძველი კომუნისტი და სეჩხერე-ჭიათურის 1924 წლის აჯანყებულთა დამსჯელ-ინკვიზიტორთა “ბანდის” ერთ-ერთი მონაწილე იყო. მაშინ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით, თორემ მის შეკერილ შარვლების ტარებაზე უარს ვიტყოდით.

პირველი ქმარი საცერაძე ჰყოლოდა და ამ გვარს დონიკა რაღაც არტისტული ტონით წარმოთქვამდა და ამას ისეთი ჟესტიკულაციით იძახდა ხოლმე, გეგონებოდათ ქმარი ბაგრატიონი ჰყავდა.

სოფელში ყოფნის დროს, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა ხოლმე, ბაბუა ხშირად თავისკენ მოუხმობდა ხოლმე უბრალო, მიწასთან მორკინალ თუ გუთანს შეჭიდებულ მამაკაცებს, როგორებიც იყვნენ: ეროსტი ნადირაძე, ძმები კოლია, სანდრო და ვალიკო დარბაიძეები, კაცია ფარქოსაძე, ამბროსი და სანდრო აბდუშელიშვილები, დომენტი შარვაძე, დომენტი ბიჭაშვილი, ზაქარია მოდებაძე და მისი ორი მეზობელი, დიდი და პატარა პეტრე რაზმაძეები.

ყველა მათგანი უდიდესი მოკრძალებითა და თაყვანისცემით იყო განწყობილი ბაბუა იპოლიტეს მიმართ.

ზემოხსენებულ პირთაგან, კაცია ფარქოსაძე ერთ-ერთი მშრომელი და შეძლებული პიროვნება იყო. ბაბუას პირზე ეკერა მისი სახელი და არაერთხელ უთქვამს იმ ტრაპეზის შესახებ, რაიც კაციამ აბდუშელიშვილთა ახალ სიძეს – იპოლიტესა და მისი მეუღლის ნათესავებს მოუწყო ფარქოსაძეების უბნის მიდამოებში საკუთარი მამულების დათვალიერების შემდეგ. ამ პიროვნების სახელს დღესაც მოწიწებით წარმოთქვამენ პასიეთის იმ უბანში, სადაც გასული საუკუნის 50-60 იანი წლებში არქეოლოგმა ოთარ ჯაფარიძემ უმდიდრესი და უნიკალური ყორღანი გათხარა.

ამბროსი ექვთიმეს ძე აბდუშელიშვილიც ღირსეული ადამიანი გახლდათ. სწორე დამან განაპირობა მისი მოხვედრა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში დასაქმებული ბელგიელი ძმების ჰენრიხ და ავგუსტ მიულსების ოჯახში. ძმებმა ინჟინერ ბრალის მიერ აგებული ქარხანა, კერძო ფირმად გარდაქმნეს და მას “დარკვეთის საზოგადოება” უწოდეს. თავადაც დარკვეთში ცხოვრობდნენ და იმავე სოფლის უძველესი ეკლესიის სასაფლაოს მშობელი მამის ცხედარი მიჰკერძეს.

ამბროსი მათი მზარეული იყო და ძმებს იმდენად უყვარდათ იგი, რომ მათ შორის ნათელ-მირონობაც დამყარდა. ავგუსტმა ამბროსის უფროსი ვაჟი ტარიელი მონათლა. მოგვიანებით კი ცოლად პერევისელი ქვრივი ქალი შეირთო.

ამბროსის, როგორც ცხოვრებით დაბრძენებულ კაცს, ბაბუა ბევრ რამეს ეკითხებოდა ხოლმე. ამასთან დიდ სუფრებზე საპატიო სტუმრადაც იწვევდა ხოლმე.

მე ახლაც თვალწინ მიდგას ამ კეთილშობილი კაცის სახე. თითქოს ახლაც ყურში ჩამესმის მისი საყვარელი სიმღერები:

მე რათ მინდა ფული ანდა ქონება,
თუ ძმაცაი გვერდში არ მეყოლება.

და მეორეც :

სანამ ცოცხალ ვარ, ვატარებ გულის კარებსა ღიასა,
მოკვდები, გაუხარდება სამარის შავსა ჭიასა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ქორეთელი დომენტი გიგოს ძე შარვაძე ჭეშმარიტად კოლორიტული ფიგურა იყო: ძველი რევოლუციონერი, შარვაძეების სახელგანთქმული მარნების ერთ-ერთი შემოქმედთაგანი, დიდ-მევაზე, მწერალ აკაკი ბელიაშვილის დედის ძმა, ნამდვილი მთა-კაცი, მამასავით მჭერმეტყველი, ბრძენი, ღირსეული მეუღლისა და შვილების მამა.

ახლაც მახსოვს დიდვლის ციხის ფერდობზე გადმომდგარი, ხელჯოხს დაყრდნობილი და დამრეც ფერდობზე მძიმე-მძიმედ ჩამომავალი მისი

სხეული. ასე მიემართებოდა ხოლმე ბაბუასთან სამასლაათოდ და ყურის გემოს დასატკობად.

მისი ძველთა-ძველი მარანი, ღვინით სავსე უძირო ქვევრები და კაცის სიმაღლე ცაცხვის საწნახელი, დომენტის ოჯახის სიუხვისა და ტრადიციული ქართული გემოვნების სიმბოლოდ აღიქმებოდა.

ჯერ კიდევ ყმაწვილები ვიყავით მე და ჩემი ძმა, ამ მარანში რომ მოვხვდით ბაბუა იპოლიტეს მიერ დომენტისაგან ნაყიდი ღვინის წამოსაღებად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს ძე კაცისა კი არა, ზღაპრული დევ-კერპების ნახელავი იყო.

დომენტი შარვაძის დღემდე შემორჩენილი ბადის სიახლოვეს, მისგან აღმოსავლეთით, ბუჩქნაპირ აბდუშელიშვილთა ახალ სიძეს – იპოლიტე ვართაგავას სამოსახლო ადგილი ჰქონია შერჩეული. ვინ მიუთითა ეს სამოსახლო ან რატომ გადაიფიქრა იქ დამკვიდრება, ამის შესახებ დღემდე არაფერი ვიცი.

შვიდი წლის მანძილზე, ქორეთის სკოლაში სწავლის დროს, მე და ჩემს ძმას დომენტის ბადის წინ გვიხდებოდა გავლა, მაგრამ ერთხელაც კი არ გვიგემნია იქ მოწეული ვაშლის გემო. როგორც ჩანს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ბატონ დომენტის და როცა სიბერის უამს სკლეროზით დაავადდა და შვილებმა თბილისში წაიყვანეს მოსავლელად, ოჯახის წევრებს გული გაუწყალა თურმე აკვირებული შეძახილებით: ტარიელ, ავთანდილ, ტარიელ, ავთანდილ... და ასე დაუსრულებლივ.

გაირკვა, რომ ამ სახელთა მიღმა, მე და ჩემი ძმა ვიგულისხმებოდით თურმე. მძიმე სენით შეპყრობილ მოხუცს კიდევ ვხსოვდებოდა ჩვენი წარსულისა და უმწიკვლოების გამო.

...

ყველა ზემოხამოთვლილ მამაკაცთა გამოცდილებასა და რჩევებს ბაბუა მუდამ ანგარიშს უწევდა, რამეთუ ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბუნების წიაღში ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და ცხადია მშვენივრად იცოდნენ მისი ენა და საიდუმლოება.

მეზობლური სიახლოვის გამო, ბაბუა უფრო ხშირად ძმებს – კოლია, სანდრო და ვალიკო დარბაიძეებს უხმობდა ხოლმე. განსაკუთრებით კი უფროს ძმას კოლიას, რომელსაც ხუმრობით “კოლემენის” ეძახდა.

კოლია ნამდვილი ამირან-ზღაპარი იყო, მშრომელი, პურადი, მომხმარე, ენა მოსწრებული და სატირულ ლექსთა უბადლო შემთხვევლი. როცა მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი მიშიკო, ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა, აწ უკვე მძიმე სენით შეპყრობილი ახალგაზრდა, პირადად ბაბუა იპოლიტემ ჩამოიყვანა თბილისში. სამწუხაროდ მკურნალობა უკვე დაგვიანებული იყო და უბედური მალე გარდაიცვალა. ბაბუამ იგი ვერის სასაფლაოზე, თავისი ვაჟიშვილის გვერდით დაკრძალა.

თავად კოლია ჯერ კიდევ უღვაშებ-დადოშვილი ახალგაზრდა იყო, ცოლი რომ დაედუპა და ამის შემდეგ მარტოდ-მარტომ გაზარდა ობლად დარჩენილი ოთხი ქალ-ვაჟი. გაგონილი მაქვს, მიწისძვრის დროს, კოლიას ერთი ბავშვიანი აკვანი ყანის თავში ედგა, მეორე კი მხრებზე ეკიდა და ისე მისდევდა კუდიან გუთანსო. სწორედ ამ ამბის შთაგონებით დავხატე ერთი მოზრდილი ფერწერული კომპოზიცია, მაგრამ უფრო ადრე დავწერე ლექსი სათაურით: “ნუ იტყვი შენზე ბერიკაცობას”, რომელიც 1964 წელს გამოქვეყნდა გამომცემლობა “ნაკადულის” მიერ დაბეჭდილ ლიტერატურულ კრებულში – “ახალგაზრდობა”.

ამგვარად, კოლია შეიძლება ჩემს ლიტერატურულ გმირადაც კი მივიჩნიო. გამომდინარე აქედან, შემთხვევითიც არ ყოფილა ჩემი საგაზეთო წერილის სათაური: “ჩემი პოეტური გმირის სიკვდილი”, რომელიც კოლიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა საჩხერის რაიონულ გაზეთში.

ჩემი ზემოხსენებული ლექსი პოეტ შოთა ნიშნიანიძეს, რატომღაც ბაბუა იპოლიტესადმი მიძღვნილი ეგონა, მაგრამ არა. ბაბუა უფრო ელიტური პიროვნება გახლდათ, კოლია დარბაიძე კი სულ სხვა აყალოსაგან იყო ნაძერწი. თავად განსაჯეთ ლექსის მიხედვით:

“ნეტავ, ბებერო, ამ სიმღერაში
არ გამეგონა შენი ვედრება,
ხარ შეწირული თეთრი კურატი
და ოთხმოცი წლის ხარ შედედება!
ჯერ საუკუნე უნდა მოჭამო,
ხესავით ნუკი დანაფოტდები.
არ დაგშრობოდეს წყაროსთვალავით
მაგ შენი სისხლის კალაპოტები!
რამ დაგაბერა, ბებერო ხარო,
ვითომ ჭიდილში რქები დაგაძრეს.
დევეს ზურგით მიწას მოახვეტინებ,
ვერც დაგაჩოქებს და ვერც დაგაწვენს.
არ ჩაგდგომოდეს მუხლებში წყალი,
დაეცი კლდეებს, როგორც ხირიმი
და ხანჯალივით ალესილ უღვაშს
დაადე შენი ბაგის ღიმილი.
წადი და მთაში გაიშლიგინე,
ქვა დააგორე, დათვი გჰასრისე,
ღრუბლის ოდენა მუხა მოგლიჯე
და ვარსკვლავებით გუდა გაივსე!
შიოს მარანიც ვედარ დაიტვეს,
რაც შენ კათხები აგიწევია,
თოფის კერძი ხარ და დათვის ლუკმა,
შენით სიკვდილი არ გიწერია.
ნუ იტყვი შენზე ბერიკაცობას,
არც გამაგონო შენი ვედრება,
ხარ შეწირული თეთრი კურატი
და ოთხმოცი წლის ხარ შედედება.”

მკითხველმა თავად განსაჯოს, ვის უფრო ერგება ამ ლექსის ყალიბი.

როცა ბაბუა იპოლიტეს საკერველ დადებული შარვალი და უზარმაზარი ამერიკული კალაშნიკი ეცვა, მაშინ ის ჯერ კიდევ ჯანდონით აღსავსე იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოხუცებულობამ თავის ქნა და ძალმოსილებისაგან განმუხტა.

სწორედ ამის გამო, ერთგვარი სინანულითა და ნოსტალგიით აუწყებდა იგი თავის ძვირფას, საყვარელ და ტკბილ მეგობარს, ლადო ჯაფარიძეს, მაგრამ გულს მაინც არ იტყებდა და იმედნეულად წერდა: “მე მინდა ჩემი ეზო მომავალში უფრო გალამაზდეს, დიდი ხეებით დაიჩრდილოს. რა ვუყოთ, რომ მე ვერ დავტკბები მისი სილამაზით, ვერ


გავგრილდები მათ ჩრდილში. დაე ამით დატკბნენ ჩემი ქალიშვილი, შვილიშვილები და ჩემი მოდგმა”.

ამ სიტყვებს 91 წლის მოხუცი 1961 წლის 20 მაისს წერდა ბატონ ლადოს, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა და მომავლის იმედით ცხოვრობდა, რამეთუ, როგორც იტყვიან, სადაც იმედი იწურება, იქ ყველაფერი მთავრდება.

თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი

სიამაყით შეიძლება ვთქვა, ჩემი სოფლის სახლი, ოდითგანვე დაგვიანებულ და გაჭირვებულ მგზავრთა ნავსაყუდელი იყო და არის დღესაც. ამის მიზეზი მისი სამანქანო გზასთან სიახლოვეა და მეორე, ჩვენი დაუყვედრებელი თანაგრძნობა საურველ, გადაღლილ, თუ სასოწარკვეთილ ადმიანთა მიმართ.

ვინ უწყის, რამდენი ადამიანი გადაგვირჩენია მოსალოდნელი ხიფათისაგან. მიგვიღია, დაგვიპურებია და მეორე დღეს საღ-საღამათი გაგვიშვია თავის გზაზე. ასეთი რამ უფრო მეორე მსოფლიო ომისა და მის მომდევნო წლებში ხდებოდა ხოლმე. ახლა ეს ყველაფერი სიზმარსა ჰგავს, მაგრამ მაშინდელ შეჭირვებულთა მდგომარეობა ნამდვილად სიკვდილის ტოლფასი იყო.



ვართაგაგების სახლი სოფ. ბუინევში, ჭიათურის რ-ნი.
1965წ. ავთანდილ ვართაგავას ფოტო.

მასსოვს, ზამთრის ერთ ქარბუქიან ღამეს, ვიღაც მამაკაცის განწირული და არაადამიანური ხმა, რამაც ყველას ანგელოზები დაგვიფრთხო და საგონებელში ჩაგვაგდო. კარგა ხნის შემდეგ, ჩვენ გარეთ გასვლა და ვითარების გარკვევა გადავწყვიტეთ.

ღედა ღამით გაგვიძღვა წინ და ჩვენც ფეხაკრეფით გაყვევით უკან. ღედა, მე, ტარიელი და მეგი ერთიანი ძალით ვაწვებოდით თოვლით ამოქოლილ მუხის მძიმე კარს, მაგრამ ამაოდ. როდი-როდის გარეთ გავადწიეთ და აივანზე ვიღაც მამაკაცის ნახევრად გაყინული სხეული დავინახეთ. ხის მორივით შევათრიეთ ბუხართან და მის მკვდრეთით აღდგომას შევუდექით. თოვლით ვუსრესდით გაყინულ ხელებსა და თავპირს და ასე თანდათან დაგუბრუნეთ სული მის ნახევრად უგრძობ სხეულს. ჩვენდა მოულოდნელად, სიკვდილს გადარჩენილი ახალგაზრდა კაცი, ქორეთელი, მადაროს მუშა ბიძინა დუღუნიშვილი აღმოჩნდა. ის ღამე მან ჩვენთან გაათია.

რამდენიმე დღის შემდეგ, ნიშნად მადლობისა, ბიძინამ რკინის პატარა ნაჯახი გვისახსოვრა, რისი შოვნაც მაშინ თითქმის შეუძლებელი იყო.

მეორე შემთხვევა ასე იყო:
სოფელ-სოფელ მოსიარულე ებრაელი მართალია გაყინული არ მიგვიღია სახლში, მაგრამ შედამებისა და დიდი თოვლის გამო, მისი საჩხერეში გასვლა მაინც შეუძლებელი იყო. გათენებამდე ბუხარში შემძვრალმა, ვახშამზეც უარი გვითხრა და ლოგინში მოსვენებაზეც. მთელი ღამე გაუთავებლად მოთქვამდა: “ვაიმე, ცოლ-შვილო გიკვდებიით!”.

ღმერთო ჩემო, ან რას მოსთქვამდა ან რას კენესოდა, როცა უბატონოდ არავის გაუცია ხმა. დილით ადრიანად წავიდა ჩვენგან.

არ დამავიწყდება ჯვალის ტომარაში გამოწყობილი მათხოვარი გოგონა, რომელსაც დღეების მანძილზე სახლში ვინახავდით ხოლმე. როგორც ჩანს საცვალი არ ეცვა და ტომარა ქვემოდან ჰქონდა შეკრული “ბულავკით”. ერთხელაც, ჭადის ქურდობისას მივუსწართ ოთახში. შეშინებულმა ფანჯრის მუშა გატეხა, გადახტა და გაიქცა, ჭიშკართნ შედგა, ჯვალის ტომარა ქვემოდან გაიხსნა, მადლა აიწია და ჰოი, ღმერთო მადლო! გოგონას ნაცვლად ბიჭი შეგვრჩა ხელში. არადა სკინდორელ შუკაკიდის გოგოდ გვისადებდა თავს.

მას შემდეგ ჩვენთან ფეხი აღარ დაუდგამს. აღარც მისი ასავალ-დასავალი გაგივივია სადმე.

ხშირად შორეული მეზობლის კეთილი ქალისათვის, ღედას ერთადერთი ჭადი შუაზე გაუყვია და ისე გაუსტუმრებია უკან. ეს ქალი დაოთხილი შემოდირდა ეზოში, ასევე ოთხით გადიოდა ჭიშკარში და მხოლოდ იქ დგებოდა ფეხზე, რათა ითხვისის ნათლისმცემლის ეკლესიისათვის მადლობა ეთქვა იმ უღუფისათვის, რაიც ღელაჩემმა უწილდა მას და მის გაჭირვებულ ოჯახს.

მთელი ტომის დაწერა შეიძლებოდა იმ ავადსახსენებელ დღეთა გარშემო, მაგრამ უმჯობესია სამუდამოდ დავიწყებას მივცეთ ყოველივე ეს. ღმერთმა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ნუ აჩვენოთ ის, რაც ჩვენ ოდესღაც გვარგუნა ბედმა.

ბაბუა იპოლიტესა და დედის ნაკვალევზე

1957 წელს, უკრაინის ქალაქ მელიტოპოლში სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ, მუშაობის დაწყება ჭიათურაში გადაწყვიტე. ეს მე საშუალებას მომცემდა უფრო ახლოს ვყოფილიყავი სოფელთან და რაც მთავარია მარტოხელა დედასთან. ამასთან მსურდა ბაბუა იპოლიტეს ნაკვალევზეც მევლო, რომელიც მან ჭიათურაში ორგზის სამსახურის დროს დატოვა 1908 და 1924-28 წლებში. ასევე მევლო დედის იმ ნაკვალევზეც, რაიც მისი იქ სწავლის შორეულ დღეებთან იყო დაკავშირებული.



ოდესღაც ბაბუა იპოლიტეს ჭიათურის შავი ქვის მრეწველობასთანაც ჰქონდა ოფიციალური კავშირი, მაგრამ ამის გამო გააჩნდა თუ არა რაიმე ურთიერთობა ჭიათურის შავი ქვის კონცესიონერ ავერელ ჰარიმანთან, ეს მე არ ვიცი. თუ ვერწმუნებით პასიუტელ მელიტონ იოსების ძე აბდუშელიშვილის ზეპირ გადმოცემას, ჰარიმანი და მისი ჭიათურელი რწმუნებული ჟიულ ლაბასი, ულაყებზე ამხედრებულნი, მარგანცის ახალ-ახალი საბადოების ძიების დროს, თითქოსდა მელიტონთანაც ყოფილან სტუმრად და ბუჩინეში იპოლიტე ვართაგავას ოჯახშიც.

ეს ის ჰარიმანია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში.

...

ჭიათურაში ჩასულს, იმედის პატარა ნაპერწკალი მინათებდა მომავლის ჯერ კიდევ შეუცნობ გზაზე. ვიცოდი, რომ “ჭიათურმარგანტრესტის” მაშინდელი მმართველი შალვა შეყლაშვილი, ბაბუა იპოლიტეს ნამოწაფარი იყო ჭიათურის ცხრაწლედიდან, დედაჩემის – ნინო ილიას ასულისა და მამაჩემის – ირაკლის თანაკლასელი. მის გარდა სხვა ნამოწაფართა გვარებიც გამეგონა, როგორებიც იყვნენ: ექიმი მათე გელაშვილი, ინჟინერი ი.დეკანოზიშვილი და მრავალი სხვა, რომელთაც არაერთხელ შევხვედრივარ ჭიათურაში სამსახურის დროს.

ჩემდა საბედნიეროდ, ტრესტის მახლობლად მე გადავეყარე ჩვენს ყოფილ მასწავლებელს ბუჩინეის დაწყებითი სკოლიდან, გარე ბიძაშვილსა და ბაბუა იპოლიტესადმი მიძღვნილი წიგნის – “საუკუნის თანატოლი” ერთ-ერთ კეთილშობილ გმირს – ზურაბ ოქროპირის ძე

აბდუშელიშვილს და მაშინე ჩემი ქალაქში ჩასვლის მიზეზი განუცხადე.

ზურაბმა დახმარება აღმოთქვა და მართლაც მეორე დღიდან, ჩემი საავიაციო ტექნიკუმის დიპლომის საფუძველზე, ქალაქის ელექტროქსელის ტექნიკური ინსპექტორის თანამდებობა დავიკავე, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ჯერ “ჭიათურგაზკანტორის” მთავარ ინჟინრად, შეთავსებით კი მოსკოვის “გიპროუგლემაშის” ჭიათურის ფილიალის ინჟინრად დავინიშნე. ამ უკანასკნელ თანამდებობაზე მე მიმიწვია აღნიშნული ფილიალის დირექტირმა იდეკანოზიშვილმა, რომლის მამაც – გიორგი დეკანოზიშვილი ჭიათურის შავი ქვის წარმომადგენელი იყო ამერიკაში და ვის ოჯახთანაც ბაბუა იპოლიტეს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

ყველა ამ თანამდებობაზე მე მართალია სულ სამი წელი დავყავი, მაგრამ ეს მოკლე დროც მარად კეთილ მოსაგონრად დარჩება ჩემთვის.

სამი წელი ვცხოვრობდი წულუკიძის №3 –ში ბერძენი პედაგოგის, გიორგი კალევრას განათლებულ და ღირსეულ ოჯახში. ამ ოჯახმა რამდენიმე ტრაგიკული გზა განვლო – ტრაპიზონში თურქთა გენოციდიდან დაწყებული, საქართველოში სტალინური რეპრესიებით დასრულებული. მათი რბევა-წიოკობის ბოლო წერტილი შუა აზიაში გადასახლება იყო, სადაც ბატონმა გიორგიმ და ქალბატონმა ქსენიამ, შვილებთან ერთად რამდენიმე წელი მოათიეს.

ჭიათურაში, კალევრას ოჯახში ჩემი ცხოვრების დროს, გიორგის უფროსი ქალიშვილი – ელექტრა უკვე თბილისში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად.

ვაუიშვილი – იოტი ჯერ ქალაქის სახელგანთქმული ფეხბურთელი, მერე კი ადგილობრივი გეოლოგიური პარტიის გეოლოგი გახლდათ.

იოტის უმცროსი და – რინა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო. იგი გამხდარი და სიმპათიური ქალიშვილი იყო. მე ის მომავალ საცოლედ მომწონდა, რის შესახებ გაუუმხილე კიდევ თბილისის ოპერის თეატრიდან გამოსვლის დროს, მაგრამ მან თავაზიანად მომიგო: მეგობრებად დავრჩეთ...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მან ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის ამბულატორიაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი თბილისში, ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში, ჩემი ყოფილი მეზობლის ევსტის ცინცაძის თერაპიულ განყოფილებაში.

რინა რამდენიმე წლის წინ, გულის უკმარისობით გარდაცვლილა თურმე.

საერთოდ საინჟინრო-ტექნიკური დარგი პირადად ჩემი მოწოდება არასოდეს ყოფილა, მაგრამ თუ ჭიათურის სამსახურს სამი წელი შევრჩი, ეს იმ ლიტერატურული გაერთიანების წყალობით, რომელიც გაზეთ “ჭიათურის მალაროელის” რედაქციასთან არსებობდა იმავე გაზეთის რედაქტორის დიგო ტატიშვილის თავკაცობით.

ამ გაერთიანებაში თავმოყრილი იყვნენ ნიჭიერი პოეტები: ითხვისელი გიორგი წერეთელი, აზა(ანა) წერეთელი, ეთერ ჯიშკარიანი, გუგული დეკანოიძე, რუბენ დეკანოიძე, იზო ცარციძე, შამშე აბაშიძე, ბონდო მუშლაძე, თეატრის მსახიობი გივი მოდებაძე და სხვები.

ეთერ ჯიშკარიანის არაერთი ლექსი სიმღერად იყო ქცეული. ჩემი მთარგმნელობით კოლეგიაში მუშაობის დროს პირადად ჩემი წარდგინებითა და პოეტ მიხეილ ქვლივიძის უშუალო თანადგომით, რუსულ ენაზე ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოვიდა ეთერის ლექსთა კრებული.

1958 წელს, თბილისის დაარსების 1500 წლისთან დაკავშირებით, “ჭიათურის მადაროელის” ფურცლებზე, ზემოხსენებულ პროექტთა გვერდით, თბილისისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსიც დაიბეჭდა სათაურით:

“საქართველოს დედოფალი”

საქართველოს დედოფალო, ბაგე ზურმუხტ-ვარდიანო,
ყელწითელა სალამურო, საამურო, მადლიანო,
ტანთ ჩაგიცვამს ოქროს ფარჩა, მოვარდული,
ნაზ-ხატულა,
ხალხის გულში ჩამოდგერილო სიყვარულის ნაკადულად.
დაბადაგდი, დავარსკვლაგდი, ფრთა გაშალე მყინვარებთან,
შენ ვახტანგის გული მოგდევს და თამარის ბრწყინვალება.
გიბრძოლია, მაგრამ ყოჩად, არასოდეს დაუძღურდი,
რქაწითელას მტევანი ხარ, უკვდავებით დახუნძლული.
შენი მტკვარი ჭალებიდან ირემივით მოვარდნილი,
შენი ბუდის ქალ-ვაჟები მოკაზმული ჩიხ-მანდილით.
ერთი გყავდა თამარ მეფე, შუქ-ვარსკვლავა, ქვეყნის თვალი
და მის შემდეგ საქართველოს ხარ მეორე დედოფალი.
დე, არასდროს არ მოგშლოდეს სიყვარული, მეგობრობა,
საქართველოს დედოფალო, მომილოცავს დედოფლობა!

თბილისში ყოფნის დროს, გაზეთის ეს ნომერი ბაბუა იპოლიტესაც წავაკითხე. ის იმდენად აღტაცებული დარჩა, რომ მაშინვე ვაკეში, სანდრო აბდუშელიშვილის დის ოჯახში წამიყვანა, რათა მისი ვაჟის – არჩილ სულაქველიძისათვის გაეცნო ჩემი ლექსი. არჩილი თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის ლექტორი იყო. მამამისიც, კონსტანტინეც, თავის დროზე ცნობილი მათემატიკოსი გახლდათ, აკადემიკოს ილია ვეკუას მეგობარი. მე ახლაც არ ვიცი, რატომ წამიყვანა ბაბუაჩემმა მაინცდამაინც იმ ოჯახში, სადაც დიდიან-პატარიანად მატემატიკური ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული და დღესაც მათ შთამომავლებში გადმოდის. არჩილმა მაინც გულდასმით ჩაიკითხა ჩემი ლექსი და რამდენადაც შეძლო, არც საქებარი სიტყვები დაუშურებია ჩემთვის.

ჭიათურის ლიტერატურულ გაერთიანებას იმდენად კარგი სახელი ჰქონდა, რომ ჭიათურაში ჩამოსული სამეული: ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჩხენკელი და მხატვარი პიკო ნიჟარაძე პირდაპირ ჩვენს რედაქციაში მოვიდნენ.

თბილი შეხვედრა ლექსთა კითხვისა და შინაურული საუბრების ფონზე წარიმართა. თამაზ ჩხენკელმა, პირადა მე მის მიერ ინგლისურიდან თარგმნილი რაბინდრანატ თაგორის ლექსთა კრებული – “გიტანჯალი” მაჩუქა, რომელსაც დღემდე სათუთად ვინახავ.

დიდი ხნის შემდეგ, აღმანახ “საუნჯეში” დაბეჭდილი ნიკოლაი რერიხისადმი მიძღვნილი წერილის გამო, მთარგმნელობითი კოლეგიის წინ, თამაზ ჩხენკელმა მეგობრულად გადაამოცნა და მთხოვა

აღნიშნული წერილის რუსულად გადათარგმნა და მოსკოვში გაგზავნა სვიატოსლავ რერიხთან. ნიკოლაი რერიხის ვაჟი სვიატოსლავი ინდოეთში ცხოვრობდა, სადაც თავის დროზე მოღვაწეობდა მისი სახელოვანი მამა: მხატვარი, პოეტი და ფილოსოფოსი, რომლის ფერფლიც კარგახანია მდინარე განგის ველებზეა მიმოფანტული.

მოსკოვში, ხელოვნების ცენტრალურ სახლში ჩვენი ტილოების გამოფენის დღეებში, მე და ჩემ ძმას საშუალება მოგვეცა მისი ნახატების ალბომის შეძენის.


ვწუხვარ, რომ თამაზ ჩხენკელის თხოვნას თავი ვერ მოვაბი. სამაგიეროდ, აღმანახ “საუნჯეში” გამოქვეყნებული ჩემი წერილი, ჟურნალითურთ გადავეცი თბილისში არსებულ რერიხის საზოგადოებას, რომელსაც სათავეში უდგას პოეტი, ლიტერატურული ჟურნალის გამომცემელი და მკურნალი-იოგა თამაზ თავაძე.

ჭიათურის ლიტერტურული გაერთიანების წევრებმა ასევე ღირსეული მასპინძლობა გაუწვიეთ ქალაქში ჩამოსულ შემდეგ სამეულს: ირაკლი აბაშიძეს, ბესო ჟღენტსა და ენათმეცნიერ შოთა ძიძიგურს, ცნობილი მომღერლის მედეა ძიძიგურის ბიძას. ისინი თავდაპირველად მღვიმევის მონასტრისაკენ წავიყვანეთ. როცა გზაში დიტო ტატიშვილმა სტუმრებს ჩემი თავი წარუდგინა, ირაკლი აბაშიძე ოდნავ მობრუნდა და ყველას გასაგონად თქვა: - ბატონ იპოლიტეს ორი ურთიერთ საპირისპირო ხასიათი აქვს. მოწონებულ მწერალს ცამდე აიყვანს, მაგრამ თუ არ მოეწონება, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებსო.

ვიდრე მონასტერში ასულთ, ფოტოგრაფი ავთანდილ(ჟორა) მაჭავარიანი სამახსოვრო ფოტოებს გადაგვიღებდა და თითო ჭიქა შამპანურსაც შევსვამდით, ჯრუჭის მონასტრის მღვდელი, თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს, ადგილობრივ მონაზონთა გააკიცხვას, მათ მოთოკვასა და ყურის აწევას სთხოვდა, რომელთა მიზეზით მას, თითქოსდა წნევა და სხვა ათასგვარი სენი სჭირდა.

პირდაპირ სასაცილო იყო ასაეთი უცნაურის საქმის თხოვნა იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც არავითარი უფლება არ ჰქონდათ ეკლესიის მსახურ მონაზონთა არც განსჯისა და არც მათი ყურის აწვევისა. დღებდე შემორჩენილ ფოტოზე სწორე დეს მომენტია ასახული.





...

ჭიათურიდან თბილისში გადმოსვლა მაშინ მოხდა, როცა გაზეთ “ჭიათურის მადაროელის” რედაქტორს დიტო ტატიშვილს, ჩემი დანიშვნა სურდა გაზეთის ლიტმუშაკად, რისთვისაც თვეების მანძილზე მამხედებდა კიდევ.

არ შემძლია აქვე არ გავიხსენო ბატონ დიტოს მეუღლე, პედაგოგი შუშანა ჩუბინიძე, რომლის საინტერესო წერილები ხშირად იბეჭდებოდა მისი მეუღლის გაზეთში. ეს წერილები ეძრვნებოდა ქალაქის და საერთოდ რაიონის პედაგოგთა, მათ შორის ბაბუა იპოლიტეს, ცხოვრების ისტორიასაც.

რედაქტორის კეთილი სურვილის მიუხედავად, მე მაინც თბილისმა გადამძლია, “ჭიათურას ქუსლი ვეარი” და ისევ თბილისს დავემკვიდრე.

თბილისში ჩემს წინაშე ცხოვრებისა და შემოქმედების სრულიად ახალი პორიზონტები გადაიშალა. მუშაობა დავიწყე ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის ლაბორატორიაში ჯერ უფროს ინჟინრად, მერე კი უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. ვმონაწილეობდი უამრავ სამეცნიერო ექსპედიციაში, ვამუშავებდი საკანდიდატო თემას მდინარე ყვირილის აუზის კლდის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე. 1966 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1971 წელს იმავე სასწავლებლის ხელოვნების ფაკულტეტები.

სწორედ იმავე წლებში, ჩემმა ძმამ ტარიელმაც მოიმოწაფა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და ხელოვნების ფაკულტეტები და კარგა ხანს მუშაობდა თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში.

მუზეუმში ჩემი მუშაობის პერიოდი მოიცავდა 1967-1978 წლებს. დროის ამ მონაკვეთში ბევრი ღირსსახსოვარი რამ მოხდა ჩემი და ჩემი ძმის ცხოვრებაში. 1970 წელს ვმონაწილეობდით შორაპან-ფოთის “ოქროს საწმისის” სამდინარო ექსპედიციაში. 1971 წელს მოეწყო ჩვენი ნახატების პერსონალური გამოფენა მოსკოვის ხელოვნების ცენტრალურ სახლში. დახლოებით იმავე წლებში ვიმოგზაურეთ ქ. ყაზანში, სადაც ოთხი

წლის მანძილზე, სასულიერო აკადემიაში სწავლობდა ბაბუა იპოლიტე. სრული კურსი მან 1899 წელს დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით, სემინარიაში მასწავლებლობისა და მაგისტრის ხარისხის მოპოვების უფლებით.

სხვათაშორის, 2010 წლის იანვარში ჩემმა უფროსმა ვაჟმა ირაკლიმ ინტერნეტში მიაკვლია იმ 67 პირთა სიას, რომლებმაც 1899 წელს ბაბუა იპოლიტესთან ერთად დაამთავრეს ყაზანის სასულიერო აკადემია. ამასთან ისიც შევიტყვეთ, რომ 1854 წელს იგივე სასწავლებლის სრული კურსი მოუმოწაფებია ითხვისელ დეკანოზს იოსებ ოქროპირის ძე წერეთელს, პიროვნებას, რომელიც 1857 წლიდან სათავეში ედგა მშობლიური სოფლის იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამ ნავიანი ეკლესიის მშენებლობას. საუბედუროდ, ეს ტაძარი შავი ქვის მადაროებში წარმოებულმა აფშთქებებმა შეიწირა. მის სანაცვლოდ, იმავე სოფლის მკვიდრმა, აწ გარდაცვლილმა ბონდო კაპანაძემ, საკუთარი სახსრებით იგივე ტიპის, ზომისა და პროპორციების ახალი ტაძარი ააგო.

ღმერთმა ამ ეკლესიის მოხატვა ჩვენ მოგვანდო. 1996 წელს დაწყებული ფრესკული სამუშაოები დღემდე დაუსრულებელია და მათი გასრულება თანადგომასა და მატერიალურ სახსრებს საჭიროებს.

ინტერნეტმა ასევე საშუალება მოგვცა გვეხილა სიმფეროპოლში დღემდე არსებული თავრიდის სასულიერო სასწავლებელი, სადაც 1899-1907 წლებში სუბ-ინსპექტორად მუშაობდა ბაბუა იპოლიტე.

კომუნისტების მიერ წართმეული სემინარიის ის შენობა, 1966 წელს კვლავ ეკლესიისათვის დაუბრუნებიათ, გაუმაგრებიათ და მისი შემოგარენი ვარდ-ყვავილებით შეუმკიათ.

...

1978 წლის იანვრიდან, თითქმის 20 წლის მანძილზე საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მტავარ მხატვრად ვმსახურობდი. ყველაფერი, რისი გაკეთებაც მე იქ შეეძელი, მოთხრობილი მაქვს 200 გვერდიან გამოუქვეყნებელ წიგნში: “ბედი მხატვრისა და ნახატისა”. კოლეგიის პერიოდს ეკუთვნის ჩემი პირველი გამოქვეყნებული წიგნი “როგორ ცხოვრობენ ფრესკები”, ასევე ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილი დღიურების 400 გვერდიანი გამოუქვეყნებელი წიგნი “დღეები ლადო გუდილაშვილის გვერდით” იგივე “ფერთა წერის უგვირგვინო მეფე” და სხვა.

აღარაფერს ვამბობ ჩვენს მრავალფეროვან სამხატვრო სამუშაოებსა თუ გამოფენებზე.

...

კოლეგიიდან წამოსვლის შემდეგაც კვლავ მონდომებით ვაგრძელებ ადრე დაწყებულ შემოქმედებით საქმიანობას, თუმცა დიდ დრო სოფლის წიაღში ყოფნას ვუთმობ.

ჩემი და ჩემი ძმის დაწყებულ გზას, ჩემი სამი ვაჟიშვილი წარმატებით აგრძელებს, მაგრამ შედეგებზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მეშიანია, ჩემი წინასწარ ჭკრეტა “გლეხი და ქილა ერბოს” არ დაემსგავსოს.

...

ბაბუა იპოლიტე აკაკის ნაკვალევზე და მისი ამა ქვეყნიდან გასვლა

ღრმა მოხუცებულობის წლებში, ბაბუა იპოლიტეს ერთადერთი საფიქრალი იყო, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, წვეოდა სოფელ სავანეს, სადაც ბავშვობის უდარდელი წლები გაატარა პაატრა აკაკიმ. ბიბლიური ასაკის მოხუცის ამ კეთილშობილურ სურვილს მის გარდაცვალებამდე ორიოდ წლით ადრე შევასხით ფრთები. ერთ მშვენიერ დღეს, თბილისში გამგზავრების წინ, ქორეთის კოლმეურნეობის მანქანით, რომელსაც მაშინ ჩვენი მეგობარი ვაჟა გავაშელი მართავდა, გეზი სავანისკენ ავიღეთ. იმ დროს მსუბუქი მანქანები იშვიათობა იყო, ამითომ სხვა გზა არ გვექონდა. ხსენებული მანქანით უნდა გვემგზავრა ჯერ სავანემდე, შემდეგ კი საჩხერის რკინიგზის სადგურამდე.

აღნიშნული მგზავრობა საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი ჩემი და ჩემი ძმის ბაბუსადმი მიძღვნილ წიგნში “საუკუნის ტანატოლი”, ამიტომ აქ აღარ შევუდგები მის განმეორებას. ვიტყვი მხოლოდ ორიოდ სიტყვით, რომ სავანეში მოგზაურომ მოხუცს თვალზე ცრემლი მოჰგვარა და ლამის უკურნებელი ნოსტალგია შეჰყარა.

მის ამ ცრემლებსა და ნოსტალგიას თავისი საფუძველი გააჩნდა. ბაბუა იპოლიტე კარგად იცნობდა აკაკი წერეთელს. იგი საქმიანი თუ მეზობლური ურთიერთობებით იყო დაკავშირებული მასთან.

სწორედ ამის გამო იპოლიტე ვართავავა, დეკანოზ იოსებ წერეთელთან, მღვდელ ლავრენტი კაპანაძესთან, ბუნიველ აბდუშელიშვილებთან და სხვებთან ერთად მიწვეული იყო აკაკის გარდაცვალებისა და მისი სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე (გივი ტყეშელაშვილი–“სხვიტორიდან მთაწმინდამდე”).

...

ასე ავუსრულეთ ბაბუა იპოლიტე თავისი უკანასკნელი სურვილი. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია და 1967 წლის იანვრის თვეში აღესრულა კიდევ.

მის საზიარებლად მეორე დღესვე ვეწვიე ბაბუას ნამოწაფარს თბილისის სასულიერო სემინარიიდან კათოლიკოს – პარტიარქ ეფრემ მეორეს. მაშინ მისი საუფლო ტახტი სიონის ეკლესიის გვარდით იყო. თავაზიანად მიმიღო და ბევრიც ვისაუბრეთ. როცა მან ჩემი პროფესიისა და საქმიანობის შესახებ გაიგო, მთხოვა რელიგიის ისტორიის საათების ადება მცხეთის სასულიერო სემინარიაში. მე თანხმობა მივეცი, მაგრამ მაშინვე გაირკვა, რომ თავდაპირველად ამ საგნის მასწავლებელი უნდა გაეშვა სამსახურიდან დამ ის ნაცვლად მე დავენიშნე. იგი აღმოჩნდა ერთობ სიმპათიური, ლურჯ კაბა-კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი.

ეფრემ მეორემ საკმაოდ მკვახე ტონით მიმართა მის წინაშე მორჩილად მდგარ ქალს და პარტიარქის შერყეული ჯანმრთელობისადმი თითქოსდა მისი გულგრილი დამოკიდებულება წაუყენა ბრალად.

მე არ შემეძლო სხვის უბედურებაზე ჩემი ბედნიერების აგება და მაშინვე გადავიფიქრე სემინარიაში მუშაობის დაწყება. თავისუფალი

ადგილი რომ ყოფილიყო, სიამოვნებით შევუდგებოდი საქმეს და ისიც შეთავსებით, რადგან მე მაშინ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ვიყავი.

მეორე დღეს პატრიარქი მობრძანდა ჩვენს სახლში გ.ტაბიძის 3/5-ში და თავის ყოფილ მასწავლებელს წესი აუგო.

1967 წლის 10 იანვარს ბაბუის ცხედარი დიდუბის პანთეონის მიწამ მიიბარა, სადაც ასევე განისვენებს მისი ქალიშვილი, თინა იპოლიტეს ასული.

ბაბუა იპოლიტეს გარდაცვალების ამბავს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის თანამშრომელი ქსენია იოსელიანი წერილით აუწყებდა მაშინ ამერიკაში მცხოვრებ ცნობილ მეკლევარს, წარმოშობით საჩხერელ ვიქტორ ნოზაძეს: “გუშინ (10.01.1967) იპოლიტე ვართავავა დაასაფლავეს. ასეთი ხანდაზმული მოღვაწე აღარ შერჩა ჩვენს ქვეყანას”. ეს ცნობა ამოღებულია მიხეილ კეკელიძის წიგნიდან: “ვიქტორ ნოზაძის წერილები ქსენია იოსელიანისადმი”, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ “ცისკრის” 1988 წლის მეხუთე ნომერში.

პ.ს.

მოხდა ისე, რომ 2009 წლის აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი შუათანა შვილის, მხატვარ გიორგი ვართავავას ჩვენთვის მოულოდნელი გადაწყვეტილებით, მისივე მსუბუქი მანქანით, დიდიან-პატარიანად, ყველამ აკაკის ბავშვობის საუფლოში ამოვყავით თავი.

კაშკაშა მზიანი დღე იყო, უქარო და ღვთაებრივი სიმშვიდით მირონცხებული, რასაც თავისებურ ელფერს აძლევდა მაღლით გადმომდგარი სავანის წმინდა გიორგის ათასწლოვანი ეკლესია.

როგორც კი სადუნიშვილის ეზოს ჭიშკარში შევდგი ფეხი, მაშინვე ჩემს წარმოდგენაში გაცოცხლდა ნახევრად ბრმა ბაბუის ლანდი, ოდესღაც ხელის თითებით რომ ესათუებოდა აკაკის გამზრდელის ხის სახლის კედლებს. ისე უვლიდა იმ სახლს გარშემო, როგორც მორწმუნე პილიგრიმები ეკლესიას უვლიან ხოლმე გარშემო

წავიდა ბაბუა, მაგრამ ჩვენი გვარის გენეალოგიური ხის შტოზე გამონდნენ ჩემი შვილები და მათი პატარები, იმ წუთში პრიამულით რომ იკლებდნენ სადუნიშვილის ეზოსაც და წმინდა გიორგის ტაძრის შემოგარენსაც. მათი პრიამული ახლაც ჩამესმის ყურებში.

ახალი თაობა

ჩვენი საოჯახო ქრონიკებიდან მე-19 საუკუნის 50-წლები ჩემთვის ყველაფერი ბუნდოვანია, რამეთუ არ გამაჩნია რაიმე ხელშესახები მასალა, რომელიც საშუალებას მომცემდა შორეულ წინაპართა გაცოცხლებისა და მათი დაავიწყების ბურუსიდან აღმოყვანებისა.

ასტროლოგიის თვალსაზრისით მე თევზები ვარ. თევზები კი ზედმეტად მგრძობიარენი, პოეტურები და ცათა შინა ბინადარნი არიან.

უთუოდ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მე და ჩემი ძმა, მთელი სიცოცხლის მანძილზე, მთვარისა და ვარსკვლავთა შემყურენი და მოაღერსენი ვიყავით.

საათობით ვჭკვრეტდით ციურ სხეულებს და ვწუხდით, რომ მათ სამოსახლოებზე ვერ ვახერხებდით ცხოვრებასა და ნეტარებას. არარეთხელ ავმდგარვართ ღამით მთვარის კაშკაშა სხივებში საბანაოდ

და ირმის ნახტომის მარცვლეულთა დასათვლელად, რომლის უზარმაზარი სარტყელი თანდათან უახლოვდებოდა ჩვენს ეზოს და ორ ნაწილად ყოფდა მას.

ეს პოეტური ბუნება ერთობ კარგია, მაგრამ თევზებს მეორე დიდი, ლამის დამანგრეველი ემოციაც ახასიათებს, რაიც პირველყოფლისა, წინაპართა ნოსტალგიასთან, ასევე სხვა შინაგან მისტიურ მოვლენებთან არის დაკავშირებული.

1992 წელს, გამომცემლობა “ნაციონის” მიერ დაბეჭდილ წიგნში სათაურით “სიყვარულის ხელოვნება”, რომლის მხატვრული გაფორმებაც მე და ჩემს ძმას გვეკუთვნის, თევზებთან დაკავშირებით ვკითხულობთ: “თევზები ამჟღავნებენ საკვირველ თვისებას – უყვარდეთ არა მარტო თანიანთი წარსული, არამედ განიცადონ დაკარგული წარსულის ნოსტალგიაც. წარსულის ძლიერი სიყვარული, ჩვეულებრივ არ აძლევს თევზებს საშუალებას აწმყოშიაც სრულყოფილი ემოციური და ეროტიკული ცხოვრებით იცხოვრონ”.

სწორედ წარსულის ნოსტალიამ ამაღებინა ხელში კალამი და დამაწერინა ეს პატარა, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრთათვის აუცილებელი წიგნი, რომელიც მიზნად ისახავს წინაპართა ჩემთა და ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ერთიან კალაპოტში მოქცევას.

თხრობა უშუალოდ იმ დღიდან იწყება, როცა საქართველოში ჯერ კიდევ გვიანი ფეოდალური წეს-წყობილება არსებობდა, კაპიტალიზმი კი ის-ის იყო იდგამდა ფეხს თავისი მომავალი დამანგრეველი რევოლუციებითა და სისხლიანი წარღვრებით.

ამ საოჯახო ქრონიკების სათავეებთან პირველი ჩემი დიდი ბაბუა, მეჯვრისხეველი სპირიდონ წერეთელი დგას, ვითარცა ჩვენი სისხლისა და გენის ჩაუქრობელი სეფე სანთელი, რომლის მარტოოდენ ჩაცმულობაც კი მისი ფეოდალური ეპოქის შვილობაზე მიუთითებს.

მას შემდეგ საუკუნე ნახევარზე მეტია გასული. რამდენი რამ მოხდა ამ ხნის მანძილზე! მთელი რიგი იერარქიები, ტახტები, რეგალიები, ჯინჯილები და სისხლის წვიმები ისტორიის კუთვნილება გახდა.

ჩემი ოჯახის სისხლმა და გენმაც განვლო ეს ქარტყილებით აღსავსე გზები თუ გზაჯვარედინები და ასე მოვიდა დღემდე, ზღვის ტალღებისაგან ნაპირზე გამორიყული ხომალდი, რომელიც ახლაც აგრძელებს გზას მომავლის შეუცნობ მირიადებში.

ამ ხომალდის ძველი თანამგზავრებიდან წუთისოფელს ჯერ-ჯერობით სამი შემოვრჩით: დალი, მე და მეგი – სამი ერთარსება, სამი და-ძმა. ჩემი ტყუპი ძმა – ტარიელი ორიოდე წლის წინ ჩამოწყდა ჩვენი გვარის გენეალოგიური ხის შტოდან.

ხსენებული ხომალდის საჭეთმპყრობელი – დედა, ნინო ილიას ასული იყო, ვისი სხეულიდანაც გამოვბრწყინდით ჩვენ მე-20 საუკუნის 30-40 წლებში, კერძოდ: დალი – 1933, ტყუპები – 1935, ხოლო მეგი – 1938 წლებში.

ჩვენი გვარის გენეალოგიური ხის ვარჯები იზრდებოდნენ და იზრდებიან დღესაც, მაგრამ ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი მეუღლეებისა და მათთან თანაერთხორცობის გარეშე.

ჩემი უფროსი და – დალი, ჯერ კიდევ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტ იყო, რეოდესაც თავისი ბედი დაუკავშირა ყოფილ მფრინავსა და შემდგომ მშენებელ – ინჟინერს, სინდის – პატიოსნების ნამდვილ ეტალონს, სტუმართმოყვარე და ბუნწულა კაცს, იაგო ჯაბას ძე ცომიას. ნათქვამია, ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო და მართლაც, ჩემი და დალიც ისეთივე ღირსებით

იყო შემკული, როგორც მისი მეუღლე, აწ გარდაცვლილი უსაყვარლესი კაცი იაგო ცომაია გახლდათ, გარდასული ამა ქვეყნიდან 1993 წლის მარტში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ამ შესანიშნავმა წყვილმა მათი გენის საკადრისი ორი პატარა მოავლინა ამ ქვეყანას: და-ძმა მანანა და ნუგზარ ცომაიები. ფრანგული ენის სპეციალისტი მანანა იაგოს ასული, თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახელმწიფო მუშაობდა წლების მანძილზე. იგი გვიან შეუღლდა ბრწყინვალე მოქანდაკე და ენციკლოპედიური ცოდნის პიროვნებასთან არჩილ ამირანაშვილთან და ასე ერთობლივად ეწევიან ცხოვრების ჭაპანს.

ვაჟიშვილი ნუგზარ ცომაია, ყოფილი კარატისტი და კინომსახიობი, დღეს ამერიკის მოქალაქეა და ჯერ-ჯერობით იქ ცხოვრობს. გადაღებულია რამდენიმე მხატვრულ კინოფილმში. მისი ვაჟი – დიმიტრი ცომაია თანამედროვე, ცოდნითა და სიკეთით შემკული ახალგაზრდაა.

ჩემი უმცროსი და მეგიც თავმდაბლობისა და სიკეთის ეტალონია. მეგიც პუშკინის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტ იყო ბედი კარზე რომ მოადგა ინჟინერ-ტექნოლოგ თემურ მიხეილის ძე ცინცაძის სახით. მოადგა და შეაუღლა კიდევ ისინი. ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი ბედი. “პირველი ბედი ბედია, მეორე მოგონილია, მესამე მონაჭორია”.

ხოდა, სწორედ ამ პირველმა ბედმა ისინი სამი ქალ-ვაჟით შემოსა: ქეთინოს, ნინიკოსა და მიშიკოს სახით. ქეთინო პროფესიით ქიმიკოსია, ხოლო მისი მეუღლე გია ლომთათიძე სტომატოლოგი. ამ პიროვნებაში ერთდროულად შერწყმულია ბრწყინვალე ექიმის, მხატვრის, ღვთისმოსავის, გაჭირვებულთა მსახურებელ-მეოხისა და ტრაგიკული პიროვნების ყველა ნიშან-თვისება. რომ არა მისი ქალიშვილის – რუსიკოს მოულოდნელი წასვლა ამ ქვეყნიდან, გია უბედნიერესი ადამიანი იქნებოდა ამ ქვეყანაზე.

დაე, უფლის სეფე-სანთელი უნათებდეს თავის მარადიულ სამკვიდრებელს ამ უდროოდ გაფრენილ ქალიშვილს.

საინჟინრო ინსტიტუტის ორი კურსდამთავრებული – ნინო ცინცაძე და თენგიზ მუშკუდიანი ეკლესიამ შეახვედრა ერთმანეთს, ღვთისმოსაობამ კი შეაუღლა ერთმანეთს და რაც მთვარია მათი თანაერთხორცობის გვირგვინი შესანიშნავი ქალ-ვაჟით: მარიამითა და ანდრიათი შემოსა.

დღეს ანდრია უკვე ეკლესიის მგალობელია. ვინც კი თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე “მირქმის” ტაძარში, რომლის ფრესკებიც ჩემს ვაჟს გიორგის ეკუთვნის, ერთხელ მაინც ყოფილა სალოცავად, შეუმჩნეველი არ დაჩებოდა არც პატარა ანდრია და არც მისი უფლისადმი აღვლენილი წერილა ხმა.

თენგიზ მუშკუდიანის მაღალი ადამიანური საწყისი, ერთდროულად გამოსატყულია მისი უფლისადმი, ოჯახის, სამსახურისა და მამა-პაპური სოფლისადმი სიყვარულში. სამწუხაროდ ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა სოფელს ზურგი აქცია და გზა-აბნეული შვილივით ალთა-ბალთასა და ღობე-ყორეს მოედო. დავიჯერო ქართულ მიწაზე ადამიანმა არსობის პური ვერ უნდა მოიპოვოს? მაშინ რა უნდა ექნათ ჩვენს წინაპრებს იმ ომების, წყვდიადისა და სისხლისღვრის საუკუნეებში?

ყოჩაღ, ჩემო ძვირფასო თენგიზ! ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოს!

დიდი ხანი არა არის, რაც ციური სამოსახლოს ეკრანზე სიცოცხლის კიდე ორი ახალი სახე აღიბეჭდა. ეს მეგის ოჯახის მომავალი სიხარული და იმედი, მიშიკოსა და მისი ძვირფასი მეუღლის – ირმა რაქვიაშვილის თანაერთხორცობის ნაყოფი, რომელთაც სუნთქვა და

ქვეყნად არსებობის უფლება მაღალმა ღმერთმა მიანიჭა – ესენია პატარა ელენე და მარიამი.

იპოლიტე ვართაგავას შათამომავალთა გენეალოგიურ ხეზე კიდევ ორი პატარა ანგელოზი იმკვიდრებს თავის საუფლო ტახტს.

მე, თქვენს მონა-მორჩილს ავთანდილ ირაკლის ძე ვართაგავას, სამების ლოცვა-კურთხევით, სამი სამი ვაჟკაცი მიბოძა ღმერთმა, სამი მხატვარი: ირაკლი, გიორგი და დავითი.

ირაკლი ჩემი პირველი მეუღლის, აწ გარდაცვლილი პიანისტის, ლინა ბეგიშვილის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია. დაიბადა 1967 წლის 4 თებერვალს. თბილისის ი. ვეკუას სახელობის 42-ე საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს მ.თოიძის სახელობის სამხატვრო ლიცეუმში. საბჭოთა არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ (1985-87წწ.) სწავლა განაგრძო სულხან საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე. შემდგომ ამისა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის მაგისტრატურა. არის მაღალკვალიფიციური რესტავრატორი, მუშობს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თაყვანს სცემს და აწესრიგებს ბაბუა იპოლიტესა და ჩვენს ნაწერებს, ნახატებსა თუ ფოტოარქივს. ხელს უწყობს ჩემი და ჩემი ძმის ფერწერულ ნამუშევართა პოპულარიზაციას საქართველოსა სხვა შორეული ქვეყნების მასშტაბით.

მეუღლე მისი – მედეა ანატოლის ასული მიქელაძე ღირსეული მოქალაქეა, თავაზიანი, მშვიდი ოჯახისა და ხელოვნების თაყვანისმცემელი, ინგლისური ენის ჩინებული მცოდნე.

მათი ქალიშვილი – ლინაც ბავშვობიდანვე ამჟღავნებს ხატვისა და ზოგადად ხელოვნებისადმი დიდ სიყვარულს. არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი დიდი სიყვარული მამაპაპისეული კუთხის, მშობლიური სოფლის ბუჩინევის მიმართ.

ჩემმა მეორე მეუღლემ – თინა სიმონის ასულმა ლაბაძემ, თბილისის 119-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ორი ვაჟიშვილით, ორი მხატვრით გაამდიდრა ჩვენი საოჯახო ბირთვი.

უფროსი გიორგი 1974 წლის 4 სექტემბერს მოევლინა ქვეყანას საჩხერის საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში, ხოლო უმცროსი დავითი თბილისში დაიბადა 1976 წლის 15 აპრილს. ძლივს მოვასწარი ამ ამბის გაგება, რადგან სწორედ იმ დღეს ჩვენი სამეცნიერო ეწესკედიცია დავით გარეჯის უდაბნოსკენ მიემგზავრებოდა საკმაოდ ხანგრძლივი დროით.

გიორგი თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკისა და იმავე აკადემიის ასპირანტურის კურსდამთავრებულია, იქვე მსახურობდა ცხრა წლის მანძილზე. შემდეგში იგი მუშაობდა მ.თოიძის სამხატვრო სასწავლებელში დირექტორის მოადგილედ. მისი მეუღლე – მარი აღეკოს ასული ნადირაშვილი მხატვარია, ამასთან რუსული და ინგლისური ენების ჩინებული მცოდნე, ასევე მუსიკოსი-პიანისტი. რაც მთავარია, სამი დიდი სიხარულის, იმედისა და აუწონელი ბედნიერების: დაჩის, ელენესა და ავთანდილის დედა.

რაც შეეხება ჩემს ნაბოლარა ვაჟს – დავითს, მხატვარსა და ხელოვნებათმცოდნეს, თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის კათედრის თანამშრომელს, ჯერ-ჯერობით ბედი კარზე არ მოსდგომია და ასე ცალ-უღელად ეწევა ცხოვრების ჭაპანს.

აი, ჩვენი გვარისა და გენის საოჯახო ბირთვი. მომავალში შესაძლოა ისე გაგმრავლდეთ, ვითარცა იაკობი, თუკი ოდესმე “ღვთაებრივი მშვიდობის” ხანა კიდევ განმეორდა, როგორც ეს ძველი საბერძნეთის მრავალღმერთიანობის ეპოქაში სუფევდა. შეუძლებელი კი არაფერია.

იპოლიტე ვართაგავას ქუჩა

ბაბუა იპოლიტეს სახელის უკვდავსაყოფად ისევ მწერალთა კავშირმა იზრუნა. სამუდამო განსასვენებელი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიაგო, სადაც ასევე განისვენებს მისი ქალიშვილი თინაც – ღირსეული მამის ცხოვრებისა და შემოქმედების დიდი მოჭირნახულე. სწორედ ამ ამაგმა დაუშკვიდრა მას წმინდა ადგილი მამისა და სხვა გამორჩეულ პირთა გვერდით.

ამასთან ბაბუა იპოლიტეს გვარი მინიჭებული აქვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას გლდანში, როგორც ცნობილია აღნიშნულ ქუჩას უფრო ადრე, თბილისის სასულიერო სემინარიიდან იპოლიტე ვართაგავას ყოფილი მოსწავლის – გალაკტიონ ტაბიძის სახელს ატარებდა თურმე.

პირდაპირ უცნაური დამთხვევა მოხდა. ხსენებულ ქუჩას, ტაბიძის ნაცვლად, მისი ყოფილი მასწავლებლის – იპოლიტე ვართაგავას სახელი ეწოდა, ხოლო თავად გალაკტიონის გვარი თბილისის მერიის იმ პარალელურ ქუჩას მიენიჭა, სადაც ცხოვრობდა იპოლიტე ვართაგავა და დღემდე ცხოვრობენ მისი შთამომავლები.

ადრე აღნიშნულ ქუჩას აკაკი წერეთლის სახელი ერქვა. ერთ დროს ამ ქუჩაზე შიხმანის ცნობილი ფოტოატელიე არსებობდა, სადაც 1954 წელს სამახსოვრო სურათი გადაიღეს გალაკტიონმა, ბაბუა იპოლიტემ და მაშინ თბილისის მასწავლებელთა სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა იური ჩიკვაიძემ.



სამაგიეროდ, ფარატინა ქაღალდად დარჩა ჭიათურის მერიის კულტურის განყოფილების მიერ 1995 წლის 31 მარტის დადგენილება, რაიონის ღვაწლმოსილ მოქალაქეთა და მათ შორის იპოლიტე ვართაგავას ხსოვნის უკვდავსაყოფად, რიგ ღონისძიებათა

განხორციელების შესახებ, კერძოდ :ამ დადგენილების თანახმად, ითხვისის საშუალო სკოლას უნდა მინიჭებოდა იპ.ვართაგავას სახელი, იმ სკოლას სადაც თავის დროზე იპოლიტესა და იმავე სკოლის რუსული ენის ღვაწლმოსილ პედაგოგს ეკატერინე იოსების ასულ წერეთელს გულთბილი შეხვედრა მოუწევს. ამასთან უნდა მომხდარიყო ბჟინევიში იპ.ვართაგავას სახლის რეკონსტრუქცია და იქ მემორიალური დაფის გაკეთება. ცნობა ამის შესახებ დაბეჭდილი იყო გაზეთ “ჭიათურის მადაროელის” 1995 წლის 8 აპრილის ნომერში.

საუბედუროდ იმ დადგენილებიდან არცერთი მუხლი არ შესრულებულა. კაციშვილიც კი არ შეგვხვია. სოფელში, 1991 წლის 29 აპრილის დამანგრეველი მიწისძვრით გამოწვეული საავარიო სამუშაოები პირადად ჩვენმა ოჯახმა ჩაატარა და იქ გასაკეთებელი არაფერი აღარ იყო, მემორიალური დაფის გარდა. თუ მაინცა და მაინც ბაბუას სახელი უნდა დარქმეოდა ჭიათურის №2 საშუალო სკოლას, სადაც იგი მოღვაწეობდა თავის დროზე.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ მსგავსი მემორიალური დაფა, რომელიც პოეტ შოთა ნიშნიანიძის თაოსნობით 1981წ. გაკეთდა გ.ტაბიძის №3/5 ქუჩაზე, რამდენიმე წლის წინ ვიღაც ხელცივმა ჩამოხსნა და წაიღო.

არა უშავს რა, ამით ბაბუა იპოლიტეს არაფერი დაკლებია. ნათქვამია, საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო და ბაბუაც თავისმა გაკეთებულმა საქმემ გამოაჩინა და სამარადისოდ უკვდავეო მისი სახელი.

მხოლოდ 2011წ. ჩემი დის მეგი ირაკლის-ას ვართაგავას ძალისხმევის შედეგად მოხერხდა იპოლიტე ვართაგავას მემორიალური დაფის აღდგენა იმ სახლის ფასადზე სადაც იგი ცხოვრობდა 1921 წლიდან.

იპოლიტე ვართაგავას მოდგმა მუდამ სიამაყით ვივლით მისი სახელით გადანათვულ ქუჩაზე, რამეთუ ამ სახელს მიღმა ის პიროვნება დგას, ვინც ადამიანური პატიოსნებისა და შემოქმედების დროშა ღირსეულად ატარა და ასე მოიტანა ქართული კულტურის დიდების კვარცხლბეკზე და იმავე კვარცხლბეკზე დაიმკვიდრა ადგილი.

ეს დროშა კარგა ხანია მის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს გადმოგვეცა. ღმერთმა ქნას, ჩვენც ისეთივე ღირსებით გვეტარებინოს იგი, როგორც ეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპარმა – იპოლიტე ვართაგავამ შეძლო.

ავთანდილ ვართაგავა

2004–2011 წ . ზაფხული, სოფ. ბჟინევი, ჭიათურის რ-ნი.

2010 წ. 9 თებერვალი, თბილისი

2011 წ. იანვარი, თბილისი